

**ნანული ხიჯანიშვილი**

**სახელმწიფოს ეკონომიკური  
ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების  
სრულყოფის გზები საბაზრო  
ურთიერთობებზე გარდამავალ  
პერიოდში**

თბილისი

2008

**ნანული ალექსის ასული ხიზანიშვილი. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების სრულყოფის გზები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში.** თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2008. - 140 გვ.

მონოგრაფიაში განხილულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების თეორიული ასპექტები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ნაშრომში გაანალიზებულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ტრანსფორმაციის პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სრულყოფისა და აგრეთვე ამ ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების გზებზე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

**სამეცნიერო რედაქტორი:**

ალფრედ კურატაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

**რეცენზენტები:**

**ვახტანგ ბურდული** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

**რევაზ შენგელია** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

© ნანული ალექსის ასული ხიზანიშვილი, 2008.

ISBN 978-9941-0-1039-2

# შინაარსი

შესავალი.....	4
თავი I. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების თეორიული ასპექტები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.....	9
1.1. სახელმწიფოს ადგილი და როლი ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში.....	9
1.2. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი თეორიები სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები საბჭოური სოციალიზმის პირობებში .....	24
1.3. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები .....	39
თავი II. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების გამოყენების ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში .....	50
2.1. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის არსი და თავისებურებანი .....	50
2.2 სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების გამოყენების მდგომარეობა მაკროეკონომიკის სფეროში .....	66
თავი III. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სრულყოფის გზები თანამედროვე ეტაპზე .....	89
3.1 სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სრულყოფის გზები პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პირობებში .....	89
3.2. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების გზები სოციალური პრობლემის გადაწყვეტაში .....	105
დასკვნა .....	120
გამოყენებული ლიტერატურა .....	126

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალობა. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების პრობლემის აქტუალობა უდავოა, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში. ამ პრობლემის გადაწყვეტის ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარების მომავალი. სახელმწიფოს აქტიური ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია რეფორმების შემდგომი გატარება, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება, სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და ქვეყნის პროგრესული განვითარება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა დაადასტურა, რომ გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. მოვლენების განვითარებამ დაგვანახა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ეკონომიკური სისტემების სწრაფი და იმავდროულად წარმატებული რეფორმირება საკმაოდ რთული აღმოჩნდა და ამიტომ გაჭიანურდა. ამის მთავარ მიზეზად ამ ქვეყნებში (განსაკუთრებით კი ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველო) ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების სრულიად ახალი გზით მშენებლობის პროცესი უნდა ჩაითვალოს.

საბაზრო მეთოდებზე გადასვლა მოითხოვს მისი ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების საჭირო მექანიზმის არსებობას. ასეთი მექანიზმის ფორმირების დროს თანამედროვე პირობებში გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც თანამედროვე თეორიული მიღწევები, ისე ცივილიზებულ ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილება და მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე თანმიმდევრული გადასვლის თავისებურებანი.

ამიტომ ქვეყნისათვის განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების მექანიზმის ფორმირების და მისი პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფის საკითხების კომპლექსური კვლევა და

გადაწყვეტა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის და მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო თავისებურებებზე გადასვლის პირობებში. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის სრულყოფის მიმართ კომპლექსური მიდგომა მოითხოვს მისი სხვადასხვა მხარეების კვლევას, მისი ინსტიტუციური ნაწილების და მარეგულირებელი ინსტრუმენტების ერთობლიობის ჩათვლით.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში, როგორც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი, ისე სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებისა და შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის საჭირო ინსტიტუციონალური ბაზის ფორმირება შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნით დაიწყო, მაგრამ ეს პროცესი ყოველთვის თანმიმდევრულობით არ გამოირჩევა და ხშირად მაკროეკონომიკური პოლიტიკა ცალკეული პირების ნება-სურვილისა და პირადი თვისებების გამოხატულება უფროა, ვიდრე სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების მწყობრი სისტემა.

მონოგრაფიული ნაშრომის აქტუალობას სწორედ საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს წინაშე მდგარი პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციისა და სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების ურთულესი პროცესი და მეცნიერულად დასაბუთებული შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების გარდაუვალი აუცილებლობა განაპირობებს.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები. მონოგრაფიული ნაშრომის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების გზების თეორიული საფუძვლების შემუშავება და მათი პრაქტიკული რეალიზაციის გზების დასახვა საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე იგი კონცენტრირებულია შემდეგ ძირითად ამოცანებზე:

1. სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნებისა და ფუნქციების შესწავლის ფონზე პოსტსაბჭოურ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის კანონზომიერებათა დადგენა და ამის საფუძველზე მათი შემდგომი დაჩქარების მიმართულებათა შემუშავება;

2. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების მეცნიერული ანალიზის ფონზე მაკროეკონომიკური ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბება, რომელთა გამოყენებაც სახელმწიფოს ეკონომიკური მიღწევების ზრდისათვის რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას მოგვცემს;

3. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ინსტრუმენტების გამოვლენა, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოს საშუალება მიეცემა მისი მიზნებიდან გამომდინარე მაკროეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების გზით მიიღოს შესაბამისი შედეგი.

კვლევის საგანი და ობიექტი. სამეცნიერო ნაშრომის კვლევის საგანია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების სრულყოფის გზების დადგენა პოსტსაბჭოურ სივრცეში მყოფი ქვეყნებისათვის. ზოლო კვლევის ობიექტია საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. მონოგრაფიული ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლური დებულებები. მონოგრაფიაში განხილული პრობლემური საკითხების დასმის და კვლევის მეთოდოლოგიურ და მეთოდურ საფუძვლებს წარმოადგენენ გამოჩენილი უცხოელი და ქართველი მეცნიერების ნაშრომები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია პოსტსაბჭოთა ეკონომიკური სისტემის თავისებურებების პოლიტეკონომიური ანალიზი, რომელიც შეჯერებულია ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ავტორისეულ შეფასებებთან.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე: მონოგრაფიაში მიღებული შედეგებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

– საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან წარმოების ხელშეწყობისათვის გამოვლენილია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოს საშუალება მიეცემა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, მაკროეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების გზით მიიღოს შესაბამისი შედეგი.

– ჩამოყალიბებულია მიდგომა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პროცესში ფისკალური, საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კომპლექსურად გამოყენებას ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

ნაშრომის მთავარი მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მონოგრაფიაში განსაზღვრულია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების სრულყოფის გზები. გახსნილია ამ ფუნქციების პრაქტიკული რეალიზაციის ხელისშემშლელი მიზეზები და შემუშავებულია მათი დაძლევის უზრუნველყოფის ეკონომიკური მექანიზმები.

მონოგრაფიის ძირითადი მეცნიერული სიახლე შეიძლება დაკონკრეტდეს შემდეგნაირად:

1. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის იმ თეორიული კონცეფციის უსაფუძვლობა, რომელსაც ნეოკონსერვატიული და ზოგიერთი სხვა დოქტრინის მომხრეები გვთავაზობენ და ნაჩვენებია აგრეთვე მათ მიერ მოცემულ ბაზაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკის მცდარობა;

2. სახელმწიფოებრივი რეგულირების არსებული თეორიების გაანალიზების საფუძველზე დადგენილია ეკონომიკური ბერკეტები და ინსტრუმენტები, რომლებიც რეალურად იმუშავებს პოსტსაბჭოურ სისტემაში;

3. შემოთავაზებულია მიდგომა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პროცესში ფულად-საკრედიტო, ფისკალური, საბიუჯეტო პოლიტიკის კომპლექსურად გამოყენებას ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით;

4. დადგენილია პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების გამოყენების სრულყოფის გზები მაკროეკონომიკის სფეროში;

5. სოციალური პრობლემების გადაჭრა აღიარებულია, როგორც ეკონომიკური მიზნების პრიორიტეტი და როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების აუცილებელი პირობა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები შესაძლებელია გამოყენებული იყოს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების სრულყოფის გზების თეორიული ანალიზი და მათი პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების დაჩქარებას. ამასთან, მონოგრაფიის ცალკეული ქვეთავების გამოყენება შეიძლება პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პოლიტიკონომიის სალექციო კურსის წაკითხვის დროს.



## თავი I.

# სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების თეორიული ასაქმები საზოგადოების ბანკითარების სხვადასხვა ეტაპზე

### 1.1. სახელმწიფოს ადგილი და როლი ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში

სახელმწიფოს შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება, მაგრამ ისინი იმ თვალსაზრისზე დაიყვანება, რომ სახელმწიფო ორგანიზაციის ის ფორმაა, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს საზოგადოებისთვის საჭირო სხვადასხვა მოთხოვნათა რეალიზება. სხვა საქმეა თუ როგორი იქნება ეს მოთხოვნები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

სახელმწიფოს და სამართლის ისტორიული ტიპები ერთმანეთისაგან იმის მიხედვით განსხვავდებიან, თუ ისინი მატერიალური წარმოების რომელ წესს მიეკუთვნებიან, რომელი კლასის ინტერესებს იცავენ. პირველყოფილი თემური წყობილების შემდეგ ცნობილია ოთხი წარმოების წესი: მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და ე.წ. სოციალისტური. შესაბამისად არსებობენ სახელმწიფოსა და სამართლის შემდეგი ისტორიული ტიპები: მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი, ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი, კაპიტალისტური სახელმწიფო და სამართალი და ე.წ. სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი.

XVIII საუკუნის ბოლომდე სახელმწიფო მეტწილად იმას სჯერდებოდა, რომ დაეცვა ქვეყანა უწესრიგობისაგან და გაეზარდა თავისი პრესტიჟი საერთაშორისო მასშტაბით.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვნად გაზარდა ეკონომიკის ინდუსტრიულმა განვითარებამ, რაც განაპირობა

უცხოეთის კონკურენციისაგან სამამულო წარმოების დაცვის აუცილებლობამ. ამას დაემატა ეროვნული ეკონომიკის დინამიზაციისა და მოდერნიზაციის ამოცანები.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების კვლევის პროცესში იცვლებოდა შეხედულება მის ეკონომიკურ და სოციალურ როლზე.

განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ამ როლის გაძლიერება ეკონომიკური ციკლის კრიზისულ ფაზაში და ომების მომზადებისა თუ მსვლელობის პერიოდში. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დროს, რესურსების საყოველთაო მობილიზაციის პირობებში, ეკონომიკის სახელმწიფოებრივმა რეგულირებამ ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო.

თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს ისეთი საზოგადოება, სადაც არ იქნებოდა პოლიტიკური ძალაუფლება, ანუ სახელმწიფო. სახელმწიფო ასრულებს მრავალფეროვან ფუნქციებს, რომლებიც ატარებს პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და სამართლებრივ ხასიათს. ყველა ეს ფუნქცია ურთიერთდაკავშირებულია და ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკის განვითარებაზე. მას შემდეგ რაც ადამიანმა დაიწყო სამრეწველო წარმოება, ეკონომიკაში მთავრობის როლის შესახებ მიმდინარეობს დავა, პერიოდში, რომელიც ცნობილია როგორც მერკანტილისტური, კლასიკოსების გამოჩენამდე – ეკონომიკაში გამოიყო ორი მიმართულება: ერთი თვლიდა რომ ხელისუფლება ხელს უნდა უწყობდეს და აძლევდეს სტიმულირებას ქვეყანაში ოქროს შემოსვლას, მეორე კი თვლიდა, რომ საჭიროა ეკონომიკური ღირებულებების წარმოება ქვეყნის შიგნით, იმისათვის, რომ შეიქმნას ერის სიმდიდრე. ცნობილია, რომ XVI ს. საფრანგეთის მთავრობის ერთმა წევრმა ჰკითხა მრეწველს, რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, იმისათვის, რომ დაეხმაროს ეკონომიკას, „დაგვანებოს თავი“ - უპასუხა მან. <sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Ховард К., Журавлева Г., Эриашвили Н. Экономическая теория. Москва: Изд-во «Юнити», 1997, стр.157.

ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობამ უნდა მისცეს ბიზნესს მოქმედების თავისუფლება.

ეკონომიკურ თეორიაში კლასიკოსები მიიჩნევენ, რომ ბაზარს ავტომატურად შეუძლია თვითრეგულირება, სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში მინიმალურია. ხელისუფლება თავისუფალი ბაზრის სისტემაში გამოსცემს კანონებს, უშვებს ფულს, ქმნის ხელსაყრელ გარემოს მისი ფუნქციონირებისათვის, კომუნიკაციისა და კავშირის სამსახურებს უწევს ორგანიზებას, დებს საერთაშორისო შეთანხმებებს, უზრუნველყოფს უშიშროებას პოლიციის და სამხედრო ძალების მეშვეობით და ასევე ასრულებს სხვა ამოცანებსაც.

ბევრი თანამედროვე ეკონომისტი დღესაც იზიარებს კლასიკოსების ამ თვალსაზრისს – ნეოლიბერალისტები, მონეტარისტები – ისინი თვლიან, რომ მთავრობის მთავარი ამოცანა ფულის სიმყარის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

ეკონომიკური ლიბერალიზმის თეორიებს მკვეთრად უპირისპირდება რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის თეორიები, რომლის ძირითადი პოსტულატი მდგომარეობს შემდეგში: სრულყოფილი (თავისუფალი) და სრულიად არარეგულირებადი ბაზარი არ არსებობს და არც არასოდეს არსებულა.

ზოგიერთი ეკონომისტი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ნიშანდობლივია არა მარტო განვითარებული, არამედ განვითარებადი საბაზრო სისტემის ქვეყნებისათვის. ისეთმა ქვეყნებმა, როგორც არის სამხრეთ კორეა, მაღაიზია, სინგაპური, ტაივანი და სხვები, უდიდეს ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიეს სწორედ საბაზრო ეკონომიკის მკაცრი სახელმწიფოებრივი რეგულირების გზით.

XX საუკუნის 30-იანი წლების ძლიერმა ეკონომიკურმა კრიზისმა და უდიდესმა დეპრესიამ გვიჩვენა, რომ თავისუფალი ბაზრის მექანიზმი არასრულფასოვანია, რომ საბაზრო სისტემა შეიძლება დიდი ხანი იმყოფებოდეს დეპრესიაში უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად და აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა,

რომ უზრუნველყოფილი იქნას მოცემული ეკონომიკური სისტემის მდგრადობა. ასე წარმოიშვა საბაზრო ეკონომიკის რეგულირების კონცეფცია, რომელმაც მიიღო „კეინსიანობის“ სახელწოდება წიგნის ავტორის სახელის მიხედვით (ჯ.მ. კეინსი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“).

კეინსიანობის ძირითადი შტრიხებია – მთავრობის აქტიური ჩარევა ეკონომიკაში, მაკროეკონომიკის რეგულირება, ეკონომიკაზე მოქმედი ყველა ფორმისა და მეთოდის ერთობლივი გამოყენება, ეფექტური მოთხოვნის სტიმულირება.

ბაზრის, როგორც ეკონომიკური თვითრეგულატორის, ყოვლისშემძლების ურყევი რწმენა ნიშანდობლივია თანამედროვე პერიოდის ლიბერალი ეკონომისტებისთვისაც. ასე მაგ. ა. ფ. ჰაიეკი აღნიშნავს, რომ ბაზარი ფასწარმოქმნის მექანიზმით რესურსების რაციონალური განაწილების ერთადერთი ეფექტიანი წესია. ამ მოსაზრებას იზიარებს ამერიკელი ეკონომისტი ი. ბირმანი: არავის არ შეუძლია მეურნეობის წარმართვა იმაზე ეფექტიანად, ვიდრე მეპატრონეს, ე.ი. კერძო პირს ბაზრის მეშვეობით. ასეთი სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევის მაქსიმალურად შეზღუდვის მოთხოვნის მიუხედავად იგი (ე.ი. სახელმწიფო) ლიბერალებთან მაინც არ რჩება უფუნქციებოდ. მას აკისრია შემდეგი ფუნქციები: საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სამართლებრივ-ინსტიტუციური ჩარჩოების შექმნა; კონკურენციის განვითარებისათვის პირობების უზრუნველყოფა, კონკურენციის შეცვლა რეგულირების სხვა მექანიზმებით იქ, სადაც ეს აუცილებლობას წარმოადგენს; მომსახურების იმ სახეობათა განვითარება, რომელიც უაღრესად საჭირო და სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის, მაგრამ მწარმოებელთათვის არ მოაქვს მოგება.

ეკონომიკის ლიბერალიზაციის დროს სულ უფრო იცვლება და ახალ დატვირთვას ღებულობს სახელმწიფოს როლი თანამედროვე სამეურნეო ცხოვრებაში. გარდამავალ პერიოდში

აუცილებელია ახლებურად გავიზიაროთ მისი როლი ეკონომიკაში, რაც პირდაპირი ჩარევის შეზღუდვას გულისხმობს. ე.ი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო თამაშობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს, ვიდრე მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემაში. სახელმწიფოს როლი მრავალ ფუნქციებში გამოიხატება, მას შეუძლია შექმნას თანაბარი პირობები ყველა ინდივიდისათვის, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარია. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობა, რისთვისაც ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლისა და ფუნქციების ძირეულ შეცვლას. ამასთანავე, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება სახელმწიფოს როლი განვითარებულ საბაზრო ეკონომიკასა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში. თუმცა ამგვარი განსხვავება არ გამორიცხავს გარკვეული საერთო ნიშნების არსებობასაც.

ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის პრობლემასთან მიმართებაში არსებითად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული პოზიცია. სახელმწიფო რეგულირების მოწინააღმდეგეთა თანახმად „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვნად უნდა შეიზღუდოს“<sup>2</sup>.

ამ პოზიციას იზიარებს და მტკიცედ იცავს ამერიკელი ეკონომისტი გ. ბერნშტამი, რომელიც მიუთითებს, რომ ბაზარმა თავადვე უნდა შექმნას საკუთარი თავი, და რომ სახელმწიფო ვერ შექმნის ბაზარს.

ამიტომ მისივე აზრით, სახელმწიფომ მთლიანად უნდა გახსნას კარები ბაზრისაკენ, დანარჩენს კი თავად ბაზარი მოიმოქმედებს.

---

<sup>2</sup> გაზეთი „ჯორჯიან ტაიმს“-ი. 1994. ოქტომბერი, გვ. 6

საჭირო არ არის არავითარი სამთავრობო გეგმები, არც გამაჯანსაღებელი, არც სამანერო, არც თანდათანობითი.

არანაკლები მომხრეები ჰყავს საპირისპირო პოზიციას, რომლის თანახმადაც ეკონომიკის რეგულურებაში სახელმწიფო აქტიურ როლს უნდა თამაშობდეს და ენერგიულად არეგულირებდეს ეკონომიკურ პროცესებს.

პროფ. ნ. ჭითანავს მოსაზრებით, „...საქართველოს ეკონომიკა სტრესულ სიტუაციაშია, მას ერთი გარემოდან სხვა მეტად განსხვავებულ გარემოში გადასვლის დროს სჭირდება სწრაფი და მეტად მკაცრი ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები. ასეთ დროს წონასწორობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ზემოქმედება, მაშასადამე, სახელმწიფო რეგულირება“.<sup>3</sup>

პროფ. ი. მესხიას მიაჩნია, რომ „ჩვენთან ბაზრის არსი გაგებული იქნა არასწორად. ბევრს დღესაც მიაჩნია, რომ ბაზარი თვითრეგულირებადია და ეკონომიკური პროცესების მართვაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს“.<sup>4</sup>

კიდევ უფრო კატეგორიულია თავის მსჯელობაში პროფესორი რ. გოგობია: მისი აზრით, საქართველოში სრული კატასტროფა გარდუვალია, თუ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო მთლიანად დაკარგავს გავლენას.

არსებობს პროფ. ვ. პაპავას მეტად საინტერესო და ორიგინალური შეხედულება იმის თაობაზე, რომ „სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს ბაზრის შინაგან, იმანენტურ შემადგენელ ნაწილს“.<sup>5</sup> აქედან გამომდინარე განიხილება წარმოების ხუთი ფაქტორი: მიწა, კაპიტალი, შრომა, სამეწარმეო უნარი, სახელმწიფო და მათგან მიღებული შემოსავლები. სახელმწიფოს როლის ამგვარი გააზრება, ჩვენი აზრით,

---

<sup>3</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 5 აგვისტო 1993წ. გვ.2

<sup>4</sup> ჟურნალი „ეკონომიკა“. 1993. №8-9, გვ.12.

<sup>5</sup> იხ. : В.Г. Папава. Государство, рынок и экономика без налогов. Тбилиси, 1993, стр.3-4.

შესაძლებლობას იძლევა თანამედროვე ეკონომიკა აიგოს პრინციპულად ახლებურ საფუძველზე.

სახელმწიფოს ფუნქცია არის ეკონომიკური ზრდის რეგულირება და კაპიტალის დაგროვების ხელშეწყობა. ასე ჩამოაყალიბა ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკონომმა, რობერტ გილპინმა დღევანდელი სახელმწიფოს ფუნქცია გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში. თუმცა ეს ფუნქცია ანალიზის არც ერთ დონეზე არ იცვლება, იქნება ეს საერთაშორისო მეგა ეკონომიკური, თუ ლოკალური მაკროეკონომიკური ანალიზი.

სახელმწიფო, როგორც ეკონომიკური ფაქტორი, ფუნქციონირებს როგორც მწარმოებელი, და როგორც მომხმარებელი. ამ ორმაგი ფუნქციის შესრულებისას იგი იღებს მეწარმობრივ გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი საქონლისა და მომხმარებლურ გადაწყვეტილებებს მომავლის გათვალისწინებით. ამასთან სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქცია არის ეკონომიკური ზრდის არა მხოლოდ მიღწევა, არამედ მისი მთელ საზოგადოებაზე გადანაწილების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო განსაკუთრებული ეკონომიკური სუბიექტია ეკონომიკურ სისტემაში. მისი ეს განსაკუთრებულობა აისახება იმ ეკონომიკურ ფუნქციებსა და როლში, რომელიც სახელმწიფოს თანამედროვე სისტემაში ეკისრება.

სახელმწიფოს განსაკუთრებულობის და გამორჩეულობის ერთი ასპექტია საზოგადოებრივი საქონლის წარმოების პასუხისმგებლობა; სახელმწიფო მეწარმეა, მაგრამ არა კლასიკური გაგებით. თუმცა სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის მოქმედებას სხვა ეკონომიკური სუბიექტებისაგან განსვავებით განსაზღვრავს არა მოგების მიღების მოტივი, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი ინტერესი. აქ ვლინდება სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური სუბიექტის ორმაგი როლიც.

სახელმწიფოს განსაკუთრებულობის მეორე ასპექტია სხვა ეკონომიკურ სუბიექტებთან შედარებით მისი პრივილეგირებული მდგომარეობა: სახელმწიფოს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია

გაზარდოს შემოსავლები გადასახადების გაზრდით (თუმცა არა განუსაზღვრელად), დაბეჭდოს ფულის ნიშნები, რეცესიის დროს მიიღოს შეღავათიანი კრედიტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ა. შ.

სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური ფაქტორის გამორჩეულობის მომდევნო ასპექტი არის შემოსავლების გადანაწილების უფლება და პასუხისმგებლობა. სახელმწიფოს გააჩნია ძალაუფლება, განკარგოს გაზრდილი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, სხვა ქვეყნის მთავრობებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან მიღებული შეღავათიანი კრედიტები და გრანტები.

ამრიგად, სახელმწიფოს საზოგადოების წინაშე დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდი პრივილეგიებიც გააჩნია. თუ როგორ „თანაფარდობაშია“ ეს პრივილეგიები სახელმწიფოს მიერ საკუთარ თავზე დაკისრებულ პასუხისმგებლობასთან, ამას ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების განვითარების დონე და ხასიათი გვიჩვენებს.

ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ხასიათი აქ მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკურ სუბიექტს, ყველა ზემოთჩამოთვლილი ფუნქციის შესრულება ბუნებრივ მონოპოლისტად აქცევს. მონოპოლისტობა კი მას ანიჭებს და აკისრებს პასუხისმგებლობებს. დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში და განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში ამ პრივილეგიათა და პასუხისმგებლობის „თანაფარდობას“ აბალანსებს კანონის ძალაუფლება, საქმიანობის გამჭვირვალობა, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა. განვითარებად საზოგადოებებში და ნაკლებად დემოკრატიულ ქვეყნებში კი ზემოხსენებული ბალანსი საზოგადოებრივი ინტერესის განუსაზღვრელობის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის სისუსტის გამო ირღვევა, რაც სახელმწიფო მოხელეთა მიერ პოლიტიკური ძალაუფლების და გავლენის პრივილეგიების საკუთარი ინტერესების გამოყენებაში, ანუ კორუფციაში ვლინდება.



ეკონომისტებს შორის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება სახელმწიფოს როლის შესახებ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

ერთ-ერთი თვალსაზრისის თანახმად, სახელმწიფოს როლი საწყის სტადიაზე, მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ეს მოთხოვნა მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური განვითარების სიმძიმეთა ხასიათიდან გამომდინარეობს, რომელსაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები აწყდებიან<sup>6</sup>.

კანონიერება და წესრიგი. ძლიერი და მყარი სახელმწიფო ხელისუფლება აუცილებელია კანონიერებისა და წესრიგის დასამყარებლად, ქვეყანაში მშვიდობისა და ერთიანობის მისაღწევად.

კერძო მეწარმეობის სისუსტე. ბევრ ქვეყანაში არ არსებობს მეწარმეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ენერგიული ჯგუფი, რომელსაც კაპიტალის დაგროვებისა და წარმოების განვითარების შესაძლებლობა და სურვილი გააჩნია. ამრიგად, კერძო მეწარმეობას არ შესწევს უნარი ეკონომიკური ზრდის პროცესის წამყვანი ძალა გახდეს.

ინფრასტრუქტურა. ზოგჯერ ეკონომიკური სიძნელეები საზოგადოებრივ საქონელთა და მომსახურების დეფიციტით წარმოიშობა. სანიტარულ-ჰიგიენური და ძირითადი სამედიცინო პრობლემები, განათლება, გზებისა და სხვა, სატრანსპორტო კომუნიკაციური სისტემების მშენებლობა – ყველა ამ არსებითად არა საბაზრო საქონლებსა და მომსახურებებს საზოგადოებისათვის თანმდევი სარგებლობები მოაქვთ. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს ასეთ საქონელთა და მომსახურების წარმოება საკმარისი რაოდენობით.

იძულებითი დაგროვება და კაპიტალური დაბანდებები. სახელმწიფოს ჩარევა საჭიროა დანაზოგებისა და ინვენსტიციების პრობლემის გადასაწყვეტად, რაც კაპიტალის დაგროვებას ამუხრუჭებს ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. ხდება ესეც,

---

<sup>6</sup> კ.რ. მაკონელი, ს.ლ. ბრიუ, ეკონომიკის ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა «საშობლო», 1997, გვ. 390.

რომ მდგომარეობიდან გამოსვლის უზრუნველყოფა მხოლოდ სახელმწიფო-ფოებრივ საგადასახადო ღონისძიებებს შეუძლიათ, რომლებიც სტიმულს აძლევენ კაპიტალის დაგროვებას.

სოციალურ მოწყობასთან დაკავშირებული ფაქტორები. სახელმწიფოს ყველაზე უფრო ფართო შესაძლებლობები გააჩნია, ეკონომიკური ზრდის გზიდან ჩამოიშოროს სოციალური მოწყობის ხასიათიდან გამომდინარე დაბრკოლებები. მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს საზოგადოება შეაგულიანოს, უარი თქვას რელიგიურ ფატალიზმზე და შეიგნოს სოციალური აქტიურობის ფასეულობა.

სახელმწიფოს მიერ ბაზრის რეგულირება მქლავნდება მისი (სახელმწიფოს) ეკონომიკური ფუნქციების რეალიზაციით, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვანია და მიმართულია შემდეგი ეკონომიკური მიზნების მისაღწევად:

ეკონომიკური ზრდა – ეს მიზანი ითვალისწინებს მატერიალური სიკეთეების წარმოების მოცულობების ზრდას, მათი ხარისხის გაუმჯობესებას, ცხოვრების მეტად მაღალი ღონის უზრუნველყოფას.

ეკონომიკური ეფექტიანობა – მოითხოვს უდიდესი (უკეთესი) შედეგების მიღებას არსებული შეზღუდული საწარმოო რესურსების მინიმალური ხარჯვით.

შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება – მოგვცემს იმის შესაძლებლობას, ყველა, ვისაც შეუძლია და სურვილი აქვს იმუშაოს, უზრუნველვყოთ სამუშაო ადგილით მათი მოთხოვნილებებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

ფასების სტაბილური ღონე – ფასების საერთო ღონის სერიოზული აწევა და დაწევა იწვევს ეკონომიკის დესტაბილიზაციას მთლიანობაში, წარმოიშვება დამაბულობა, სხვადასხვა სახის სიძნელეები ეკონომიკურ საქმიანობაში (ინფლაცია და დეფლაცია), რომლებსაც უნდა ვერიდოთ.

ეკონომიკური თავისუფლება – მეწარმეები, საბაზრო ეკონომიკის ძალაუფალი სუბიექტები უნდა ფლობდნენ თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაში თავისუფლების მაღალ ხარისხს.

შემოსავლების სამართლიანი განაწილება – შემოსავლები საბაზრო ეკონომიკის პოზიციიდან, რომლებიც მიღებულია კონკურენტული ბრძოლით, სამართლიანია; პრინციპი „თანაბარ კაპიტალზე – თანაბარი მოგება“ მოქმედებს, როგორც ტენდენცია; გამათანასწორებელი განაწილება დაუშვებელია; ამავდროულად, ცივილიზებული საზოგადოების არც ერთი ჯგუფი არ უნდა იმყოფებოდეს სიღარიბეში, როდესაც სხვები ეფლობიან ფუფუნებაში.

ეკონომიკური უზრუნველყოფა – ნომინალური არსებობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვადასხვა სოციალური და საქველმოქმედო ფონდების ხარჯზე, ქრონიკული ავადმყოფების, შრომისუნარო, არა ქმედითუნარიანი და მოხუცებული მოსახლეობისა.

საეაჭრო ბალანსი – ითვალისწინებს ეროვნული ეკონომიკის საგარეო ვაჭრობის იმპორტისა და ექსპორტის დაბალანსებული შეფარდების მხარდაჭერას; ასევე საერთაშორისო საფინანსო გარიგების ბალანსს.

ჩამოთვლილი მიზნების – ანალიზი გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი საკითხი შეიძლება იყოს წინააღმდეგობაში ანდა ურთიერთგამორიცხავდეს ერთმანეთს. მაგალითად, ეკონომიკურმა ზრდამ და სრულმა დასაქმებამ შეიძლება გამოიწვიოს ფასების ზრდა და წარმოშვას ინფლაცია. გათანაბრების უზრუნველყოფის მიზანდასახულობამ შეიძლება გამოიწვიოს შემოქმედების მოტივაციის დაქვეითება, სარისკო შრომა და ამით დაასუსტოს ეკონომიკური ზრდა. შედეგად, საზოგადოება იძულებულია გამოიმუშაოს პრიორიტეტების სისტემა ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც სხვადასხვა დროის პერიოდებისათვის იქნება სხვადასხვა, ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონებისათვის.

საზოგადოების ეკონომიკური მიზნების მიღწევის კონკრეტული პროგრამების გამომუშავება ჩადებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველში.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოსათვის. მისი გადაწყვეტის ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის განვითარების მომავალი. სახელმწიფოს აქტიური ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია რეფორმების გატარება, საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევა და პროგრესის მიღწევა.

საერთოდ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შესახებ გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომელსაც უმნიშვნელო შენიშვნებით აღიარებს ეკონომიკური აზრის ყველა ძირითადი მიმართულება. მათ შორისაა: ფულის ემისია და ფულადი სისტემის რეგულირება; საბაზრო ურთიერთობების, მათ შორის კერძო საკუთრებისა და მომხმარებელთა უფლებების საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მხარდაჭერა; კონკურენტული გარემოს მხარდაჭერა და ეკონომიკის მონოპო-ლიზაციის აკრძალვა; საზოგადოებაში მაღალი სოციალური დიფერენციაციის დაძლევა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა. ასევე სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციადაა აღიარებული – ეკონომიკის შემდგომი სტაბილიზაციის, მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, ეკოლოგიური და სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისადმი ხელშეწყობა, ინოვაციური საქმიანობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერით.

საინტერესოა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის დინამიკა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. შეიმჩნევა დიდი მსგავსება განვითარებად ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან. ეს ბუნებრივია, რადგან მათთვისაც აქტუალურია ისეთი ამოცანები, როგორიც არის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესისა და საერთოდ, განვითარების დაჩქარება. ეს ამოცანები კი განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობას. ამავე დროს ისინი ხასიათდებიან ისეთი თავისებურებებით, როგორიც არის

სოციალისტური ცენტრალიზებული გეგმიანი სისტემის დემონტაჟისა და საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის აუცილებლობა. ეს მოითხოვს ეკონომიკაში სახელმწიფოს დომინირებადი როლის ლიკვიდაციას, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ლეგიტიმაციას, მეურნეობის განსახელმწიფოებრიობას, კონკურენტული ურთიერთობების დამყარებას, ინტერესების ჰარმონიზაციას. მართალია, სახელმწიფოს დომინირებადი როლი უნდა მოისპოს, მაგრამ ახალი ინსტიტუციური გარემოს, საბაზრო კულტურის ჩამოყალიბება სახელმწიფოს აქტიური საკანონმდებლო, მაკორდინებელი და მასტიმულირებელი ზემოქმედების გარეშე, უბრალოდ, ვერ განხორციელდება. ამას ადასტურებს არა მარტო პოსტსოციალისტური ქვეყნების, არამედ საერთოდ, მსოფლიოს გამოცდილება.

„პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ცენტრალიზებული გეგმიანი სისტემის დემონტაჟის, საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბების გახანგრძლივება, ღრმა განხეთქილება საზოგადოებასა და ხელისუფლებაში. კონკურენტული ურთიერთობების უქონლობა, სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება, მოსახლეობის დიდი ნაწილის სიღარიბე, ძალიან მაღალი კორუფცია, კრიმინალური ურთიერთობების გაბატონება ეკონომიკაში. ასეთ პირობებში რა თქმა უნდა არ შეიძლება ლაპარაკი ეკონომიკურ დემოკრატიაზე, პირიქით, გაბატონებულია ავტორიტარული ურთიერთობები, ნომენკლატურული კაპიტალიზმი“.<sup>7</sup> სახელმწიფო ფაქტობრივად ვერ ასრულებს თავის უშუალო ფუნქციებს – ვერ უზრუნველყოფს წესრიგს, მოსახლეობის სოციალურ დაცვას და ა. შ.

ზემოთ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ტრანსფორმირდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალობაზე. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ამალღების

---

<sup>7</sup> Ховард К., Журавлева Г., Эриашвили Н. Экономическая теория. Москва, Изд-во «Юнити», 1997, стр. 194.

აუცილებლობა შეძლევი ფაქტორებითაა გამოწვეული: „ბაზრის ფიასკო“, როდესაც კერძო სექტორი არ არის დაინტერესებული, ობიექტური მიზეზების გამო, ინვენტიციების ჩადებით ისეთ სფეროებში, საიდანაც ამონაგების მიღებას ხანგრძლივი დრო სჭირდება ან ნაკლებად მომგებიანია. ასეთია: მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროები, რადგანაც თანამედროვე ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევები, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნა იმდენად კოლოსალურ სახსრებს მოითხოვს, რომ მათი დაფინანსება სახელმწიფოს დახმარების გარეშე კერძო სექტორს არ შეუძლია. ამიტომ, ეს სფერო, უპირატესად სახელმწიფოს მიერ სტიმულირდება და ფინანსდება; ასევე, ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი მოწყობის აუცილებლობა, მათ შორის კონკურენციის დაცვისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება; გლობა-ლიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება, კონკურენტ-უნარიანობის ღონისძიებების განხორციელება, სოციალური თანასწორობის, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა და სხვა.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრისათვის აუცილებელია ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინება.

მეორე მხრივ, ყოფილი სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიუღებელია როგორც სახელმწიფოს დომინირება მეურნეობაში, ასევე სახელმწიფოს როლის მინიმიზაცია, გამოდევნა ეკონომიკიდან. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეფასებისათვის მთავარია არა მისი ეკონომიკაში ჩარევის ხარისხი, მასშტაბი, არამედ მისი ეფექტიანობა, თუ რამდენად პასუხობს იგი ისტორიულ გამოწვევებს, ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს. თუ ჩარევის ხარისხი, იწვევს ცხოვრების ხარისხის, ეკონომიკური ეფექტიანობის, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაშინ იგი მისაღები და აუცილებელია, ხოლო თუ პირიქითაა, მაშინ – მიუღებელია. ამიტომ საჭიროა ვიმსჯელოთ არა მაღალი ან დაბალი როლის

შესახებ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ოპტიმიზაციაზე, ეფექტიანობაზე, რამდენად უკეთ პასუხობს იგი განვითარების გამოწვევებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი შედარებით მაღლდება ინსტიტუციური და სტრუქტურული ტრანსფორმაციების განხორციელებისათვის. ამასთან, არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ამაღლება არ გულისხმობს მისი მეწარმეობრივი საქმიანობის გაფართოებას. ეს შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მოხდეს, ომების ან სხვა ექსტრემალურ სიტუაციაში. იგი გულისხმობს მისი ეკონომიკური ფუნქციების როლის ამაღლებას, რომელთაგან თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

ეროვნული ინტერესების რეალიზაციის ფუნქცია, რომელიც უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას გულისხმობს;

ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი მოწყობის ფუნქცია, რომლის ძირითადი ელემენტებია ქვეყანაში წესრიგის, კონკურენციის, სოციალური თანასწორობის, პასუხისმგებლობის, ნდობისა და შრომის კულტურის დამკვიდრება;

„ბაზრის ფიასკოს“, ექსტერნალიების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების, პროფილაქტიკის ფუნქცია;

ეკონომიკის რეგულირების, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია, მათ შორის, ფინანსურ-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, სოციალური, სტრუქტურული, რეგიონული, საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა.

სახელმწიფომ პირველ რიგში, უნდა იზრუნოს თავისი სახელისუფლებო ფუნქციების შესრულებაზე, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ქცევის წესების შემუშავებითა და შესრულებით, ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფით. იმავდროულად, აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება, მათ შორის ინდიკატური ღებგემვის, მიზნობრივი

პროგრამების, სახელმწიფო დაკვეთების, საგადასახადო-ფინანსური, ფულად-საკრედიტო, სოციალური, სტრუქტურული, ინვენსტიციური პოლიტიკის მეშვეობით. რაც მთავარია, კორუფციასთან, კრიმინალურ სტრუქტურებთან აქტიური ბრძოლითა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევით, სახელმწიფომ უნდა შეძლოს ქვეყანაში კონკურენტული ატმოსფეროს ჩამოყალიბება. არსებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური ფუნქციების გაძლიერებას მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

## 1.2. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი თეორიები

ჩვენი ნაშრომის ამ ნაწილის მიზანია იმ თეორიული საფუძვლების განხილვა, რომლებიც ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას ეხმიანება და იმის გაანალიზება თუ რამდენადაა დაშორებული პოსტსაბჭოთა გარემოში და კონკრეტულად საქართველოში შექმნილი სიტუაცია ამ თეორიებში აღწერილი იდეალური, საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკისაგან.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ კლასიკოსები და ნეოკლასიკოსები უარყოფენ სახელმწიფოებრივი რეგულირების ბევრ ფორმას, რაც მათი ლოგიკით, იწვევს საბაზრო-ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის უხეშ დარღვევებს. კეინსიანელები კი პირიქით, თვლიან, რომ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, ეკონომიკური სისტემა არასრულყოფილად ეფექტიანად ფუნქციონირებს.

ჯონ მეინარდ კეინსმა დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთის ეკონომიკური მეცნიერების, კერძოდ კი სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაზე, რასაც ის კრიზისების დაძლევის და კაპიტალისტური ეკონომიკის საწარმოო რესურსების სრულად დატვირთვის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევდა. მან ეჭვქვეშ დააყენა



კლასიკოსების მოდელის მასტაბილიზებული მექანიზმის უმნიშვნელოვანესი საქონლის ბაზრებზე მოქნილი ფასების ეფექტიანობა. კეინსი გამოდიოდა ბიუჯეტის ხარჯების გაზრდის მოთხოვნით: კერძოდ, სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების, საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზების, ინფრა-სტრუქტურის, მშენებლობის და სხვა სფეროებში მსხვილი პროექტების დაფინანსების მოთხოვნით.

ამავე მიმართულებით უნდა „ემუშავა“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასაც, რომელსაც უნდა შეემსუბუქებინა დაკრედიტების პირობები დაქვეითებისა და კრიზისის პერიოდში და განემტკიცებინა იგი კონიუნქტურის მეტისმეტად ზრდის პირობებში.

კეინსიანელების პოზიციების განმტკიცებამ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან 60-იანი წლების შუახანებამდე სახელმწიფო რეგულურების მქონე დასავლეთევროპულ ქვეყნებში არ მომხდარა ღრმა ეკონომიკური კრიზისი. 60-იანი წლების არნახულად ხანგრძლივ აღმავლობას აშშ-ში, რომელიც თითქმის 8 წელიწადი გრძელდებოდა, კეინსიანელების მიმდევრებმა მათი ეკონომიკური პოლიტიკის ტრიუმფი უწოდეს.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა იმის რწმენას, რომ სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი მეტ-ნაკლებად მოგვაარებულა. ხოლო მისი დამამკვიდრებელი თეორია სწორია და დიდი მეცნიერული ავტორიტეტი გააჩნია.

პოსტსაბჭოთა გარემოში მიმდინარე რეფორმებმა დაგვანახა, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფოსათვის ეკონომიკური ფუნქციების გაძლიერება ამ სისტემაში აღრმავებს კორუფციას და გაუმჭვირ-ვალობას, მაგრამ ამაღლოულად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება ვერ ხერხდება, რადგან კერძო სექტორი და საშუალო ფენა (რასაც ეფუძნება საბაზრო ეკონომიკა) ამ საზოგადოებებში თითქმის არ არსებობს, ან ძალიან სუსტია.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კონცეფციები, რომლებიც კეთილ-დღეობის თეორიებს ემყარება, და რომლებიც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გახდა სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი ევროპის ქვეყნებში, ეფუძნება კემბრიჯის სკოლის (მარშალი, პიუ, კლარკი), ლოზანის სკოლის (პარეტო), შვედური სკოლის (ეიკსელი, ლინტალი) წარმომადგენელთა ნაშრომებს. რაც შეეხება უფრო თანამედროვე ავტორებს მათ რიცხვში შეიძლება საბუქსონი, ბერგსონი, ეროუ და სხვები დავასახელოთ. ცხადია, ზემოთ მოცემული ავტორების თეორიები ემყარება და აანალიზებს საბაზრო ეკონომიკურ სისტემას და მასში მოქმედ ავტორთა ქცევებს, რაც სრულიად განსხვავდება პოსტსაბჭოთა გარემოსაგან, მაგრამ ვერსია, რომლიდანაც გამოდიან კეთილდღეობის თეორიის მიმდევრები და რომელიც ავსტრიული სკოლის წარმომადგენლებს ეკუთვნით ყველა გარემოსათვის საერთოა: ინდივიდი მონაწილეობს საქონელთა და წარმოების ფაქტორთა ბაზრების ფუნქციონირებაში იმისთვის, რომ ოპტიმალური გახადოს საკუთარი კეთილდღეობა მის ხელთ არსებული რესურსებით მაქსიმალური სარგებლობის მიღების გზით.

ამდენად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოებრივი რეგულირების არსებული თეორიების გაანალიზება სწორედ იმიტომაც არის აუცილებელი, რომ შესაძლებლობა გვეძლევს შევადაროთ პოსტსაბჭოთა და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სისტემაში სახელმწიფოს შესაძლო რეგულირებას ან მანიპულირებას დაქვემდებარებული ცვლადები და პოსტსაბჭოთა გარემოს თავისე-ბურებებიდან გამომდინარე, შევიმუშაოთ ეკონომიკური ბერკეტების და ინსტრუმენტების შესაბამისი ნაკრები, რომელიც რეალურად იმუშავებს პოსტსაბჭოურ სისტემაში.

კაპიტალიზმმა და დემოკრატიათა ლოგიკურად წარმოშვა „სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია“, რომელიც პირველად ბერგსონმა გამოიყენა 30-იანი წლების დასაწყისში, და რომლის მიხედვითაც სოციალური კეთილდღეობა არის ინდივიდუალური კეთილდღეობების ჯამი.

სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია კლასიკური თეორიის ძირითად აქსიომებს ეყრდნობა:

- სოციალური კეთილდღეობა დამოკიდებულია ინდივიდუალურ კეთილდღეობებზე;

- იდეალური სამეურნეო მექანიზმი არის თავისუფალი საბაზრო სისტემა, რომელიც მისი ყველა მონაწილის კეთილდღეობის ოპტიმიზაციას უზრუნველყოფს;

- სახელმწიფო სტიმულს უნდა აძლევდეს საბაზრო სისტემის შეზღუდვებისაგან განთავისუფლებას და ამ გზით უწყობდეს ხელს სოციალური კეთილდღეობის მაქსიმიზაციას.

მართალია, კლასიკური ეკონომიკური მოდელების იმიტირება პოსტსაბჭოთა სივრცისათვის ამ ეტაპზე გამოუსადეგარია, მაგრამ ზემოთ მოტანილი დებულებების იდეალად მიჩნევას წინ არაფერი ეღობება. უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებით აქტუალურია მესამე აქსიომა. პოსტსაბჭოურ საზოგადოებაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის სიძლიერე სწორედ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მან თავისი გადაწყვეტილებებით გზა გაუხსნას თავისუფალი საბაზრო სისტემის განვითარებას.

თუმცა, აქ გარკვეულ წინააღმდეგობას აქვს ადგილი: ერთი მხრივ სახელმწიფოსათვის ეკონომიკური ფუნქციების გაძლიერების გარეშე პოსტსაბჭოთა სისტემის ფუნქციონირების სოციალური დანახარჯები ძალიან მაღალია და საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის ეკონომიკური სისტემა ნულოვან-ჯამოვან თამაშად იქცევა; მეორე მხრივ, სახელმწიფოს როლის გაძლიერება გზას უხსნის კორუფციას, რომელიც მაკროეკონომიკურ პრობლემად გვევლინება და ხელს უშლის რეფორმების მსვლელობის ეფექტიანობას.

განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლს განსხვავებულ შეფასებებს აძლევენ სხვადასხვა მიმართულებების ეკონომისტები.

პირველ ჯგუფში შესაძლებელია „ეკონომიკური ლიბერალიზმის“ ანუ „კლასიკური ეკონომიკური თეორიის“ მომხრეთა გაერთიანება. ამ მიმართულების ავტორთა მოსაზრებით

საბაზრო ეკონომიკა შინაგანად სტაბილურია და მასში გარედან ნებისმიერი ჩარევა იმისდა მიუხედავად, თუ საიდან მომდინარეობს და რა ხასიათს ატარებს ის, განაპირობებს ძლიერ და საშიშ მერყეობას, ეკონომიკურ კრიზისს და სოციალურ დაძაბულობას. აღნიშნულ მიმართულებას ეკონომიკურ თეორიაში ჩვენ ვუწოდებთ „კლასიკურ ლიბერალიზმს“ და იგი თავგამოდებით იცავს ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას, რომელიც ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა;
2. მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლება;
3. პირადი ინტერესის განსაზღვრა ინდივიდთა მოქმედების მთავარ მოტივად;
4. შეუზღუდავი კონკურენცია;
5. ფასების განმსაზღვრელი როლი ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაში;
6. სახელმწიფოს (მთავრობის) უკიდურესად შეზღუდული როლი ეკონომიკაში.

„კლასიკური ლიბერალიზმის“ თეორიას საფუძველი დაუდო ფრანგმა ეკონომისტმა ჟ.ბ. სეიმ, რომელმაც წამოაყენა მოქმედების თავისუფლების დოქტრინა.

კლასიკური ეკონომიკის ფუძემდებელი ა. სმიტი, ადამიანის მისწრაფებას საკუთარი კერძო ინტერესის რეალიზაციისაკენ – სარგებლის მიღებისაკენ, ეკონომიკური პროგრესის ძირითად მამოძრავებელ მოტივად მიიჩნევდა. სმიტი თვლის, რომ სახელმწიფო მხოლოდ მინიმალურად უნდა ერეოდეს ეკონომიკაში, რადგან ეკონომიკა (ბაზარი) თვითრეგულირებით წესრიგდება თავისუფალი ფასების მეშვეობით, რომელიც ყალიბდება მიწოდებისა და მოთხოვნის საფუძველზე, ასეთ რეგულირებას მან „უხილავი ხელი“ უწოდა.

მარჟინალისტური თეორიების მიხედვით, საზოგადოება წარმოადგენს რაციონალურად მოქმედი სუბიექტების ერთობლიობას და მისი წევრების კეთილდღეობა ხასიათდება სარგებლიანობის ინდივიდუალური ფუნქციით. განსხვავება

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საზოგადოებასა და პოსტსაბჭოთა საზოგადოებას შორის ის არის რომ პირველში სახელმწიფო და ზოგადად ხელისუფლება რაციონალურ ქმედებად განიხილავს ინდივიდების კეთილდღეობაზე ორიენტირებას, რადგან ეს არის ერთადერთი გზა მისი ხელისუფლური პოზიციის სამომავლოდ შენარჩუნებისაკენ. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა რაციონალურობას, ის ვერ სცდება მოკლევადიანი პირადი ინტერესების დაკმაყოფილებას, რადგან ხელისუფლების შენარჩუნება სუსტი დემოკრატიისა და გაუმჭვირვალობის პირობებში ნაკლებადაა დამოკიდებული საზოგადოების აზრსა და ქცევაზე.

იდეალური კეთილდღეობის სახელმწიფო შეიძლება დახასიათდეს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას აერცვლებს შინაგანი წესრიგის უზრუნველყოფასა და საგარეო უშიშროების დაცვაზე, ქვეყნის მოქალაქეთა სოციალურ კეთილდღეობაზე.

ამ ზოგად განმარტებას ორ ურთიერთდაპირისპირებულ კონცეფციასთან მივყავართ. ესენია: სოციალური პოლიტიკის „სიუხვის საზოგადოების“ და „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მოდელები. პირველის თანახმად, სახელმწიფოს საქმიანობა სოციალური დახმარების სფეროში უნდა იქნას კონცენტრირებული ცხოვრების დონის გარკვეული სტანდარტებისა და დინამიკური ზრდის ხელშეწყობაზე ისე, რომ სახელმწიფოს არავითარ უშუალო ჩარევას წარმოებისა და განაწილების მექანიზმში ადგილი არ ჰქონდეს; მეორე მოდელის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში მატერიალური დოვლათისა და წარმატებული კარიერის შანსის თანაბარი განაწილების გზით.

ევროპაში, როგორც კონსერვატორები, ასევე სოციალ-დემოკრატები აღიარებენ, რომ ფუნქციონირებადი ბაზარი გულისხმობს სამოქალაქო წესრიგს. სწორედ სახელმწიფო და არა ბაზარი აკანონებს და იცავს საკუთრების უფლებებს; სახელმწიფო და არა ბაზარი უზრუნველყოფს კონტრაქტების შესრულებას; სახელმწიფო და არა ბაზარი უზრუნველყოფს

საზოგადოებრივ წესრიგს და ქმნის უსაფრთხო გარემოს, რაც ახდენს ინვენსტირების სტიმულირებას. ამ რადიკალური იდეების პოპულარობის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ქმედება არის აუცილებელი პირობა განსახელმწი-ფოებრიობისათვის, რომელსაც მიეყავართ სამოქალაქო ეკონომიკისაკენ. თუ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ხელს უწყობს სოციალურ აქტივობაზე სახელმწიფოს კონტროლის მოსპობა, პირიქით, სამოქალაქო ეკონომიკის ჩამოყალიბება დამოკიდებულია სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე შემოიღოს კანონები, რომლებიც სჭირდება ბაზარს, რათა იფუნქციონიროს.

ბაზრის ფიასკოს თეორიის კრიტიკოსები თვლიდნენ, რომ სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკისადმი მიდგომა უნდა მოხდეს არა მხოლოდ იმ ფართო სოციალური მიზნებიდან გამომდინარე, როგორცა არის ეფექტიანობა და სამართლიანობა, არამედ იმ საშუალებათა მიხედვით, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები სახელმწიფო დაწესებულებებს პირადი მიზნების მისაღწევად იყენებენ. ასეთ მიდგომას ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისადმი საზოგადოებრივი არჩევანის თეორია ჰქვია, რომლის ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა რენტა. რენტა, ჩვეულებრივ, არის გადასახადი რაიმეს გამოყენებისათვის, მაგრამ ბიუკენენის თეორიის თანახმად მას რამდენიმე სპეციალური დატვირთვა აქვს. მასში იგულისხმება ნებისმიერი გადასახადი, რომელიც მოდის წარმოების რომელიმე ფაქტორის წილად და რომელიც (გადასახადი) აღემატება მის ღირებულებას.

რენტის მიღება და დაცვა სახელმწიფოს მეშვეობით ცნობილია პოლიტიკური რენტის ძიების სახელწოდებით ან უბრალოდ რენტის ძიების სახელწოდებით, თუმცა ამ შემთხვევაში, იგულისხმება პოლიტიკური ასპექტი.

შეხედულება, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფო პოლიტიკა ყოველთვის არ უზრუნველყოფს ეფექტიანობისა და სამართლიანობის ზრდას ეკონომიკაში, არ არის განსაკუთრებული სიახლე საზოგადოებრივი არჩევანის თეორიისათვის. მაგრამ ეს

თეორია უფრო სერიოზულ პრობლემებს აყენებს. კერძოდ, წარმოადგენს შეხედულებას, რომლის თანახმადაც რენტის ძიების ელემენტი ქმნის სისტემატიურ ტენდენციებს, რომლის გამოც სამთავრობო პროგრამები არა მხოლოდ აღმოფხვრიან, არამედ, პირიქით, იწვევენ ეკონომიკურ არაეფექტიანობას, ანუ მთავრობის ფიასკოს.

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მიმდევრები, მთავრობის ფიასკოს ცნების შემოტანით არ გულისხმობენ, რომ მთავრობა მულამ უწესრიგობას ქმნის ეკონომიკაში, ხოლო ბაზარი მულამ უნიკალურად ფუნქციონირებს. ისინი უბრალოდ, დემონსტრირებას უკეთებენ იმას, რომ ბაზარიც და მთავრობაც არასრულყოფილი ინსტიტუტებია. როცა გადაწყვეტილება მიიღება იმის შესახებ, თუ ვინ უკეთესად შეასრულებს ამა თუ იმ ფუნქციას, სახელმწიფო თუ ბაზარი, აუცილებელია ერთმანეთს შევადაროთ მთავრობის ფიასკოს და ბაზრის შესაძლებლობათა ალბათობები.

საყურადღებოა 1950 წელს გამოქვეყნებული ეროუს ნაშრომი, სადაც გაანალიზებული იყო ინდივიდუალური უპირატესობების ფუნქციათა 36 კომბინაცია 5 აქსიომასთან შესაბამისობაში მოყვანით. აღმოჩნდა, არსებობს ისეთი კოლექტიური არჩევანის მეთოდი, რომელიც ხუთივე აქსიომას ერთდროულად აკმაყოფილებს და არ არსებობს კოლექტიური გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიცავს ერთ-ერთი მონაწილის ნაწილობრივ დიქტატს.

„კოლექტიური არჩევანის“ კონცეფციის ზოგადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია არის საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობა და დაცვა. ისინი ამტკიცებენ სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას და იმას, რომ სახელმწიფოს როლის საკითხის მწვავე განხილვები გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკის არასრულყოფილებით. ამ მიმდინარეობის მეცნიერთა მიხედვით სუბიექტის ყოველნაირი მოქმედება ფულად გამოხატულებაში ვერ გაიზომება და ეს ძირითადად „გარეშე ზეგავლენით“ ხდება, ამიტომ პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს ევალება. მათი აზრით, საჭიროა სპეციალური გადასახადის დაწესება იმ

საწარმოებისათვის, რომლებიც აბინძურებენ გარემოს. ამ ღონისძიებით მოხდება ფულადი სახსრების გადაქაჩვა იმ ადამიანთა სასარგებლოდ, რომლებიც ამ დაბინძურებისაგან დაზარალდნენ. ეს სახსრები მეტ-ნაკლებად დააკომპენსირებს მათი კეთილდღეობის შემცირებას.

კეთილდღეობის თეორია გულისხმობს საბაზრო მექანიზმის ნაკლოვანებათა გამოსწორებას საბიუჯეტო შემოსავლების გადანაწილების გზით. ამ კონცეფციის მომხრეთა აზრით, სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს გარე ზემოქმედებანი და დააკმაყოფილოს მოთხოვნა „საზოგადოებრივ საქონელზე“. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს ეკონომიკაში წონასწორობის მდგომარეობის მიღწევა, რაშიც იგულისხმება სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის იდეალური მდგომარეობა, რომელიც გარე ზემოქმედებათა სახელმწიფოებრივი რეგულირებით არის გამყარებული.

მარჟინალური ვერსიის თანახმად, ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალური პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილი იყოს კონკურენტული პროცესის ეფექტიანობა, რომელშიც „გარე ზემოქმედებანი“ აღინიშნება.

საინტერესოა ტინბერგენის კონცეფცია, რომელიც კენსიანური მიმდინარეობის გავლენას განიცდის. მისი ავტორი გულისხმობს, რომ აუცილებელია ეფექტური მოთხოვნა იქცეს სახელმწიფოს რეგულირების ობიექტად.

ეკონომიკურ კატეგორიებს, როგორც ცნობილია, ტინბერგენი სამ ჯგუფად ჰყოფს:

პირველ ჯგუფში შედის ის კატეგორიები, რომლებიც ახასიათებენ იმ მოვლენებს, რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ, სრულად თუ ნაწილობრივ კონტროლდება სახელმწიფოს მიერ, მათ განზოგადებული სახელი – ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები ჰქვია;

მეორე ჯგუფში შედის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ ცვლადებს და ჰქვიათ პოლიტიკის მიზნები, ფასების



ღონე და დასაქმება, საგადასახადო ბალანსის სალდო, ეკონომიკური ზრდის ტემპი;

მესამე ჯგუფში შედის ცვლადები, რომლებიც ვერ კონტროლდება სახელმწიფოს მიერ და არ წარმოადგენენ საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაჩვენებლებს (კაპიტალი და სამუშაო ძალის მიწოდება, კერძო ინვენსტიციები, წარმოების ღონე და ა. შ.).

აქედან გამომდინარე, ტინბერგენის ოპტიმალური რეგულირების თეორიის მიხედვით, ოპტიმალური რეგულირების პროექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მიზანია შერჩეული და მისი რომელი მნიშვნელობა არის მიჩნეული საუკეთესოდ. ამასთან, ტინბერგენი, ამბობს, რომ თუ ინსტრუმენტების რაოდენობა მიზნების რაოდენობაზე ნაკლებია, არ არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმიზაციის გარანტია, რადგან ასეთ შემთხვევაში იზრდება დამატებითი გადაუწყვეტელი პრობლემების გაჩენის ალბათობა.

ტინბერგენის კონცეფციაზე დაყრდნობით წარმოიშვა მისი მრავალი ნაირსახეობა, რომელთაგან გამოირჩევა ამერიკელი ეკონომისტის მანდელის კონცეფცია, რომელიც შემდეგი შინაარსის არის: ეკონომიკური ზრდის რეგულირების ინსტრუმენტების არჩევისას, სჯობს უპირატესობა მიენიჭოს საბიუჯეტო დანახარჯებს და არა ფულის მიწოდების ცვლილებას. ამასთან, იგი ამბობს, რომ ფულად პოლიტიკას გააჩნია პრიორიტეტები საბიუჯეტოსთან შედარებით, თუ საუბარია საგადასახადო ბალანსის პრობლემებზე. რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც ვიზილავთ ღია ეკონომიკას, ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები ნაკლებად ეფექტიანია. მაგალითად, ანტიინფლაციური რეგულირება შეიძლება შეიზღუდოს მოკლევადიანი კრედიტების საერთაშორისო გაცვლით, მაგრამ ამასთან ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი გავლენა გარკვეულწილად, განუსაზღვრელი და უმართავია. ტინბერგენი თვლიდა, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზნებად განიხილება სახელმწიფო ხარჯების მოცულობა, რეალური ხელფასის ზრდის ტემპი, დასაქმების ღონე, ერთობლივი მოთხოვნა, შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება,

ინვენსტიციის დონე და საგადასახადო ბალანსის წონასწორობა, საგადასახადო ბალანსის უმართავი დეფიციტების ლიკვიდაცია - საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპების სიმყარე - ეკონომიკური დინამიკის პოლიტიკის ამოცანებია.

სამუელსონი-სოლოუს მიხედვით სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა მდგომარეობს რეგულირების ინსტრუმენტების ისეთ მანიპულირებაში, რომელიც ეკონომიკაში ქმნის სახელმწიფოს ინტერესებისა და ეკონომიკის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობას. ამ კონცეფციის შექმნელების მიხედვით, მოცემული ამოცანის განსახორციელებლად საჭიროა ფისკალური და ფულადი პოლიტიკის გატარებაზე ორიენტირების აღება.

საქართველოს პირობებში, ვფიქრობთ, პოსტკომუნისტური თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობის გამო, სასარგებლო იქნება სამუელსონი-სოლოუს მოსაზრების გათვალისწინება რეგულირების ინსტრუმენტების ისეთი მანიპულირების შესახებ, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ინტერესებისა და ეკონომიკის შესაძლებლობათა შესაბამისობაში მოყვანას და რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ეკონომიკის გრძელვადიანი რეგულირების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სოციალური დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანა.

კლასიკური პარეტიანელობა ეყრდნობა რაციონალური ქცევის პრინციპს, როგორც პოსტულატს, მისგან გამომდინარეობს მოთხოვნებიც, რომლებიც სახელმწიფოს გადაწყვეტილებებს წაყენება. ამ მეცნიერთა აზრით, ადამიანის რაციონალური ქცევა ეფუძნება ეთიკურ საფუძველს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „ინდივიდუალური ეკონომიკური ეთიკა“, რომელიც ადამიანშია ჩადებული, გულისხმობს სარგებლიანობისა და დანაკარგების გათვლას.

კალდორმა, თვლიდა რა პარეტოს თეორიას არარეალურად იმის გამო, რომ მასში ჩართული იყო მთელი საზოგადოება, მას დაუმატა ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია უმრავლესობით, მაგრამ იძლევა დადებით სხვაობას ინდივიდუალურ

სარგებლიანობასა და ინდივიდუალურ დანაკარგებს შორის. ამ სხვაობის მოცულობა საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ აღდგენილ იქნას „უმცირესობების კოალიციის“ მიერ გამოწვეული დანაკარგი. მაშინ მიმდინარეობს სოციალური კეთილდღეობის აბსოლუტური ზრდა კეთილდღეობის ინდივიდუალური შეფასებების შემცირების გარეშე. ასე, რომ დაცულია პარეტოს პრინციპიც. კალდორი თვლიდა, რომ სახელმწიფოს გადაწყვეტილებებისაგან მიღებული სარგებლოანობისა და დანაკარგების სხვაობა გაზომვადია და ობიექტურად განისაზღვრება.

ბერგსონი და სამუელსონი თვლიდნენ, რომ სოციალური კეთილდღეობის დამოკიდებულება კეთილდღეობათა ინდივიდუალურ შეფასებებაზე და ასევე სახელმწიფოს გადაწყვეტილებების დამოკიდებულება „ინდივიდუალურ ეკონომიკურ ეთიკაზე“, ძალაში რჩება. „სახელმწიფო ეთიკის“ მთავარი ელემენტი, მათი აზრით, არის ინდივიდუალური სარგებლიანობისა და დანახარჯების გათვლა.<sup>8</sup>

ზემოთ ხსენებულ კონცეფციაში ლიკვიდირებულია პარეტოს მხოლოდ ერთი აქსიომა, რომელშიც მტკიცდება სოციალური კეთილდღეობის დამოკიდებულება ინდივიდუალური კეთილდღეობის ყველა შეფასებისაგან.

ბერგსონისა და სამუელსონის პოზიცია მხარდაჭერილ იქნა სხვა მეცნიერთა მხრიდანაც, რომელნიც გაერთიანდნენ პარეტოს ინდივიდუალიზმის კრიტიკის პლატფორმით. ომისშემდგომი წლებიდან, იგი ითვლება სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების მექანიზმის საუკეთესო ახსნად. ამ პოზიციას ეყრდნობოდნენ კეინსიანელები: ტიმბერგენი, თეილი და ოპტიმალური რეგულირების სხვა ავტორები. როგორც ამერიკელი ეკონომისტი მოვიტცი აღნიშნავს, ნებისმიერი სამთავრობო პროგრამის საფუძვლად გვევლინება ეკონომიკის პრიორიტეტული

---

<sup>8</sup> Лившиц А. Я. Введение в рыночную экономику. М.: Т. П. О. Квадрат, 1991., стр. 66.

მდგომარეობის ის შეფასებები, რომლებიც საბოლოოდ, სუბიექტურ ბუნებას ამჟღავნებენ და დამოკიდებულნი არიან სახელმწიფო მოღვაწეთა ინდივიდუალურ აზრზე.

ისევე როგორც ნეოკლასიციზმის პრინციპებზე წარმოშობილი სხვა ყველა მიმდინარეობა, მონეტარიზმიც რეალური საბაზრო ეკონომიკური მდგომარეობის გაცილებით უფრო ზუსტ და რაციონალურ შემფასებლად გვევლინება, ვიდრე კენსიანელობა.

მისი არსი მდგომარეობს მაკროეკონომიკურ დონეზე, კენსიანური ინსტრუმენტის – ფისკალური პოლიტიკის ნაცვლად, ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირების მოქნილი პოლიტიკის გამოყენებაში.

თუ კარგად დაუვკვირდებით მონეტარიზმის არსს, ნათლად დავინახავთ იმ უტყუარ ფაქტს, რომ მონეტარისტული კონცეფცია წარმოადგენს, თანამედროვე ისტორიული პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით, ნეოკლასიკური სკოლისა და კენსიანელების იდეათა ახლებურ, ორიგინალურ სინთეზს. ეს ბუნებრივია რადგან სამივე (ნეოკლასიკური, კენსიანური და მონეტარისტული) თეორია, შინაგანი წინააღმდეგობებისა და ზოგიერთი ურთიერთგამომრიცხველი პოზიციის მიუხედავად, ისახავს ერთსა და იმავე კეთილშობილურ მიზანს – საბაზრო ეკონომიკის სოციალური პოტენციალის სრულად რეალიზაციას.

რაც ყველაზე პრინციპული და მნიშვნელოვანია, რეგულირების მონეტარისტული მეთოდები გულისხმობს საბაზრო სისტემის პრინციპების განუხრეველ დაცვას. ამასთან, ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ერთი ფაქტი: თითქმის ყველა პუნქტში ხაზგასმით აღინიშნება, რაიმე ღონისძიების გატარებისას უნდა გამოვიდეთ ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი მიზნებიდან, უნდა ვიმოქმედოთ ჩვენს მიერვე განსაზღვრული გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებით. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება მოსაზრება ბიუჯეტის ხარჯების შეზღუდვის შესახებ იმ ღონისძიებათა დაფინანსების ხარჯზე, რომლებიც უკავშირდება ბაზრის მექანიზმის ფუნქციონირებაში ჩარევას.

სახელმწიფო რეგულირების მონეტარისტულ პროგრამაში შემდეგი ფუნქციები შედის: <sup>9</sup>

– რეგულირების მიზანი უნდა იყოს ინფლაციის ტემპის შემცირება და მისი სტაბილიზაცია;

– ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ფულადი რეგულირების ცვლილებებით;

– ფულის საშუალოწლიური მოცულობა და მიწოდების დინამიკა უნდა შეესაბამებოდეს „ძირითად ფულად კანონს“!

– თანამედროვე ეკონომიკაში ადგილი უნდა ჰქონდეს უზუშევრობის დონის სტიქიურ მერყეობას და თუკი ეს ბუნებრივზე დაბალია, მის ზრდასაც;

– დაუშვებელია ფულადი პოლიტიკის გამოყენება ფასებისა და დასაქმების მოკლევადიანი რეგულირებისათვის;

– იშვიათი გამონაკლისის გარდა, ფისკალური პოლიტიკა არ უნდა გამოიყენებოდეს მოკლევადიანი სტაბილიზაციის საშუალებად (წინააღმდეგ შემთხვევაში სტაგფლაცია გარდუვალია);

– სახელმწიფო ხარჯების მოცულობა უნდა შეიზღუდოს იმ დონისძიებათა დაფინანსების ხარჯზე, რომლებიც დაკავშირებულია საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაში ჩარევასთან;

– ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება უნდა იყოს გრძელვადიანი ფულადი სტრატეგიის განხორციელების საშუალება;

– ანტიინფლაციური რეგულირება შემოსავლების პოლიტიკით და მით უმეტეს, ფასებზე და ხელფასებზე კონტროლის სახით, უნდა გამოირიცხოს.

რაც შეეხება მიწოდების ეკონომიკის თეორიის მომხრეებს, ისინი ეკონომიკის გრძელვადიან რეგულირებაზე საუბრისას მხოლოდ ორ მიზანს გამოყოფენ: ფასების ზრდის ტემპის

---

<sup>9</sup> Лидлейн К. Буржуазные Теорий экономического развития. . Москва: «Дело», 1979, стр. 327.

შემცირებას და ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს. მონეტარისტები მხოლოდ ერთს – ინფლაციური პროცესების სტაბილურობას და მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ – ფასების ზრდის შემცირებას თანდათანობითი სავალუტო შეზღუდვების გამოყენების შედეგად.

XX საუკუნის 80-იან წლებში თავისი სრული შეუძლებლობა გამოამჟღავნა ყოვლისმომცველმა სახელმწიფო რეგულირების (დაგეგმარების) კონცეფციამაც. ამ კონცეფციის მომხრეებმა, რომლის ფუძემდებელი არის კ. მარქსი, თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს ძალით შეიძლება გადაწყდეს ყველა ეკონომიკური პრობლემა – სასიცოცხლო სიკეთების მრავალფეროვნების შექმნა, მოსახლეობის სრული დასაქმების უზრუნველყოფა, სოციალური სამართლიანობის და ჰარმონიის მიღწევა, ეკონომიკის მაღალი ეფექტურობის უზრუნველყოფა. ამ კონცეფციაში არ არსებობს ბაზარი. ეკონომიკური პოლიტიკა, ამ კონცეფციაზე დაფუძნებული, გატარებული იყო ყოფილ სსრკ-ში და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებში, რომელიც დაიშალა ამოუხსნელი ეკონომიკური პრობლემების ზეწოლით გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს.

ბოლო რამდენიმე ათწლეულში, იმ პროცესში, რაც საზოგადოება უფრო და უფრო სოციალისტური ხდებოდა, შეიმჩნა ნეგატიური ტენდენციები, რომელსაც ეკონომიკური ზრდის შენელება მოსდევდა. აღმოჩნდა, რომ ეს სისტემა იმდენად ეფექტური არ არის, რამდენადაც გვინდა, და ამიტომ საჭირო გახდა თავისუფალი ბაზრის სისტემის სრული აღდგენა.

XX-ს 80-90-იან წლებში, აღინიშნება თავისუფალი საბაზრო სისტემის მოდიფიცირების პროცესი მიმართული საბაზრო-კონკურენტული მექანიზმის გაძლიერებისაკენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულ შეკუმშვას. ხდება სახელმწიფოს შეგუება საბაზრო მექანიზმებთან, მისი ფორმების და, მეთოდების შეცვლა, ეკონომიკაზე მათი მოქმედების არჩევანის ოპტიმიზაცია. ის რაც ახლა არის დასავლეთში – ეს არის თავისუფალი ეკონომიკა, რომელიც

შეიცავს დაგეგმვის ელემენტებს. ყველა წარმატებით მოქმედი ეკონომიკური სტრუქტურები მსოფლიოში მუშაობენ სახელმწიფოებზე ამ სექტორით და მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გადაუხვევენ, იქმნება ეკონომიკისათვის არახელსაყრელი პირობები, როგორც ეს მოხდა სსრკ-ში და სხვა ტოტალურ ქვეყნებში. თავისუფალი ბაზარი ეყრდნობა მთავრობის მიერ შეზღუდული ჩარევის მოდელს, რომელიც აღწერილია ჯერ კიდევ ა. სმიტის მიერ.

ამ და რამდენიმე სხვა თეორიების გამოყენების შედეგად, რომლებიც შეზღუდულად შევიდა დასავლეთის ეკონომიკურ კულტურაში, აშშ და სხვა დასავლეთის ქვეყნები, კეთილმოწყობილ ქვეყნებად იქცა.

უნდა ითქვას, რომ 80-იანი წლებისათვის ზემოთ განხილული კონცეფციებისადმი განვითარებული ქვეყნების დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად შეიცვალა და ჩამოყალიბდა მიდგომები, რომლებიც ძირითადად გულისხმობდა კეთილდღეობის სახელმწიფოდან კეთილდღეობის საზოგადოებაზე გადასვლას, რაშიც იგულისხმებოდა საზოგადოებრივი და კერძო სექტორის დახმარებების ახალი ფორმების შერჩევა უმთავრესად სამოქალაქო საბაზრო ეკონომიკის სუბიექტთა აქტიური ჩარევით წარმოების, დაგეგმვისა და მომსახურების პროცესში.

### 1.3. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები საბჭოური სოციალიზმის პირობებში

მსოფლიოს სხვადასხვა ეკონომიკური სისტემები განსხვავდებიან თავიანთი იდეოლოგიით და ეკონომიკის პრობლემათა გადაწყვეტისადმი მიდგომით. ძირეული განსხვავებაა:

ა) რესურსებზე კერძო და საზოგადოებრივ საკუთრებას შორის;

ბ) საკოორდინაციო მექანიზმის სახით საბაზრო სისტემის ან ცენტრალიზებული დაგეგმვის გამოყენებას შორის.

სოციალისტურ სისტემას ახასიათებს საზოგადოებრივი საკუთრება პრაქტიკულად ყველა მატერიალურ რესურსზე და

ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა კოლექტიური მიღება ცენტრალიზებული ეკონომიკური დაგეგმვის მეშვეობით. ყველა დიდი გადაწყვეტილება, რომელიც გამოყენებულ რესურსებს, პროდუქციის სტრუქტურასა და განაწილებას, წარმოების ორგანიზაციას შეეხება, ცენტრალური საგეგმო ორგანოს მიერ მიიღება. საწარმოები სახელმწიფოს საკუთრებაა და წარმოებას სახელმწიფო ღირებულებების საფუძველზე ახორციელებენ. სხვა სიტყვებით, საწარმოო გეგმები ყოველი საწარმოსათვის დგინდება მკვებავი ორგანოს მიერ, ამასთან გეგმა აკონკრეტებს რესურსების რაოდენობას, რომელიც უნდა გამოეყოს ყოველ საწარმოს, რათა მან შეძლოს თავისი საწარმოო ამოცანების შესრულება.

მუშები მიმაგრებული არიან პროფესიებზე და შეიძლება გეგმის მიხედვით განაწილებულ იქნან გეოგრაფიული რაიონების მიხედვითაც კი. ეროვნულ პროდუქტში წარმოების საშუალებებს და მოხმარების საშუალებებს შორის თანაფარდობა ცენტრალიზებულად დგინდება. იმავე წესით ხორციელდება სამომხმარებლო საქონელთა განაწილებაც მოსახლეობაში. წარმოების საშუალებები დარგებს შორის ნაწილდება გრძელვადიანი პრიორიტეტების საფუძველზე, რომელიც ცენტრალური საგეგმო ორგანოს მიერ წესდება.

1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების შედეგად ბოლშევიკურმა პარტიამ აიღო ძალაუფლება და დაიწყო სოციალიზმის აშენება.

სოციალიზმი თეორიულად საზოგადოებაა, სადაც დამყარებულია მშრომელი ხალხის ძალაუფლება და ადამიანებს აერთიანებთ საერთო მიზნები და ამოცანები. მისი ეკონომიკური საფუძველია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება.

სოციალიზმის განუყოფელი ნაწილია მისი ეკონომიკური სისტემა. თეორიულად იგი სოციალიზმის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და წარმოებითი ურთიერთობებია, რომლებიც ემყარება წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას. საკუთრების ეს ფორმა (ძირითადად სახელმწიფო)



წარმოშობს ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემას. მისი შესაბამისია ტოტალური-ლიტარული სახელმწიფო, საზოგადოება, სადაც დემოკრატია მხოლოდ ფიქციაა.

საბჭოური სოციალიზმის პირობებში, შეუძლებელია ეკონომიკის გაძლიერების სხვა მეთოდის გამოყენება, გარდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდისა. ეს მეთოდი არ უწყევს ანგარიშს არც ადამიანების მოთხოვნებს, არც მათ შესაძლებლობებს.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის დროს საბჭოთა კავშირში ნაკლებად იყო წუნი, გეგმის შეუსრულებლობა, გულგრილობა, ინერტულობა, თვითნებობა, დაუსჯელობის გრძნობა და სხვ. ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ პირველი ის არის, რომ ქვეყანას მართავდა მკაცრი დიქტატორული რეჟიმი.

ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და ოპორტუნისტული კონცეფცია, რომელშიც სოციალიზმის არსი და წყარო დაყვანილია ეკონომიკისა და სოციალურ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევამდე, აღმოცენდა როგორც „სოციალიზმის“ ბურჟუაზიული ფალსიფიკაცია, რომელიც სოციალიზმად მიიჩნედა სახელმწიფოს მიერ თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვის ცდებს.

„სახელმწიფო სოციალიზმის“ კონცეფცია წამოაყენეს ლ. ბლანშა, კ. როდბერტუს-იაგეცოვმა, ფ. ლასალმა. ისინი ბურჟუაზიის სოციალიზმის შემოქმედად მიიჩნევენ. „სახელმწიფო სოციალიზმის“ ცნებას იყენებენ „დემოკრატიული სოციალიზმის“ თეორეტიკოსები. „სახელმწიფო სოციალიზმის“ „მემარცხენე“ ნაირსახეობაა ე.წ. „სამხედრო - ყაზარმული“ სოციალიზმი, რომლის თანახმად, შრომის სოციალური ორგანიზაციის ერთადერთი წყაროა ხელისუფლება, „ზემოდან ბრძანების შესრულება“.

ცენტრალიზებულად მართული ეკონომიკისათვის ძირითადად დამახასიათებელია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრება და ეკონომიკური საქმიანობის გეგმიური ცენტრალიზებული კოორდინაცია და მართვა, რომელსაც მთლიანად წარმართავენ სახელმწიფო ორგანოები, აღნიშნული ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები სათანადო გამოხატულებას პოულობენ

სისტემის რამდენიმე სპეციფიური თავისებურებების სახით, ეს თავისებურებებია: <sup>10</sup>

სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში, პოლიტიკის პრიმატი ეკონომიკის მიმართ, სახელმწიფო ორგანოების პირდაპირი ადმინისტრაციული ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში, საწარმოო და შრომით საქმიანობაში, საზოგადოებრივი პროდუქტისა და შემოსავლების განაწილებაში თან სდევს, ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა უხეში დარღვევა და, საბოლოო ჯამში, მეურნეობის არაეფექტიანი ფუნქციონირება.

ცენტრალიზებული დაგეგმვის განუყოფელი ბატონობა და ყველა მნიშვნელოვანი სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღება სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა უმაღლეს ეშელონებში, მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სამეურნეო ერთეულისათვის, ასეთ პირობებში სამეურნეო სუბიექტებს შორის ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბების პროცესი მთლიანად რეგლამენტირდება ცენტრალური ორგანოების მიერ, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ამ სფეროში რაიმე ინიციატივის განვითარებას, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას და, რა თქმა უნდა, სახალხომეურნეობრივი გეგმის შეწონასწორების პრობლემის გადაჭრას.

სახელმწიფოს ხელში საწარმოო და ფინანსური რესურსების ცენტრალიზაცია უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ ამოცანათა გადაჭრის მიზნით, ამ აშკარა უპირატესობის პრაქტიკული რეალიზაცია ხდება სახალხო მეურნეობაში დასაქმებისა და საწარმოთა შემოსავლების განაწილება-გადანაწილების პროცესების სახელმწიფო შეზღუდვის, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ცენტრალიზებული

---

<sup>10</sup> ჯუმბერ არაბიძე „მაკროეკონომიკის თეორიის საკითხები“, თბ., 1994. გვ.34.

გამოყოფის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ინიციატივის ჩახშობას, მის მოდუნებას.

მატერიალურ-ტექნიკური და სამომხმარებლო რესურსების დეფიციტურობა მასობრივი მოვლენაა, ამ მოვლენის ერთგვარ უპირატესობას შეადგენს ჭარბწარმოების კრიზისებისა და უმუშევრობის აშკარა ფორმით არარსებობა. სამაგიეროდ უარყოფითი შედეგები საკმაოდ ბევრია და არსებითი. იგი ვლინდება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის არარსებობის, დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების, მოსახლეობის მოთხოვნილებათა ძალზე დაბალი დონის, ფარული ინფლაციისა და სხვათა მეშვეობით.

ეკონომიკის ცენტრალიზებულად მართულ სისტემაში თითქმის არ არსებობს ინიციატივა, რისკი, კონკურენცია, რომელთა გარეშე შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების სახალხო მეურნეობაში ეფექტიანი დანერგვა.

საბჭოური სოციალიზმის დროს სახელმწიფოს მიერ დადგენილია სახელმწიფო ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობის წესი, რომლის ზუსტი დაცვა სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის. სახელმწიფო დისციპლინა მოითხოვს კანონიერების, საგეგმო დავალებების, სახელშეკრულებო ვალდებულებების მკაცრ დაცვას, დაუშვებელია საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტისადმი ვიწრო საუწყებო ან ადგილობრივი მიდგომა. სახელმწიფოებრივი და პირადი ინტერესების ურთიერთდაპირისპირება.

სამეურნეო საქმიანობის დარგში სახელმწიფო დისციპლინის მთავარი ელემენტია სახელშეკრულებო დისციპლინა. კანონით დადგენილია მოვალეობა სოციალური ორგანიზაციებისა – ზუსტად და დროულად შეასრულონ თავიანთი სახელშეკრულებო მოვალეობანი.

სახელმწიფო დისციპლინის მნიშვნელოვანი ელემენტია საფინანსო დისციპლინა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და

საწარმოების საფინანსო ურთიერთობათა ზუსტ და ყოველმხრივ რეგულირებას. მასვე მიეკუთვნება საბიუჯეტო დისციპლინაც, ბიუჯეტში გადასახადების შეტანა დადგენილი ოდენობითა და გათვალისწინებულ ვადებში.

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მთელი სახელმწიფო მექანიზმის მეშვეობით, სახელმწიფოს ფუნქციების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცენტრალიზმისა და კანონიერების პრინციპების საფუძველზე აგებულ სახელმწიფო აპარატის სწორ ორგანიზაციაზე, მისი მუშაობის გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე.

„სახელმწიფო და რევოლუცია. მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პლორეტარიატის ამოცანები რევოლუციაში“, ნაწარმოები, რომელშიც ვ.ი. ლენინმა განავითარა მარქსისტული თეორია სახელმწიფოს შესახებ. (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 25). ამ ნაშრომში ვ.ი. ლენინი მიუთითებს, რომ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებაში მთავარია მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე. „მარქსისტი მხოლოდ ის არის, - აღნიშნავდა ლენინი, - ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე განაგრცობს.“

ვ.ი. ლენინმა გვიჩვენა პროლეტარიატის სახელმწიფოს ძირეული განსხვავება ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან, რომ მუშათა კლასის სახელმწიფო არის ამ კლასის პოლიტიკური ბატონობის იარაღი. დაახასიათა პროლეტარიატის დიქტატურის პროლეტარული სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების გზები და საშუალებები, დაასაბუთა რომ პროლეტარიატის დიქტატურა და პროლეტარული სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ესაა, პროლეტარიატის ხელმძღვანელობა საზოგადოებისადმი, პროლეტარული სახელმწიფო კი - ამ ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ფორმა.

სისტემამ, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მომხრეები რეალურ სოციალიზმს უწოდებდნენ, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ისტორიული მარცხი განიცადა. მიუხედავად ამისა, იგი არა მარტო ჩვენი „გუშინდელი“ დღეა,

არამედ ამ სისტემის ბევრ ელემენტს ღრმად აქვს ფესვები გადგმული დღევანდელობაში და აქტიურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე.

სოციალისტურ საზოგადოებაში საბაზრო მექანიზმი ექვემდებარება სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის მოთხოვნებს. გეგმიანი მეურნეობა მოიცავს ეკონომიკის ყველა მხარეს, რომელიც ფუნქციონირებს სახელმწიფო გეგმის მიხედვით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სახელმწიფო დოკუმენტს, აქვს კანონის ძალა და მისი შესრულება სავალდებულოა ეკონომიკის ყველა რგოლში. განასხვავებენ მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს.

სოციალიზმის საბჭოურ მოდელში სახელმწიფო იღებს ყველა გადაწყვეტილებას წარმოებისა და განაწილების შესახებ.

საბჭოურ მოდელში ხდება სახალხო გეგმის მოწვევით ეკონომიკის განვითარების ობიექტური მოთხოვნილებიდან. ასევე სისტემურად ირღვევა მართვაში დემოკრატიული საწყისები, ხდება მართვის ადმინისტრაციული აპარატის გაბერვა, რაც იწვევდა ბიუროკრატიზმის ზრდას მართვის სისტემაში.

გასული საუკუნის დასაწყისში საბჭოთა კავშირი პირველი იყო, რომელმაც კატეგორიულად უარყო ცივილიზაციის მიერ აღიარებული ეკონომიკის განვითარების პირველი გზა – საბაზრო მექანიზმი და აირჩია მეორე, რომელიც მთლიანად გამორიცხავდა კერძო საკუთრებას და მასთან დაკავშირებულ წარმოებით ურთიერთობებს, აგრეთვე კონკურენციას თავისი მექანიზმებით. საბაზრო ეკონომიკას დაუპირისპირდა ახალი სამეურნეო მექანიზმი, სადაც გადაწყვეტ როლს ასრულებდა წარმოების საშუალებებზე მონოპოლიური სახელმწიფო საკუთრება და დირექტიული დაგეგმვა, ცხადია, შესაფერისი ეკონომიკური ბერკეტებითა და ელემენტებით. თუ თავისუფალი საბაზრო მექანიზმის პირობებში ადამიანი თავისუფლად ირჩევს თავისი საქმიანობის სფეროს მხოლოდ სამეურნეო მოსაზრებით, ე.წ. დირექტიული დაგეგმვის პირობებში იგი შეიცვალა იდეოლოგიური ზეწოლით და პოლიტიკური მოსაზრებით. ჩამოყალიბდა სრულიად ახალი იდეოლოგიური სისტემა, რომელიც თითქმის საუკუნის მანძილზე

თავისუფალი საბაზრო მექანიზმის დისკრედიტაციით და ყოველგვარი მემკვიდრეობითობის გამორიცხვით ახალ, ე.წ. სოციალისტურ სისტემას აშენებდა მოსინჯვისა და შეცდომების გზით. ეს იყო მუდმივი ექსპერიმენტების, წინააღმდეგობების დაძლევის, უმეტესწილად ულოგიკო და უაზრო პროგრამების რეალიზაციის ძნელი და ეკონომიკურად გაუმართლებელი გზა, რომელიც ძირითადად მოსახლეობას დააწვა. უაზროდ გაიფლანგა აუარებელი სიმდიდრე, ხოლო იდეოლოგიურმა ზეწოლამ იმსხვერპლა მილიონობით ადამიანი.

XX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა ეკონომიკური ტრიადის (რა, როგორ და ვისთვის) გადაწყვეტის სამეურნეო მექანიზმი, რომელიც თავის ძირითად ნიშნებში შენარჩუნებულ იქნა ამ სახელმწიფოს დაშლამდე (90-იან წლებამდე). დროგამოშვებით ამ მექანიზმში შეიტანებოდა ნაწილობრივი ცვლილებები, რომელიც არ ცვლიდა მის არსს და გამოიხატებოდა მეურნეობრიობის ადმინისტრაციული აბსოლუ-ტიზაციის ტენდენციაში, ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს როლის მეტისმეტ ამაღლებაში. სწორედ ამის გამო მეურნეობრიობის ამ მოდელმა მიიღო „მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის“ სახელწოდება. რა თქმა უნდა მეურნეობრიობის ეს მოდელი არ გამორიცხავდა ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას, მაგრამ მასში გაბატონებული იყო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები. განსაკუთრებით ნათლად ვლინდებოდა ამ მეთოდების გამოყენება მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის სისტემაში. დაგეგმვის სქემა ითვალისწინებდა თითოეული სახის პროდუქტის გამოშვების მოცულობის მეტნაკლებად ზუსტად განსაზღვრას, რომელიც შემდეგ გეგმური დავალების სახით ნაწილდებოდა საწარმოო ერთეულებზე. ამ სქემაში დაგეგმვის ამოსავალი პუნქტი იყო წარმოების მიღწეული დონე, ხოლო საგეგმო მიზანდასახულობა გარდაიქმნებოდა დირექტივაში, რომელიც მოითხოვდა უთუო შესრულებას. ასეთი სამისამართო დავალებები ზოგიერთ შემთხვევაში იძლეოდა დადებით შედეგებს, განსაკუთრებით 40-

50-იან წლებში, მაგრამ შემდგომ მან თანდათანობით გამოავლინა თავისი უარყოფითი მომენტები. მაგალითად, საწარმოები დაინტერესებული იყვნენ შემცირებული გეგმიანი დავალებების მიღებაში, რომელიც უზრუნველყოფდა მათ შედარებით უზრუნველ საქმიანობას და შემცირებული გეგმების წარმატებით შესრულების შემთხვევაში პრემიების მიღებას და წახალისების სხვა ფორმებით სარგებლობას, ხოლო რამდენადაც საწარმოს ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებული იყო შემდგომი მმართველობითი ორგანოს წინაშე, ფართო გავრცელება მიიღო „მიწერებმა“, ანუ ქალაქზე გეგმის შესრულებამ. მტკიცე სამისამართო დავალებები იწვევდნენ რესურსების ცენტრალიზებული განაწილების აუცილებლობას, მასზე იყო დაფუძნებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო წინასწარი განაცხადების ვებერთელა მექანიზმი. იგი წარმოშობდა მომხმარებელთა სრულ დამოკიდებულებას მწარმოებლებზე.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის პირობებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ფორმალურ ხასიათს იღებს, მუდმივად ირღვევა სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციის პრინციპები, ჭარბობს გადანაწილებითი პროცესები და სახსრების აუნაზღაურებელი ამოღება. საბოლოო ჯამში, მართვის მოცემული სისტემა განაპირობებს სახალხო-სამეურნეო გეგმის მოწყვეტას ეკონომიკის განვითარების ობიექტური მოთხოვნილებებიდან.

ბუნებრივია, რომ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. თვით სამეურნეო ცხოვრების პრაქტიკამ განაპირობა მეურნეობის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის აუცილებლობა.

საბჭოთა კავშირში ეკონომიკას ახასიათებდა გლობალური დაუბალანსებულობა, რომელიც ძირითადად ორ გარემოებაში ვლინდებოდა: სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროების, დარგების, სხვადასხვა რეგიონების უთანაბრო განვითარება და ცალკეული სექტორების, დარგების, საწარმოების უთანაბრო ტექნიკურ-ტექნოლოგიური აღჭურვილობა. ვინაიდან საქართველოს ეკონომიკა ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის

შემადგენელი ნაწილი იყო, მას ორივე სახის დაუბალანსებლობა ახასიათებდა. ეკონომიკის დაუბალანსებლობის განსაკუთრებულმა გაღრმავებამ 70-80-იანი წლების მიჯნაზე მწვავე კრიზისი გამოიწვია.

კრიზისმა, როგორც ეკონომიკური ციკლის ფაზამ, გეგმიანი ეკონომიკის უკანასკნელ პერიოდში გამოხატულება ჰპოვა ეკონომიკური ზრდის ტემპების განუხრელ დაცემაში, ფარული უზუშვერობის ზრდაში, შრომითი რესურსების გარეგანი სიტყარბის პირობებში, ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, ძირითადი საწარმოო ფონდების მასობრივ გაცვეთაში.

როგორც ცნობილია, გეგმიან (ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ) ეკონომიკაში ინფლაციას ფარული ხასიათი აქვს, რაც გამოვლინდება:

- საყოველთაო და მწვავე დეფიციტში, უწინარეს ყოვლისა სამომხმარებლო ბაზარზე;

- ფასების ფარულ მომატებაში და კერძოდ, ბაზრიდან იაფი პროდუქციის გაქრობაში;

- დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის გადიდებაში, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის იძულებითი დანაზოგების გადიდება;

- ეპიზოდურად ფასების ადმინისტრაციული წესით ნახტომისებრ ზრდაში.

ფასებს რაც შეეხება, ისინი ადმინისტრაციულ-ნორმატიული წესით დგინდებოდა და სახელმწიფოს ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

ერთიანი ეკონომიკური ცენტრის ფუნქციონირებამ გამოიწვია მითვისების პროცესის დეფორმაცია. ეს ყველაზე ნათლად გამოვლინდა ზედმეტი პროდუქტის დიდი ნაწილის სახელმწიფოს ხელში კონცენტრაციითა და საწარმოო ერთეულებზე მისი თვითნებური, სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპების გაუთვალისწინებლად განაწილებით. დაკანონდა საწარმოთა მოგება-ზარალის თვითნებურად განაწილების სამეურნეო პრაქტიკის ყველაზე მახინჯი ფორმა, რომლის მეშვეობითაც მაღალრენტაბელური საწარმოები „ინახავდნენ“



დაბალრენტაბელურ და ზარალიან საწარმოებს. ამით არსებითად ძირი გამოეთხარა საზოგადოებრივი წარმოების მამოძრავებლის – ეკონომიკური ინტერესების მოქმედებას, რის შედეგადაც მივიღეთ, შეიძლება ითქვას, უძრავი ეკონომიკა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშანი იყო სამომხმარებლო საქონლის დეფიციტი და ბიუროკრატიზმი. დეფიციტურობა არც სხვა ქვეყნისათვის არის უცხო, მაგრამ, მათგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირში ამას სისტემატური, მყარი და საყოველთაო ხასიათი ჰქონდა, რისი უმთავრესი მიზეზიც ეკონომიკის მკაცრად ცენტრალიზებული, ადმინისტრაციულ-დირექტიული მართვა იყო.

სოციალიზმის ეკონომიკის არა ეფექტიანობამ და საბოლოო ანგარიშით, მისმა კრაზმა დღის წესრიგში ობიექტურად დააყენა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მსხვერვისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების წანამძღვრების შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას.

მართალია მსოფლიო ისტორიაში ჩვენში მიმდინარე აღნიშნული პროცესების ანალოგი არ არსებობს, მაგრამ თავისთავად საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესებისაგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და გადმოვიღოთ. ამასთან აუცილებელი არ არის გავიმეოროთ ყველა ეტაპი თუ პერიპეტიები, რომლითაც ასე მდიდარია საბაზრო ეკონომიკის ისტორია.

## თავი II

### სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების გამოყენების ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

#### 2.1. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის არსი და თავისებურებანი

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის ელემენტები ჩაისახა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების მიწურულს. ეს იყო პირველი და ხანგრძლივი გზა წარმოებასა და მოხმარებას შორის ორგანიზებული კავშირების დამყარებისათვის. ცივილიზაციამ, შრომის დანაწილების გაღრმავებამ, მეცნიერულმა პროგრესმა, წარმოების მასშტაბების მკვეთრმა გადიდებამ დააჩქარა საბაზრო მექანიზმის სრულყოფის პროცესი. გასული საუკუნიდან კი დაიწყო ინტენსიური ძიება ისეთი სამეურნეო მექანიზმისათვის, რომელიც დაამყარებდა დაბალანსებულ კავშირს მოხმარებას, განაწილებასა და წარმოებას შორის. ასეთი შეწონასწორებული სამეურნეო მექანიზმის ფორმირებისათვის განვითარებულ ქვეყნებს სხვადასხვა დრო დასჭირდათ, რადგანაც მთავარ პირობას ამ პროცესში თვით ქვეყნის განვითარების კონკრეტული თავისებურება წარმოადგენდა.

ისტორიული გამოცდილებით, საბაზრო ეკონომიკა კერძო საკუთრებას და კერძო ინიციატივას ეყრდნობა. საბაზრო ეკონომიკის მექანიზმში მთავარია კონკურენცია, ხოლო საბაზრო მექანიზმის სხვა ელემენტები მისი გავლენის ქვეშ იმყოფება.

განვითარებული ქვეყნები მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, პირველ რიგში მაინც ეროვნული ბაზრის ფორმირებას ცდილობდნენ. ამიტომ შეიმჩნევა საბაზრო მექანიზმში ჩადებული ძირითადი ამოცანების ნაირფეროვნება.

საბაზრო სისტემა მეურნეობის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლითაც ეკონომიკის ძირითადი პრობლემების რეალიზაციის მიზნით მომხმარებლები და მწარმოებლები ერთი-მეორეზე ზემოქმედებენ და პირადი ინტერესების რეალიზაციისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებისათვისაც სასარგებლოა. საბაზრო ეკონომიკა დღემდე ცნობილ ეკონომიკურ სისტემათა შორის ყველზე ეფექტიანია. ამის ნათელი დადასტურებაა აშშ-ის, იაპონიის, გერმანიის, ევროპის ქვეყნების მეურნეობის შთამბეჭდავი მიღწევები. სხვა ეკონომიკურ სისტემებთან შედარებით საბაზრო სისტემის უპირატესობები მრავალი ასპექტით ვლინდება, რომელთა შორის უმთავრესია რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მეწარმეთა ეკონომიკური თავისუფლება.

საბაზრო ეკონომიკამ პრაქტიკულად ცხადყო თავისი მაღალი ეფექტიანობა ისეთი ამოცანების გადაწყვეტაში, როგორც არის: წარმოებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური კავშირის უზრუნველყოფა; დამოუკიდებელი მწარმოებლების სამეურნეო საქმიანობის შედეგების საზოგადოებრივი შეფასება; ფასების თავისუფალი ფუნქციონირება; კონკურენციის საყოველთაობა. ამის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკა წარმატებით წყვეტს სრული დასაქმების, ეკონომიკური ზრდის, ფასების სტაბილურობის, ეკონომიკური თავისუფლების, ეკონომიკური უსაფრთხოების, თანასწორობისა და ეფექტიანობის პრობლემებს.

მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკას გააჩნია ზოგადი კანონზომიერებები, მას ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში გამოვლენის თავისი კონკრეტული ფორმები აქვთ. რასაკვირველია, საჭიროა საბაზრო ეკონომიკის ყველა გამოცდილი მეთოდის შესწავლა-გაანალიზება, მაგრამ საქართველოსთვის უნდა შეიქმნას მისი კონკრეტული პირობების შესაბამისი მოდელი. ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ევროპის, აგრეთვე სხვა, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, მაგრამ არ იქნება გამართლებული, თუ რომელიმე კონკრეტული მექანიზმით შევეცდებით ჩვენს ქვეყანაში საბაზრო მოდელის დამკვიდრებას.

საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკა მოწმობს, რომ საბაზრო ეკონომიკა არცერთ განვითარებულ ქვეყანაში არ ფუნქციონირებს სახელმწიფოს გარკვეული ჩარევის გარეშე. განსაკუთრებით, ეკონომიკური კრიზისითა და ქაოსით მოცულ ქვეყანაში აუცილებელია მთავრობამ გარკვეულწილად, მოდერნიზებულად აღადგინოს ეკონომიკის მართვალობა უმეტესწილად სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის საკვანძო დარგებში. რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესის თვითნებაზე მიშვება იმ იმედით, რომ ის თვითონ „გაიკვალავს“ გზას და თავისთავად ჩამოყალიბდება. სახელმწიფომ მეცნიერულ საფუძველზე, სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენებით, მართვადი უნდა განაღოს ეკონომიკის ბაზრისაკენ მოძრაობის მთელი პროცესი.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება-განვითარება უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორებს. საჭიროა გატარდეს ჩვენი ეკონომიკისათვის საჭირო რეფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანსაღი საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებას და საბოლოო ჯამში კეთილდღეობის ამაღლებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველაზე აქტუალური, კარდინალური პრობლემაა საკუთრების რადიკალური რეფორმა, რომლის მიზანიც არის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნების დამკვიდრება. ბუნებრივია, სახელმწიფო სექტორის მთლიანად გაუქმება დაუშვებელია. ქვეყნის მნიშვნელოვან დარგებს სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს. ამასთან განსახელმწიფოებრიობა არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო საწარმოებმა ახალ თვისებ-რიობაში განაგრძონ ფუნქციონირება. მისი მიზანია საწარმოთა მართვის ფართო დემოკრატიზაცია, მათი დამოუკიდებლობის განმტკიცება და პასუხისმგებლობის გაძლიერება, ფორმალური დამოუკიდებლობის აღმოფხვრა და რეალური განსაზოგადოებისაკენ მოძრაობა, წარმოების დეცენტრალიზაციისა და ცენტრალიზაციის,

ინტეგრაციისა და დეინტეგრაციის პროცესების ოპტიმიზაცია, სახელმწიფო საკუთრების თვისებრივად ახალი სუბიექტის, საბაზრო ურთიერთობის ამოსავალი ატრიბუტის – საქონელმწარმოებელთა წარმოშობა და ფუნქციონირება.

ნებისმიერი საზოგადოება როგორც ერთიანი სისტემა და სიცოცხლისუნარიანი მექანიზმი, მუდმივ ცვლილებას განიცდის. ამ პროცესში იგი სხვადასხვა საფეხურს გაივლის, ანუ სხვადასხვა მდგომარეობაში იმყოფება. საზოგადოების ჩამოყალიბების საწყის ეტაპს წარმოადგენს გარდამავალი პერიოდი, რომელსაც მატერიალური ბაზისის თვალსაზრისით შეესაბამება გარდამავალი ეკონომიკა. სხვაგვარად რომ ვთქვათ გარდამავალი პერიოდი არის გარდამავალი ეკონომიკის არსებობის დროითი ფორმა.

გარდამავალი ეკონომიკა თავის თავში შეიცავს როგორც წარმავალი, ისე მომავალი ეკონომიკური სისტემების ელემენტებს და ამდენად, როგორც დაპირისპირებული მხარეების ერთიანობა, წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გარდამავალი პერიოდი არ წარმოადგენს ორგანულ მთლიანობას, რომლის კვლავწარმოება საკუთარ საფუძველზე ხორციელდება. იგი თვითონ წარმოქმნის საფუძველს ახალი ორგანული ერთიანობის ჩამოსაყალიბებლად.

გარდამავალ ეკონომიკას ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშნები: პირველი - არამდგრადობა. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი განუწყვეტელი ცვლილებების პროცესში იმყოფება;

გარდამავალი პერიოდის მეორე ნიშანია ალტერნატიულობა. ალტერნატიულობა პირველი ნიშნიდან გამომდინარეობს. იგი გულისხმობს გაურკვეველობას ერთი მხრივ, და აგრეთვე მრავალ-ვარიანტულობას პერსპექტივაში.

გარდამავალი ეკონომიკის მესამე ნიშანია შეუქცევადობა. თავად მისი არსებობა ნიშნავს ე.წ. „უკანდაბრუნებადობის“ წერტილის მიღწევას განვითარებაში.

გარდამავალი ეკონომიკის მეოთხე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მის ჩარჩოებში გარდამავალი ფორმების წარმოშობა და ფუნქციონირება.

და ბოლოს, გარდამავალი ეკონომიკა არის ზოგადისა და კონკრეტულის ერთიანობა.

ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში გარდამავალი ეკონომიკის წინააღმდეგობებს განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებს ის გარემოება, რომ გარდამავალი ეკონომიკის დამკვიდრება და ახალი სახელმწიფოებრიობის შექმნა საქართველოში ერთდროულად მიმდინარეობს.

აგრეთვე, სუბიექტური მიზეზებით წარმოშობილი წინააღმდეგობანი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ტიპის ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ იგი ობიექტურად ხორციელდება გარდამავალი ეკონომიკის საფეხურზე, ანუ ეს უკანასკნელი ტრანსფორმაციის განხორციელების საშუალებაა თავისი ობიექტური მიზეზებით, მიზნებით, კონკრეტული შინაარსით, დასაწყისითა და დასასრულით.

ტრანსფორმაციისა და გარდამავალი ეკონომიკის არსის განსაზღვრა უშუალოდ იმას უკავშირდება, თუ რა შინაარსია მათში ჩადებული.<sup>1</sup>

გარდამავალი ეკონომიკა, ობიექტურად მარტო ნორმალური გაწონასწორებული განვითარების მდგომარეობაში გადასვლას კი არ გულისხმობს, არამედ ერთი მდგრადი გაწონასწორებული რეჟიმიდან სხვა მდგრად გაწონასწორებულ რეჟიმში გადასვლასაც. ეს იმას ნიშნავს, რომ გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები, ისევე როგორც ეკონომიკური ტრანსფორმაციის პრობლემები, რთული და ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

---

<sup>1</sup> თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ.92.

ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს უფრო ობიექტურად განვსაზღვროთ გარდამავალი ეკონომიკის მიზნები, კრიტერიუმები, შინაარსი და ძირითადი ამოცანები, გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესის საბოლოო მიზანია პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში.

მართალია, ძველმა (საბჭოთა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა) სისტემამ კრაზი განიცადა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კეთილმოსურნე პოლიტიკის მკეთებლებს შესწევთ უნარი ძველი სისტემა წარმატებულად შეცვალონ ახლით. სისტემის შესაძლებლობა, განიცადოს ცვლილებები თანმიმდევრული, ევოლუციური გზით, ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია საზოგადოებრივ და რეალურ ფასეულობათა საბაზისო სტრუქტურას ახალ პრობლემებთან და გამოწვევებთან ადაპტირება. იმისათვის, რომ ახალმა სისტემამ დააკმაყოფილოს ლეგიტიმურობის, წესრიგისა და კეთილდღეობის ძირითადი მოთხოვნები, საჭიროა დრო და ეფექტიანი პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

ლეგიტიმურობა ასაბუთებს მთავრობის ძალაუფლებას მის მოქალაქეებთან და ამყარებს კავშირს საზოგადოების ძირითად ინტერესებსა და მოსახლეობის „მორალურ წარმოდგენებს“ შორის.

წესრიგი ნიშნავს კანონებს, სოციალურ წესრიგს, ნორმებს და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქმედების და ქცევის სოციალურად მისაღები ფორმებისათვის სტიმულებს, ხოლო მიუღებლობისათვის – დასჯას.

კეთილდღეობა გულისხმობს, რომ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში ლოიალობა შეუძლებელი ხდება, თუ კი სოციალური სარგებლობის და დანახარჯების განაწილება მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს უსამართლოდ მიაჩნია.

ილუზია, რომ მხოლოდ კონკურენცია და კერძო საკუთრების არსებობა ავითარებს ინიციატივას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებრივ უნარს და ტექნიკურ პროგრესს, რეალობასთან მიახლოებისას ქრება. მართალია საბაზრო ურთიერთობები ნებისმიერი ეკონომიკური სისტემისათვის არის დამახასიათებელი

რაღაც სახით, ან უფრო ხშირად, მათ იმანენტურ თვისებას წარმოადგენს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეზღუდული საბაზრო ურთიერთობები მაშინვე გაშლის ფრთებს, როგორც კი ეს შეზღუდვები მოიხსნება.

მართალია ამ შეზღუდვების მოხსნით და „თამაშის წესების“ ცვლილებით მივიღებთ სხვა შედეგს, განსხვავებულს იმისგან, რაც, მაგალითად, საბჭოთა ეკონომიკურ სისტემას ახასიათებდა, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ვიგულისხმოთ, რომ დემოკრატიისა და საბაზრო სისტემის ელემენტების შემოღება „დიდი ნახტომის“ ტოლფასია და იმ ერთადერთ შედეგს მოიტანს, რომელიც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ერთობლიობა იქნება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გარდამავალი ეკონომიკის წარმმართველი ტენდენციაა. ეს პროცესი სწორხაზოვანი და მარტივი არასოდეს არ არის. პირიქით იგი საზოგადოების რეალური, ღრმა, ტრანსფორმაციას მოასწავებს, რომელსაც დადებითი და უარყოფითი შედეგები მოაქვს. ეს იმიტომ, რომ რეალური პროცესები, როგორც წესი, წინააღმდეგობრივია, შეუძლებელია ხანმოკლე დროში კონკურენციის დამკვიდრება, ფაქტობრივად, მეურნეობაში ყოველთვის არის სხვადასხვა საბაზრო სტრუქტურა, მათ შორის, მონოპოლისტური, რაც მთავარია, საბაზრო ქცევის დამკვიდრება რთული და ხანგრძლივი პროცესია. პოსტსოციალისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება აქ მოქმედი ეკონომიკური აგენტების ქცევის ჩვეულებრივ ნორმებსა და ცივილური ბაზრისთვის დამახასიათებელ ნორმებს შორის, მოქალაქეების რეალურ ქცევასა და დემოკრატიული საზოგადოების ნორმებს შორის, რომელიც უწინარეს ყოვლისა, ინდივიდების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათი და საზოგადოებრივი ინტერესების შეთვისებას გულისხმობს.

გარდამავალი ეკონომიკის სხვა უმნიშვნელოვანესი ელემენტებია ძველი რეჟიმის მემკვიდრეობის გათვალისწინება,



საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რეალური გარდაქმნების განხორციელება, ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევა, საბაზრო ეკონომიკის მოდელის შერჩევა, გარდაქმნის სტრატეგიის კორექტირება ახალი მოთხოვნების შესაბამისად. საბჭოთა მემკვიდრეობა,

უწინარეს ყოვლისა, მეურნეობის სტრუქტურული დაუბალანსებლობით, ქრონიკული დეფიციტით, მაკროეკონომიკური არასტაბილურობით, წარმოების დაცემით, მზარდი ინფლაციით, ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუარესებით გამოიხატებოდა. მაგრამ ამ სასტარტო პირობებთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სახეზეა სოციალური რევოლუცია, ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემიდან კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა. ამიტომ ძველი მბრძანებლური ეკონომიკის ინსტიტუტები ისე მოიშალა, რომ საბაზრო ეკონომიკის ახალი მაკორდინებელი მექანიზმები, რომლებიც მოთხოვნისა და მიწოდების ეფექტიან ურთიერთმოქმედებას უზრუნველყოფს, სათანადოდ ვერ ამოქმედდა. შეიქმნა ინსტიტუციური ვაკუუმი, რომელიც ტრანსფორმაციული კრიზისის, ანუ წარმოების ხანგრძლივი და ღრმა დაცემის მიზეზი გახდა, რადგანაც ამ ვაკუუმის სწრაფად დაძლევა ვერ მოხერხდა. ეფექტიანი ინსტიტუტების ჩამოყალიბება იმითმაც გართულდა, რომ „შოკური თერაპიის“ დოქტრინა წინა პლანზე ფინანსურ სტაბილიზაციას აყენებდა, ინსტიტუციური მშენებლობა კი, გარდა პრივატიზების განხორციელებისა, ყურადღების ცენტრში არ იყო. მეორე მხრივ, ეფექტიანი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ქცევითი ჩვევების ადაპტაცია, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ადამიანების ტრადიციებიდან

და ჩვევებიდან გამომდინარე, ობიექტურად, შედარებით ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. მაშასადამე, რეალურად საჭიროა სწრაფი გარდაქმნების განხორციელება ინსტიტუციური ვაკუუმის დასაძლევად, ინფლაციის შესაჩერებლად ეფექტიანი ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის გატარება, მაგრამ ამისთვის

საჭიროა ეფექტიანი სახელმწიფოს, ფინანსური და ფისკალური ინსტიტუტების, ქცევის ჩვევების ჩამოყალიბება, რაც შედარებით ხანგრძლივი პროცესია.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, მიჩნეულია განვითარების მთავარ პრიორიტეტად.

ეკონომიკური რეფორმა უნდა იყოს სახელმწიფოს ეროვნული სტრატეგიის ორგანული შემადგენელი ნაწილი, ის განსაზღვრავს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს, ანუ როგორი სახელმწიფოს ჩამოყალიბება გვსურს ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ინსტიტუციური თვალსაზრისით და რა უნდა გაკეთდეს ამისათვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში მსოფლიო განვითარების გათვალისწინებით. ასეთი სტრატეგიის განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გამოკვეთილად ჩამოყალიბებას, მათი განხორციელებისათვის მუდმივ მზადყოფნას.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რეალიზაცია გულისხმობს, პირველ რიგში, მისი მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფას. აქედან ცხადია, რომ ეკონომიკური რეფორმა უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას (რაოდენ დიდი ისტორიული მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს ეს ამოცანა), არამედ ქვეყნის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლასაც. ამიტომ ობიექტურად არსებობს ორგანული კავშირი რეფორმების პოლიტიკასა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის. ამ კავშირის მექანიზმი საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფით გამოიხატება.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი, დაცული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური

უსაფრთხოების მოთხოვნები. ხშირად ამ პრობლემებს სათანადო ყურადღება არ ექცევა იმიტომ, რომ თითქოს საბაზრო მექანიზმი თვითონ, ავტომატურად უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

სახელმწიფომ ბაზარზე გადასვლისას შეიძლება ორგვარი როლი შეასრულოს. ჯერ ერთი, მან შეიძლება თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საბაზრო სისტემის ჩამოყალიბების საწყისი პირობების, საბაზრო ინფრასტრუქტურების შესაქმნელად, ანუ ისეთი ორგანიზაციების სისტემის, კანონების, ნორმების, წესების, ინფრასტრუქტურების უზრუნველსაყოფად, რომლებიც კერძო ფირმების წარმატებული მუშაობის პირობებს ამკვიდრებს. მეორე, სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს ან არ ჩაერიოს მიმდინარე სამეურნეო პროცესებში საბაზრო მექანიზმის იმ ჩავარდნების გამოსასწორებლად, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში წარმოიქმნება. ამისთვის მან უნდა აკონტროლოს საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური პროცესები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს ეფექტიანი „წასვლა“ ეკონომიკიდან. ეს მაშინ ხდება, როდესაც ცენტრალიზებული ღირებულებით მართვის დემონტაჟის შემდეგ მეურნეობაში ვაკუუმი არ ჩნდება. ასეთი ეფექტიანი გადასვლა კი შეიძლება მხოლოდ სახელმწიფომ მოახდინოს გონივრული პოლიტიკით, რომელიც თავისი შინაარსითა და ღონისძიებათა ერთობლიობით სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. ამასთან, მსოფლიო გამოცდილებით დადასტურებულია, რომ რაც უფრო სუსტია საბაზრო საფუძველი, ცნობიერება, ქცევა, საზოგადოების სოციალური მეხსიერება საბაზრო სისტემაზე, მით უფრო აქტიური უნდა იყოს სახელმწიფო საბაზრო ინსტიტუტების ეფექტიანად ფორმირებისათვის. თუ სახელმწიფო მოვალეობას ვერ ასრულებს, მაშინ ბაზარზე ეფექტიანი გადასვლა არ შედგება. მაშინ ჩამოყალიბდება ისეთი საბაზრო სისტემა, რომელსაც მით უფრო სერიოზული ნაკლი ექნება, რაც უფრო სუსტად შეასრულებს სახელმწიფო საბაზრო ინსტიტუტების შემქმნელის ფუნქციას.

მაშასადამე, გარდამავალი ეკონომიკის შინაარსში მთავარია არა ეკონომიკური პოლიტიკისა და მეურნეობრიობის მეთოდების რეფორმირება, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაცია. იცვლება ეკონომიკის ყველა ელემენტი: რესურსების განაწილების წესი, საკუთრებითი ურთიერთობები, კვლავწარმოების ტიპი, მოტივაცია, ეკონომიკური განვითარების მიზნები და საშუალებები, ინსტიტუტები და სამართალი. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად ამ დროს განვითარების არა ეკონომიკური, არამედ პირველ რიგში, პოლიტიკური ფაქტორები გვევლინება. ხოლო ეკონომიკური ფაქტორები ტრანსფორმაციის შესაძლო საზღვრებს, ჩარჩოებს განსაზღვრავს.

გარდამავალი ეკონომიკა, ფაქტობრივად არის ძველი ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული სისტემის საბაზრო სისტემად გადაქცევისა და იმავდროულად, ნეოეკონომიკის, ანუ პოსტინ-დუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ეკონომიკის წანამძღვრების, საფუძვლების შექმნის პროცესი. მისი კანონ-ზომიერებებიდან, თავისებურებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

პირველი – რესურსების განაწილების ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული წესის შეცვლა რესურსების განაწილების სპეციფიკური მექანიზმით, ანუ როდესაც ეკონომიკური ინსტიტუტები წარმოებასა და კაპიტალის მაღალი კონცენტრაციის პირობებში, კორპორაციული, ან ბიუროკრატიული ძალაუფლებისას შეგნებულად ზემოქმედებენ რესურსების განაწილებაზე ქვეყანაში, მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ქცევაზე, ფასებზე, მიწოდებაზე, შემოსავლებზე, სოციალურ მახასიათებლებზე და ა. შ.

მეორე – ცვლილებები საკუთრებითი ურთიერთობების სფეროში. აქ მთავარი თავისებურებაა სახელმწიფოებრივი საკუთრების კერძო საკუთრებად გარდაქმნის არაეკონომიკური, ადმინისტრაციული წესით განხორციელება. დამახასიათებელია ის, რომ ხშირად საკუთრება არ ხვდება ეფექტიანი ინვესტორის ხელში.

მესამე – ეკონომიკური ტრანსფორმაციის სოციალური ხასიათი. იგი უწინარეს ყოვლისა, რესურსების განაწილების დომინირებადი წესითა და საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციით განისაზღვრება. ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოსტსოსციალისტური ქვეყნების გარდამავალი ეკონომიკა სოციალურობის სხვადასხვა ხარისხით გამოირჩევა. იქ, სადაც რესურსების განაწილების საბაზრო წესი და ინვესტიციური მესაკუთრეები შედარებით სწრაფად მკვიდრდებიან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობაც წარმატებულად ფუნქციონირებს.

ვინაიდან გვემხიან ეკონომიკაში დაგროვილი იყო მნიშვნელოვანი ინფლაციური პოტენციალი უზარმაზარი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნისა და ადმინისტრაციული წნეხის ქვეშ მყოფი დამახინჯებული ფასების სახით, რასაც გარდამავალი ეკონომიკის ჩარჩოებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში დაერთო ძირითადად გადასვლის მომენტით დეტერმინირებული ერთობლივი მიწოდების შემცირება, ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ინფლაციის თავიდან აცილება.

გარდამავალი ეკონომიკის მიერ გვემხიანი ეკონომიკიდან მიღებული კიდევ ერთი მემკვიდროებითი წინააღმდეგობა გამონატულებას პოულობს წამგებიანი საწარმოების პრობლემაში. საბჭოთა ეკონომიკის პირობებში არაეფექტიანი და უკიდურესად ცენტრალიზებული და ბიუროკრატირებული მართვის სისტემა, მატერიალური დაინტერესების დაბალი დონე, სტრუქტურული დაუბალანსებულობა და რიგი სხვა მიზეზები განაპირობებდა საწარმოების, გაერთიანებების მასობრივად დაბალეფექტიანობასა და წამგებიანობას. როგორც ცნობილია, არსებობდა საბჭოთა ეკონომიკისათვის სპეციფიკური ცნება „გვემხიანად ზარალიანი საწარმო“, ყოფილ საბჭოთა კავშირში ყოველი მეოთხე საწარმო არარენტაბელური და წამგებიანი იყო.<sup>2</sup>

---

<sup>2</sup> ურნალი «Вопросы Экономики», 1992, №4, стр. 18.

წამგებიან საწარმოთა ასეთი უდიდესი მასა მძიმე ტვირთად აწვება გარდამავალ ეკონომიკას და წარმოქმნის დილემას: მათი მხარდაჭერა დოტაციებისა და სუბსიდიების ხარჯზე აღიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს და აძლიერებს ინფლაციურ პროცესებს, ხელს უშლის ეკონომიკაში პროგრესული სტრუქტურული ღონისძიებების გატარებას და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას, ართულებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს. დოტაციებისა და სუბსიდიების შეწყვეტა კი იწვევს წამგებიანი საწარმოების მასობრივ გაკოტრებას, უმუშევრობის გაზრდას, სოციალური დაძაბულობის გაძლიერებას.

გარდამავალ პროცესებს თან სდევს გარკვეული დესტრუქცია და დეზორგანიზაცია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს გადასვლის მომენტის კრიზისი. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ პოლიტიკური დაპირისპირების თავიდან აცილება ვერ შეძლო ვერც ერთმა პოსტსოციალისტურმა ქვეყანამ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გვერდით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გარდამავალ პროცესებს დესტრუქციასთან ერთად კონსტრუქციული მომენტიც ახასიათებს. ეს გამოიხატება ახალი თვისობრიობის, ანუ საბაზრო ეკონომიკის საწყისების გაჩენაში. თანდათანობით ყალიბდება არა სახელმწიფო, მათ შორის კერძო სექტორი, არამედ წარმოიშობა და ფუნქციონირებას იწყებს საბაზრო ეკონომიკისათვის ნიშანდობლივი საზოგადოებრივი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რთულად, ნელი ტემპით, მაგრამ ამასთანავე განუხრელად მიმდინარეობს ეკონომიკური აზროვნებისა და მენტალიტეტის შეცვლის პროცესი.

გარდამავალი ეკონომიკა, როგორც აღინიშნა არ წარმოადგენს საკუთარ საფუძველზე კვლავწარმოებად ორგანულ ერთიანობას, ანუ სისტემას. იგი არც შემადგენელი ელემენტების მექანიკური ჯამია და არც მექანიკური სისტემა. გარდამავალი ეკონომიკა ძველი და ახალი ეკონომიკური ფორმების დაპირისპირებული სივრცობრივი თანაარსებობაა განსაზღვრულ სოციალურ დროში – გარდამავალ პერიოდში. რა ხასიათს, ფორმებს, ხანგრძლივობას

მიიღებს ეს დაპირისპირებულობა, დამოკიდებულია მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორზე.

პოსტსაბჭოთა საქართველოს საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი წინააღმდეგობა და თავისებურება არის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ურთიერთგადახლართვა. საზოგადოდ, წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის ჯილდო არის მოგება, ანუ სიმდიდრე, პოლიტიკურისა – ძალაუფლება და გავლენა. სიმდიდრის პოლიტიკური ძალაუფლებით დაგროვება მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის

მართალია, ჩვენ არ ვაპირებთ გატარებული ეკონომიკური რეფორმების დეტალურ ანალიზს და შეფასებას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საჭიროა ვისაუბროთ იმ შეცდომებზე, რომელთა გათვალისწინებითაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი იქნება სამომავლო ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისათვის.

პირველი მცდარი მიდგომა, რომელიც ჩვენი თვალთახედვით, ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოს საზოგადოებაში ჩამოყალიბდა, როგორც სტერეოტიპი, იყო ეკონომიკური სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის რეფორმების პერიოდში სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის საჭიროება. სამწუხაროდ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზაცია არ ნიშნავს ტრანსფორმაციის ხარჯების მინიმიზაციას და ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის გაზრდას. რეალური შედეგების მისაღწევად საჭიროა სახელმწიფოს როლის ოპტიმიზაცია, მისი ეკონომიკაში ჩარევის არა მასშტაბის, არამედ ხარისხის განსაზღვრა.

მეორე მცდარი მიდგომა, ჩვენი აზრით, იყო შეხედულება, რომ კერძო საკუთრების დაკანონებას თავისთავად მოჰყვება კონკურენცია, საბაზრო-ეკონომიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება და ეკონომიკის ეფექტიანობის მიღწევა რესურსების საბაზრო პრინციპებით გადანაწილებით. ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიმეოროთ ის, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ: საზოგადოების ფასეულობები და ტრადიციები კი არ არის სხვადასხვა

საზოგადოებრივი ინსტიტუტების ნაყოფი, არამედ პირიქით, ისინი იქმნება უკვე დამკვიდრებული ფასეულობების საფუძველზე. სწორედ ამ ფასეულობების არარსებობამ და მათი სწრაფად ჩამოყალიბების შეუძლებლობამ დაამუხრუჭა შემოდებული საბაზრო ინსტიტუტების ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფა საქართველოში. ამას თან დაერთო დემოკრატიის ერთ-ერთი კომპონენტის რესპუბლიკანიზმის არარსებობა, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებრივ ინტერესებზე ინდივიდუალური ინტერესების დომინირებას პოლიტიკურ ელიტაში და შეასუსტა სახელმწიფოებრივი სიძლიერის საფუძველები. სწორედ ამიტომ პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაციის სტრატეგიის სქემა – სტაბილიზაცია, ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია, ინსტიტუციონალიზაცია, რომლის მიხედვითაც წარიმართა საქართველოს ეკონომიკური რეფორმირება, სოციალური და მატერიალური დანახარჯების თვალსაზრისით მეტისმეტად ძვირი აღმოჩნდა საქართველოსთვის. ეს სიძვირე იმ პრობლემებმა განაპირობა, რომელთაგან კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვნად გვესახება შემდეგი:

პოლიტიკის მკეთებელთა ქცევის კონტექსტში:

ა) ინდივიდუალური ინტერესების დომინირება საზოგადოებრივ ინტერესზე;

ბ) ეკონომიკური (მატერიალური) და პოლიტიკური ინტერესების ურთიერთგადაჯახება.

საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილების კონტექსტში:

ა) დეპროფესიონალიზაცია;

ბ) „დესაშუალოკლასიზაცია“;

გ) პოლარიზაცია

მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გარემოს კონტექსტში:

ა) სახელმწიფოს შესუსტება;

ბ) კორუფციის მაღალი დონე;

გ) ფსევდო-დემოკრატიული და ფსევდო-საბაზრო ეკონომიკური „ტრადიციების“ და ღირებულებების წარმოშობა.



ვფიქრობთ, სამომავლოდ, ამ დანახარჯების შემცირების შესაძლებლობები პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის დილემის შერბილებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც ერთი მხრივ, სახელმწიფოს, მარეგულირებელი როლის შემცირების საჭიროებაში (კორუფციის მასშტაბების შემცირების ინტერესებიდან გამომდინარე), ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობაში გამოიხატება.

ეკონომიკური პოლიტიკა გარკვეული დამოუკიდებლობითა და ავტონომიურობით ხასიათდება, ეკონომიკურ სისტემასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე იგი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე. ეს ზემოქმედება განსაკუთრებით ძლიერია გარდამავალ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობს ერთი ტიპის ეკონომიკის მეორეთი შეცვლა. ეს გარემოება კი დიდ აქტუალობას ანიჭებს ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ანალიზს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში.

1994 წლის დასაწყისში შემუშავდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემატური ცვლილებების პროგრამა, რომლის განხორციელება დაიწყო იმავე წლის ზაფხულიდან. ამ პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო მკაცრი შემზღუდავი პოლიტიკის აუცილებლობის აღიარება. ამ მიმართულებით მისი რეალიზაცია ფაქტიურად 1995 წლიდან დაიწყო და პირველი დადებითი შედეგები უკვე სახეზე იყო: შემცირდა ინფლაცია, გამყარდა ეროვნული ვალუტა - ლარი და ა. შ.

ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით:

პირველი – რეფორმას ორი სფერო გააჩნია. ერთი მათგანია ტექნოლოგიური, რომელიც დაკავშირებულია მმართველობითი სისტემის გარდაქმნასთან, ეკონომიკური პრიორიტეტების, საკუთრების ფორმების შერჩევასთან და ა. შ. მეორე სფერო არის სოციალური, სულიერი. იგი განსაზღვრავს საზოგადოებრივ ატმოსფეროს, ეს უკანასკნელი კი ადამიანის განწყობას.

მეორე – ზომიერად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, მაგრამ ამასთან ერთად ყველა ან ზოგიერთი სახეობის საქონელზე და მომსახურებაზე ფასების გაყინვა ან კონტროლი. კონტროლი საბანკო პროცენტის განაკვეთზე; რესურსების განაწილება მეურნეობის პრიორიტეტული დარგების სასარგებლოდ.

მესამე – სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება გარდამავალი პერიოდის თავისებურებებიდან გამომდინარე ეკონო-მიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტების, ფორმებისა და მეთოდების დახვეწის გზით.

და ბოლოს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მიზანია – სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის შექმნა, წარმოების მომხმარებლის მოთხოვნებისაკენ შემობრუნება, საქონლის დეფიციტის დაძლევა, მოსახლეობის ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფა. ასევე, შრომის სიყვარულის, შემოქმედების, ინიციატივისა და შრომის ნაყოფიერების წახალისების პირობების შექმნა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება.

## 2.2 სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების გამოყენების მდგომარეობა მაკროეკონომიკის სფეროში

ეკონომიკური პოლიტიკის არსებობა ობიექტური აუცილებ-ლობითაა განპირობებული და სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ანუ იგი არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს ეკონომიკის მართვაში.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური მიზნების განხორციელების სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობა. სწორედ მაკროეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკური ქცევის თავისებურებებს და მასზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი დონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

მაკროეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მთლიანად ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, მთელი ეროვნული ეკონომიკის იმ ქცევის შესახებ, რომელიც მკლავდება პროდუქტის გამოშვების, შემოსავლის, ფასების დონის, საგარეო ვაჭრობის, უმუშევრობის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებაში. ზოგადად, მაკროეკონომიკა სწავლობს ეკონომიკურ ქცევებს პოლიტიკაში, რომლებიც ზემოქმედებენ მოხმარებისა და ინვენსტიციების მოცულობაზე, სავალუტო კურსსა და სავაჭრო ბალანსზე, აგრეთვე ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ ფასებისა და ხელფასების ცვლილება, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, ნაღდი ფულის მასის მოცულობა, სახელმწიფო ბიუჯეტი, პროცენტის განაკვეთის ცვლილება, სახელმწიფო ვალი.

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია. ის მიზნების შერჩევას, მიზნების მიღწევის შესაძლო ვარიანტების შემუშავებას და შეფასებას მოიცავს.

ამ მიზნით შესაძლოა მაკროეკონომიკისა და ბრიუს ფორმულირებით ვისარგებლოთ, რომელთა აზრით უმთავრეს მიზნებად უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკური ზრდა, სრული დასაქმება, ეკონომიკური ეფექტიანობა, ფასების სტაბილური დონე, ეკონომიკური თავისუფლება, შემოსავ-ლების სამართლიანი განაწილება, ეკონომიკური უზრუნველყოფა და სავაჭრო ბალანსი.

უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკური მიზნების პრიორიტეტულობის განსაზღვრაში ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთიანი შეხედულება არ ჩამოყალიბებულა და სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელს სხვადასხვა მიზნები მიაჩნია პრიორი-ტეტულად, მაგრამ ზემოთჩამოთვლილი მიზნების არსებობა თითქოსდა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი ეკონომიკური მიზანი ეკონომიკური ზრდაა. იგი უფრო მეტი რაოდენობის და უკეთესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების წარმოებას – ანუ ცხოვრების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს. თავისთავად ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებული რესურსების

მაქსიმალურად გამოყენების გზით. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდა გამორიცხულია უცხოური კაპიტალის მონაწილეობის გარეშე.

ეკონომიკური ზრდის პრობლემა აქტუალურია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნების გზას დაადგენენ. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდი მეტად მძიმე და რთული აღმოჩნდა პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკა წლების განმავლობაში ერთიანი საკავშირო კომპლექსის ორგანული შემადგენელი ნაწილი და მისი ინტერესების გამომხატველი იყო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ქვეყნები ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რამაც წარმოების მოცულობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია და კიდევ უფრო გააღრმავა ის განსხვავება, რომელიც უკვე არსებობდა განვითარებულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემულ ქვეყნებში მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპების მიღწევას, რაც შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის ფაქტორების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორებიდან თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: ინვესტიციებს, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და შრომით რესურსებს. საინვესტიციო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს, როგორც უცხოური, ისე ეროვნული ინვესტიციების მოზიდვის საშუალებები და მათი ეფექტიანი გამოყენების მიმართულებები. ორივე შემთხვევაში დიდაა, როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სტრუქტურების როლი, მაგრამ ამ პროცესების სახელმწიფო რეგულირების განსაკუთრებული მნიშვნელობა წარმოებით ურთიერთობათა ტრანსფორმაციის პირობებში მაინც შენარჩუნებული უნდა იყოს.

სრული დასაქმება – კეინსიანური პოლიტიკა მიზნად ისახავს საერთო მოთხოვნის ისეთ კონტროლსა და რეგულირებას, რომელიც საერთო მიწოდებასთან იქნება შესაბამისობაში, მოსახლეობის სრული ან მაღალი დასაქმების უზრუნველყოფის პირობებში. ამ თეორიის თანახმად სამომხმარებლო და

საინვესტიციო მთლიანი მარაგების ცვლილებები ძირითად გავლენას ახდენენ წარმოებისა და დასაქმების დონეზე. სწორედ ამიტომ, კეინსიანელობა უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში აქტიური ჩარევის რეგულირებას ისეთი მექანიზმებით, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტი, ეკონომიკის დეფიციტური დაფინანსება, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთით მანიპულირება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის არაპირდაპირი მაკროეკონომიკური რეგულირება, რომლის მიზნობრივი პრიორი-ტეტებია – დასაქმება და ეკონომიკური ზრდის სტაბილურობა, ხოლო ინსტრუმენტებია – სახელმწიფო ბიუჯეტი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ წმინდა საბაზრო მექანიზმს არ შეუძლია უზრუნველყოს სტაბილური ეკონომიკური ზრდა და სრული დასაქმება, სწორედ ამიტომ არის საჭირო სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში.

შრომის ბაზრის ფუნქციონირების საკითხების კვლევისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ თუ საბაზრო მექანიზმები ყოველგვარი ჩარევის გარეშე იმოქმედებენ, მაშინ იზრდება მათი უპირატესობა, მაგრამ ამავე დროს ერთდროულად ღრმავდება მისი უარყოფითი მხარეების მოქმედებაც, კერძოდ, უარესდება მოსახლეობის სოციალურად ნაკლებად დაცული ჯგუფების მდგომარეობა, იზრდება უმუშევრობა. ამიტომ გარკვეული ზომით შრომის ბაზრის ცალკეული მხარეების რეგულირება სახელმწიფოს მიერ აუცილებელია.

სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ყველას, რათა მათ ჰქონდეთ თავისი სურვილისა და შესაძლებლობების შესაბამისი სამსახური. ერთი შეხედვით აღნიშნული მიზანი თითქოს მხოლოდ „საშინაო“ მიზნების კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა დასაქმება გასცდა შიდა სახელმწიფოებრივ პრობლემას და გლობალური მასშტაბები მიიღო. ძალიან ბევრი ადამიანი საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებს სამსახურს და ბევრიც სხვა ქვეყნიდან ჩამოდის სამუშაოს საძებნელად. ამდენად რთულია

რაიმე მკვეთრი საზღვრის გავლება ამ მიზნის მიღწევის საშინაო და საგარეო ასპექტებს შორის.

ჩვენი აზრით, განვითარებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას იწვევს არა მხოლოდ ძირითად კაპიტალში ინვესტირება, არამედ ახალი ცოდნის შექმნა, სწავლა, მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების შეთვისება, ანუ ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების სრულყოფილად დაუფლება.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური კრიზისიდან და განვითარებულ ქვეყნებზე სამუდამო დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის გზა განათლების პრიორიტეტული, პერმანენტული დაფინანსებისა და კვალიფიციური სამუშაო ძალისთვის სტიმულების შექმნაზეა ნაწილობრივ დამოკიდებული.

ეკონომიკური ეფექტიანობა – შეზღუდული საწარმოო რესურსების მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური უკუგების მიღებაა. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს საგარეო და საშინაო ფაქტორების სინთეზთან, რადგან მხოლოდ კონკურენციის პირობებში მიიღწევა რესურსების ეფექტიანი გამოყენება. იმ შემთხვევაში, როცა საუბარი მაკრო დონეზე გვაქვს, ხაზი უნდა გაესვას ქვეყნებს შორის კონკურენციას, ფარდობითი და აბსოლუტური უპირატესობების გამოყენებას, უცხოური ინვესტიციების დაბანდებას და ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, რაც ეფექტიანობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად მიგვაჩნია.

საინვესტიციო სფეროში სახელმწიფო ღონისძიებათა ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სამამულო და განსაკუთრებით უცხოელი ინვესტორებისათვის სტაბილური, მიმზიდველი გარემოს შექმნა. ზოგადად უცხოელი ინვესტორებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ქვეშ იგულისხმება გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალურ-კულტურული პირობების მთელი კომპლექსი.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, როგორც საერთოდ საინვესტიციო პროცესის ორგანიზაციის და რეგულირების სფერო, ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთ ურთულეს მიმართულებას წარმოადგენს. მასში გაერთიანებულია ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა მრავალი ასპექტი. რომელთა ოპტიმიზაციის გზით მიიღწევა ის სასურველი შედეგი, რასაც სრულფასოვანი საინვესტიციო პროცესი, სტაბილური ეკონომიკური ზრდა ჰქვია.

მსოფლიო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ უცხოური ინვესტიციები, მათი სწრაფად მოზიდვის და გამოყენების შემთხვევაში, თითქმის ყველა ქვეყანაში სასიკეთო გავლენას ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე, აძლევს მნიშვნელოვან, ხოლო რიგ შემთხვევაში გადამწყვეტ უპირატესობას სტრუქტურული გარდაქმნისა და საექსპორტო პოტენციალის გამყარების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის.

ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში გარდაქმნების შესაძლო ვარიანტების განხილვისას ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს საექსპორტო წარმოების განვითარებას. ნებისმიერი დარგის მიმართ საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებისას ასეთი მიდგომა პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის აუცილებლობა. მცირე ბიზნესმა მთელ მსოფლიოში დაამტკიცა თავისი უპირატესობები, როგორც მეწარმეობის ყველაზე უფრო მოქნილმა ფორმამ. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში მცირე საწარმოებში იქმნება მთლიანი ეროვნული პროდუქტის 20-25%. რეალურია მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზად გადაქცევის პერსპექტივა საქართველოში. ამის ერთ-ერთ პირობად სახელმწიფოს მხრიდან ფართო მხარდაჭერა გვევლინება. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ქვეყანაში შედარებით იაფი კრედიტის არსებობა. სწორედ ფინანსური სტაბილიზაციის ფონზე საკრედიტო პოლიტიკის თანდათანობით ლიბერალიზაცია

გვევლინება მცირე და საშუალო ბიზნისის ფართო განვითარების საწინდრად.

იმისათვის, რომ უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა რეალურად იმოქმედონ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, აუცილებელია დაგროვდეს ამ ინვესტიციათა საკმარისი მასა, წარმატებით მომუშავე ერთობლივ და წმინდა უცხოურ საწარმოთა საკმარისი დიდი რაოდენობა. ამას კი გარკვეული დრო დასჭირდება. საჭიროა სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს, როგორც ზოგადად უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში, ისე კონკრეტული პროექტების მხარდაჭერაში და მათში უშუალო მონაწილეობაში.

ფასების სტაბილური დონე – ფასების საერთო დონის მკვეთრი ზრდისა და შემცირების, ანუ ინფლაციისა და დეფლაციისაგან თავის არიდება. აღსანიშნავია, რომ ფასების დონე ყველაზე უფრო მეტადაა დამოკიდებული ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ ვითარებაზე და ამდენად მისი განხილვაც აუცილებლად საგარეო ეკონომიკის ასპექტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. გასათვალისწინებელია, რომ ფასების დონე ექსპორტ-იმპორტის განმსაზღვრელია და ამდენად მას განსაკუთრებული როლი ენიჭება როგორც პირველი (ეკონომიკური ზრდა), ასევე მეორე (სავაჭრო ბალანსი) მიზნის მიღწევისათვის.

ეკონომიკური თავისუფლება – მწარმოებლები და მომხმარებლები თავის საქმიანობაში აღჭურვილნი უნდა იყვნენ მაქსიმალური თავისუფლებით, რაც უნდა გამოიხატებოდეს ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის აბსოლუტური თავისუფლებით. ეს კი გამორიცხებულია მხოლოდ შიდა ბაზარზე არსებული შესაძლებლობებით, ან პირიქით, შიდა ბაზრის სხვებისათვის ჩაკეტვით ან პროტექციონისტული საბაჟო პოლიტიკის გატარებით. ეკონომიკურ სუბიექტებს უნდა შეეძლოთ თავისი შესაძლებლობების გამოყენება იქ, სადაც მათთვის ყველაზე კარგი პირობებია, რაც მომგებიანი იქნება როგორც მათთვის, ასევე სახელმწიფოსათვისაც.



შემოსავლების სამართლიანი განაწილება – მოქალაქეთა არც ერთი ჯგუფი არ უნდა იმყოფებოდეს სიღატაკის მდგომარეობაში, მაშინ როცა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იმყოფება „განცხრომაში“. თუმცა თავისთავად ტერმინი „სამართლიანი“ ვერ ასახავს პრობლემის არსს. რა შეიძლება იწოდებოდეს „შემოსავლების სამართლიან განაწილებად“, ზომ არ მიაჩნია ზოგიერთს, რომ ეს შეიძლება იყოს „კომუნიზმის დიადი პრინციპის – ყველას მოთხოვნილების მიხედვით“ ინტერპრეტაცია თუ მაინც სოციალიზმის პრინციპის - „ყველას შრომის მიხედვით“ - განხორციელებაა? შესაძლოა ეს არც ერთია და არც მეორე, როგორც წესი, საუბარი შეეხება „შედეგების თანასწორობას“.<sup>3</sup> ვფიქრობთ, ამ მიზნის ქვეშ თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სოციალური და სხვა ტიპის გართულებების თავიდან აცილებაზე უნდა იყოს საუბარი და არა შემოსავლების მართლაც სამართლიან განაწილებაზე, რადგან თვით „სამართლიანობის“ დადგენის არანაირი კრიტერიუმი არ არსებობს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გარკვეული სუბიექტური, თუ ობიექტური მოვლენების ზეგავლენით ადამიანთა ნაწილი ტოვებს თავის ძირითად საცხოვრებელ ადგილს, როგორც დევნილები, ლტოლვილები ეძებენ პოლიტიკურ თუ სხვა სახის თავშესაფარს სხვა ქვეყნებში, რაც პრაქტიკულად კიდევ უფრო გაურკვეველს ხდის მათ მიმართ „შემოსავლების სამართლიანი განაწილების“ პრინციპის განხორციელებას და სახელმწიფოს ამ მიზნის არსს.

სამართლიანი განაწილების პრობლემა უაღრესად მწვავედ დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე, რამდენადაც მოსახლეობა არასოდეს ყოფილა შემოსავლების მხრივ ისე დიფერენცირებული და პოლარულად დაპირისპირებული, როგორც დღესაა, როდესაც ერთ პოლუსზე აღმოჩნდა მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი დიდი სიმდიდრით, მეორე პოლუსზე გაღატაკებული მოსახლეობის უდიდესი რაოდენობა, ხოლო ამ ორ პოლუსს შორის მოსახლეობის

<sup>3</sup> პაპავა ვ. სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. ჟურნალი „ეკონომიკა“, 1995, №7-9.

ის ნაწილი, რომელიც ძლივ-ძლივობით ირჩენს თავს ან საშუალოდ ცხოვრობს. ასეთ დროს სამართლიან განაწილებას უთუოდ საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში.

შემოსავლის გადანაწილება სახელმწიფომ უნდა მოახდინოს შესაბამისი ფისკალური პოლიტიკით. მოგებიდან და პირადი შემოსავლებიდან გადასახადების მობილური სისტემით. უნდა დააწესოს ზღვრული ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, უნდა გასცეს სუბსიდიები, ეკონომიკის სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგების განვითარებისათვის.

ეკონომიკური უზრუნველყოფა. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ავადმყოფთა, შრომის უუნაროთა, მოხუცებულთა და იმ პირთა ღირსეული არსებობა, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო არა აქვთ მინიმალური შემოსავალიც კი. განსაკუთრებით აქტუალური ხდება აღნიშნული მიზანი ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც მოსახლეობის ნაწილი იქცა დევნილად, ლტოლვილად. მათ თავის ძირითად საცხოვრებელ ადგილას დატოვეს მათი არსებობისათვის აუცილებელი ყველა ნივთი და ღვთის ანაბარად არიან დარჩენილნი. ამდენად სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მათი არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნა. ხშირად ადამიანთა ნაწილი პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების გამო ტოვებს სამშობლოს და სხვა ქვეყნებში ეძებს თავშესაფარს. მიმღები ქვეყანა ვალდებულია მათ მიმართაც განახორციელოს ანალოგიური საქმიანობა და უზრუნველყოს ისინი საარსებო საშუალებებით მანამდე მაინც, ვიდრე ისინი არ შეძლებენ საკუთარი არსებობისათვის საჭირო სახსრების მოპოვებას.

სავაჭრო ბალანსი – სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების დროს დაიცვას გონივრული ბალანსი. იმის მტკიცება, რომ სავაჭრო ბალანსის დაცვა მხოლოდ და მხოლოდ საგარეო მიზანია, საკმაოდ რთულია, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა იგი დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკურ ზრდაზე, ფასების საერთო დონეზე. როგორც ცნობილია სავაჭრო ბალანსი

სხვა არაფერია, თუ არა ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა, მათი მოცულობები დამოკიდებულია როგორც წარმოების მოცულობასა და დარგობრივ სტრუქტურაზე, ასევე მოხმარების მოცულობასა და სტრუქტურაზე. ამდენად, აღნიშნული მიზნის მისაღწევად არ კმარა სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება და ხელოვნური ბარიერებით იმპორტის შეზღუდვა, საუბარი ალბათ უფრო მეტად ექსპორტის ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას უნდა შეეხებოდეს, რადგან თავად იმპორტი, თავისუფალი ბაზრის პირობებში, ძირითადად მაინც ადგილობრივ ბაზარზე დეფიციტის დაფარვის საუკეთესო წყაროა. ამდენად, იმპორტის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ ეკონომიკას შეუძლია აწარმოოს და ბაზარს მიაწოდოს ანალოგიური პროდუქცია, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლები არ ჩამოუვარდება იმპორტულ ანალოგებს და ფასი არ აღემატება იმპორტული ანალოგების ფასს.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მიზნები შეიძლება იყოს როგორც ურთიერთშემავსებელი, ასევე ურთიერთ-გამომრიცხავი. მაგალითად, ეკონომიური ზრდა წარმოუდგენელია ეფექტი-ანობისა და სრული დასაქმების გარეშე. თავის მხრივ ეკონომიური ზრდა ფასების სტაბილურ დონესა და ეკონომიკურ უზრუნველყოფას განაპირობებს. ამასთან ინფლაციისა და დასაქმების, ერთი მხრივ, და დასაქმებისა და ეკონომიკური უზრუნველყოფის ეკონომიკური მიზნები, მეორე მხრივ, ასეთივე ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინფლაციის ტემპების ზრდას, როგორც წესი, უმუშევრობის შემცირება (დასაქმების ზრდა) მოჰყვება და პირიქით, ხოლო დასაქმების ზრდა ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარებების (ეკონომიკური უზრუნველყოფის) აუცილებლობის რაოდენობას.

უმთავრესი ეკონომიკური მიზანი – ეკონომიკური ზრდა, რომელიც სახელმწიფოს გააჩნია და რომელზეც ზემოთ უკვე

გვექონდა საუბარი, ხშირ შემთხვევაში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფასად მიიღწევა. ამდენად უკანასკნელ ხანს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ პრობლემებს.

ჩამოყალიბებული ეკონომიკური მიზნების განხორციელებაში ვლინდება სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, როგორც მოცემული მიზნების განხორციელების პრაქტიკული საფუძველი.

მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებთან დაკავშირებითაც განსხვავდება, თუმცა გარკვეული კომპრომისების შემდეგ შესაძლოა აქაც საფუძვლად მაკონიუსსა და ბრიუს კლასიფიკაციით ვიხელმძღვანელოთ და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნა;
2. კონკურენციის დაცვა;
3. შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება;
4. ეროვნული პროდუქტის სტრუქტურის შეცვლის მიზნით რესურსების განაწილების კორექტირება;
5. ეკონომიკური სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის წახალისება.

შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ფუნქცია პრაქტიკულად უშუალოდ ეკონომიკური მიზნიდან გამომდინარეობს. ამდენად მიზნები ასახავს ფუნქციების არსს.

პირველ რიგში განვიხილავთ სახელმწიფოს უმთავრეს ეკონომიკურ (და არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ზოგად-სახელმწიფოებრივ) ფუნქციას, საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნას. აღნიშნული ფუნქცია გარკვეულად აერთიანებს ყველა დანარჩენ ფუნქციებს,

რადგანაც მათი შესრულების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, „თამაშის წესები“ და სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტები,

მხოლოდ სახელმწიფოს პერეოგატივია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა და მისი შესრულების კონტროლი. სამართლებრივი საფუძვლების შექმნაში, უწინარეს ყოვლისა, იგულისმება ეკონომიკურ ურთიერთობათა იურიდიული პრინციპების, ანუ „თამაშის წესების“ დადგენა, რომელიც თავიანთ საქმიანობაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ეკონომიკურმა აგენტებმა (მწარმოებლებმა, მომხმარებლებმა, თვით სახელმწიფომ).

აუცილებელი სამართლებრივი ბაზა ისეთ ზომებს ითვალისწინებს, როგორცაა საკუთრების უფლების განსაზღვრა, კანონიერი სტატუსის მინიჭება კერძო საწარმოებისათვის, კონტრაქტების დაცვა. უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით ეკონომიკის მდგომარეობისა და საბაზრო კონიუქტურის შესახებ, ამით თან იცავს და თან ახალისებს კონკურენციას: <sup>4</sup>

სამართლებრივი საფუძვლების შექმნა საბაზრო ეკონომიკის განვითარების ყველა ეტაპზე აქტუალურია. მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც მისი ფორმირების სტადიაზე, ე.ი. განვითარების ისეთ საფეხურზე იძენს, რომელზეც დღეისათვის იმყოფებიან საქართველო და სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნები. სათანადო კანონებისა და საკანონმდებლო აქტების შეშუშავება-დამტკიცების დაგვიანება, რომელიც ხშირია ჩვენს სინამდვილეში, მნიშვნელოვან-წილად აფერხებს ეკონომიკური რეფორმირების პროცესს.

კონკურენციის დაცვა – იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენცია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დროს განვითარების უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორია და

---

<sup>4</sup> К. Ховард. Экономическая теория. Москва, 1972, ст. 198.

ამასთან სწორედ კონკურენციის წყალობით ხორციელდება მწარმოებლების ინტერესების დაცვის ფუნქცია, როდესაც მას (მომხმარებელს) საშუალება აქვს მისთვის სასურველი ფასისა და მახასიათებლების პროდუქცია შეიძინოს, გასაგები ხდება, თუ რატომაა მისი შენარჩუნება აუცილებელი, მაგრამ ბაზარი, რომელიც არ არის თვითრეგულირებადი სისტემა, კონკურენციის მეშვეობით ებრძვის არა კონკურენტ-უნარიანობას, ანუ ძლიერისა და სუსტის ბრძოლა, რომელიც განვითარების სტიმულია, შესაძლოა ბაზარზე მხოლოდ ერთი მათგანის დარჩენის საფუძველი გახდეს. „ჯუნგლების კანონი“, რომელიც შესაძლებელი ხდება ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოვიდეს, საბოლოო ჯამში მომხმარებლის ინტერესებს შელახავს, რადგან შეზღუდული კონკურენციის პირობებში მონოპოლისტს შესაძლებლობა ეძლევა ბაზარს, საკუთარი ფასი და სხვა პირობები უკარნახოს მომხმარებელს. თუ გავითვალისწინებთ აქსიომატურ გამონათქვამს, რომ მწარმოებელი მომხმარებელია, მაგრამ ყველა მომხმარებელი – მწარმოებელი არაა, ცხადი ხდება, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას უმრავლესობის ინტერესი და შეზღუდოს მონოპოლისტური გაერთიანებების წარმოქმნა, ხოლო თუ გარკვეული პირობების გამო, შეზღუდვა შეუძლებელია, მაშინ პირობები უკარნახოს მეწარმე სუბიექტს, ან თავად სახელმწიფო იყოს მონოპოლისტი და ამით აღმოფხვრას განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი და „ბაზრის ფიასკო“.

საქართველოს ეკონომიკისა და კერძოდ, ბაზრის რეგულირების ნორმალიზებაში კანონმდებლობა გარკვეულ დადებით როლს ასრულებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ განაპირობებს თვალსაჩინო სასიკეთო შედეგებს.

ანტიმონოპოლიური რეგულირება ნიშნავს სრულყოფილი კონკურენციისათვის პირობების შექმნას არა მარტო მონოპოლიების ქცევის წესების რეგულირებისა და მათთან ბრძოლის გზით, არამედ ბაზარზე არსებული სიტუაციისა და მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მოპოვებითაც.

რესურსების გადანაწილება – ხშირ შემთხვევაში საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობით ზოგიერთი სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, ან საერთოდ არ გამოყოფს რესურსებს იმ საქონლის საწარმოებლად, რომლის წარმოებაც ეკონომიკურად გაუმართლებელია. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება „გარე ეფექტებს“, ხოლო მეორე შემთხვევაში ე.წ. „საზოგადოებრივ დოვლათს“.

„გარე ეფექტებად“ უნდა მივიჩნიოთ ის ეფექტები, რომელსაც წარმოება ახდენს მესამე პირზე და ამ ეფექტების დაძლევისათვის ზარჯები უნდა გაიღოს მესამე პირმა, ანუ მან ვისაც არც წარმოების და არც მოხმარების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო „საზოგადოებრივ დოვლათს“ განეკუთვნება ისეთი საქონელი და მომსახურება, რომელიც არ არის გამოორიცხვადი (დამატებით მომხმარებელს შეუძლია მისი უსასყიდლოდ მიღება და შეუძლებელია რაიმე ბარიერის დაწესება, რათა მომხმარებლისათვის მისი გამოყენება მიუწვდომელი გახდეს და შეუძლებელია მომხმარებლის გამოორიცხვა ამ საქონლის მოხმარების პროცესიდან) და კონკურენტული (წარმოების ნებისმიერი მოცემული დონისას ზღვრული დანახარჯები დამატებითი მომხმარებლისათვის ნულის ტოლია). ხოლო კვაზი საზოგადოებრივია საქონელი, რომელიც შეიძლება იყოს ან კონკურენტული ან გამოორიცხვადი, ან ორივე ერთად. ამავე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაშიც მასშტაბის ეფექტს აქვს მნიშვნელობა.

გარე ეფექტების წყალობით, იმის გამო, რომ კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტი ახდენს მის მიერ გასაწევი ზარჯების მესამე პირზე გადატანას, მისაღები მოგების ოდენობა იზრდება და ფირმა რესურსების გადაღინების წყალობით ახდენს წარმოების გაფართოებას.

სახელმწიფო ვალდებულია დააწესოს გარკვეული ნორმები ან გადასახადები, რომლებიც შეზღუდავს ასეთი ტიპის საწარმოთა გაფართოებას ან მიღებულ სახსრებს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიმართავს.

გარე ევექტები შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ უარყოფითი, არამედ დადებითიც. მაგალითად, განათლება, ვაქცინაცია და სხვ. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება წაახალისოს ან მოთხოვნა (ტრანსფერების სახით), ან მიწოდება (სუბსიდიების სახით), ან თავად გამოვიდეს მეწარმის როლში.

სრულიად საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე „საზოგადოებრივი დოვლათის“ შემთხვევაში. საზოგადოებრივი დოვლათის კლასიკური მაგალითია შუქურა, რომლის მომსახურების მიღება და შესაბამისად ღირებულების გადახდაც ე.წ. „გამორიცხვის მეთოდით“, შეუძლებელია. ამდენად ბაზარზე პრაქტიკულად შეუძლებელია მოიძებნოს კერძო კომპანია, რომელიც დააფინანსებს მას, არადა ბევრ ადგილას ნავიგაცია შუქურას გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამდენად სახელმწიფო თავად იღებს ვალდებულებებს დააფინანსოს ანალოგიური დოვლათი.

სოციალური სიკეთეების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ავტომაგისტრალები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სამედიცინო დაწესებულებები, სკოლები, მუნიციპალური სამსახურები, სახანძრო და ა.შ.

მთავრობა ავსებს ბაზრისაგან თავისუფალ სამეურნეო ზონებს, რომლებიც არ იძლევიან საკმარის შემოსავალს, მაგრამ საზოგადოებრივად აუცილებელია, ანდა მოგვცემენ შედეგს მხოლოდ მომავალში (მეცნიერების ფუნდამენტალური განვითარება, კოსმოსი და ა.შ.).

მთავრობის ფუნქციაა დაიცვას მოსახლეობა მეწარმეობის მავნე შედეგებისაგან. ეს შედეგები მოქმედებს ხალხის ჯანმრთელობაზე, მათი ცხოვრების პირობებზე, ეკოლოგიაზე და ეროვნულ უშიშროებაზე. იმისათვის, რომ მათ აარიდოს, აღმოფხვრას ან შეამციროს ეს შედეგები სახელმწიფო იყენებს სხვადასხვა მეთოდებს – დაბეგვრა, სუბსიდიები, დარწმუნება, აკრძალვა და სხვა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც აუცილებლად უნდა შეასრულოს სახელმწიფომ, არის შემოსავლებისა და



სიმდიდრის გადანაწილება, რათა მიღწეული იყოს სოციალურად დაუცველი ფენების დაცვა და ე.წ. „შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება“, მაგრამ რეალურად აღნიშნული ფუნქციის უმთავრესი დანიშნულება საზოგადოების სოციალური სიმშვიდის უზრუნველყოფაა და არა სიმდიდრის თანაბარი განაწილება.

აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფო იყენებს საგადასახადო სისტემას და ბეგრავს რა მაღალ შემოსავლიან ფენებს, ამონაგები თანხებით ცდილობს ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების „გული მოიგოს“.

საზოგადოების სოციალური მდგომარეობის უზრუნველყოფის პრობლემები სახელმწიფოს მხრიდან, შემდეგ თავში ვრცლად გვაქვს გაანალიზებული, ამიტომ ამ თავში, ამ საკითხებზე მეტად აღარ შევჩერდებით.

„ისტორიულად მოხდა ისე, რომ მთავრობის ყველაზე უფრო ახალი და, ამა თუ იმ თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკონომიკის სტაბილიზაციაშია, ანუ კერძო ეკონომიკის დახმარებაში, რათა უზრუნველყოს რესურსების სრული დასაქმება და ფასების სტაბილურობა“.<sup>5</sup>

ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის წახალისების ფუნქცია – შეიძლება სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მაკროეკონომიკურ ფუნქციად მიოვიჩინოთ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მაკრო დონეზე მიკრო ეკონომიკის წარმატებულად ფუნქციონირების წახალისებასთან, რაც შესაბამისი მაკროეკონომიკური ინდიკატორების წყალობით მიიღწევა. კერძოდ, ფასების სტაბილური დონის, დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფით სახელმწიფო ცდილობს შესაბამისი გარემო შექმნას, რომელშიც მეწარმე მხოლოდ წარმოებაზე იფიქრებს და არა იმ რისკზე, რომელიც შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან „სიურპრიზად“ მოევლინოს.

სახელმწიფო სწორად უნდა საზღვრავდეს მაკროეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს – რაც ძალიან მნიშვნელოვანია

---

<sup>5</sup> მაკონელი კ. რ., ბრიუ ს.ლ., ეკონომიკის ტ. 1. თბ., 1993, გვ. 212.

ერისათვის დღეს, რამდენი რესურსი იქნება საჭირო, როგორი იქნება შედეგები ფართო სამეურნეო კავშირებისა – იმისათვის რომ სწორად გადაანაწილოს რესურსები ერთი სფეროდან მეორეში.

მაგალითად, იმისათვის, რომ სტრუქტურული დისპროპორციების ლიკვიდაცია მოახდინოს, რომ არ გაკოტრდნენ საქონელმწარმოებლები (ფერმერები), სახელმწიფო ადგენს მაღალ შესასყიდ ფასებს მათ პროდუქციაზე, ღოტაციებს იხდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

და ბოლოს ეკონომიკის სტაბილიზაცია არ შეიძლება მიღწეულ იქნას სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. ეს ყველაზე ახალი და სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფუნქციაა სახელმწიფოსთვის.

სახელმწიფო, თავისუფალი ბაზრის პირობებში, სამოქმედო ინსტრუმენტების არჩევაში შეზღუდულია და მხოლოდ რამდენიმე ინსტრუმენტს ფლობს, რომელთა ოპტიმალური გამოყენების პირობებშია მხოლოდ შესაძლებელი მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევა.

ჩვენ იმაზეც გვქონდა საუბარი, რომ ბაზარი არ არის სრულად თვითრეგულირებადი სისტემა და იგი არ განეკუთვნება ისეთ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის განუხრელ და სტაბილურ ზრდას. ამრიგად ბაზრის ეს ნაკლი ვილაცამ უნდა გამოასწოროს და სწორედ ეს „ვილაცა“ სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია შეზღუდული, მაგრამ საკმაოდ ეფექტიანი ბერკეტები, იმისათვის, რომ შეაკავოს ეკონომიკაში არსებული რყევები და ეკონომიკურ ზრდას უფრო სტაბილური ფორმა „მიალბინოს“.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკისაგან განსხვავებით, სადაც სახელმწიფო თავად „ასრულებდა“ ბაზრის როლს, ეკონომიკური კრიზისები ნაკლები უნდა ყოფილიყო, რადგან იგეგმებოდა კრიზისების გამომწვევი ფაქტორების ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ოდენობები და ცხადია, როცა ფორმალურად არ არსებობდა სხვაობა მათ შორის,

ეკონომიკაც ძირითადად არსებული გეგმის მიხედვით ვითარდებოდა.

რაც შეეხება თავისუფალ ბაზარს, სადაც ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას ბაზარი არეგულირებს სასურველია სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი და ყოველთვის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც არაეფექტურ შედეგებს აგვარიდებს, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს არ გააჩნია იძულების ის მექანიზმები, რომლებიც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის დროს აქვს.

მაშასადამე, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების რეგულირებისათვის სახელმწიფოს გარდა მათზე პირდაპირი ზემოქმედების (ადმინისტრირების) ფორმებისა, რჩება ორი ძირითადი ინსტრუმენტი: ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, რომლებიც მაკროეკონომიკურ პოლიტიკის საფუძველს ქმნიან.

მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში მთავარი არის ის, რომ მას შეუძლია ერთობლივ მოთხოვნაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი და სისტემატიური ზეგავლენა მოახდინოს. სწორედ ამ აზრს ეყრდნობიან კენსისის მიმდევრები, რომელთა აზრით, სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით შეუძლია მიაღწიოს ეკონომიკის სტაბილიზაციას სრული დასაქმების დონეზე.

სახელმწიფოს ხელში ეკონომიკაზე ზემოქმედების და შესაბამისად მაკროეკონომიკური პოლიტიკის საუკეთესო ინსტრუმენტი მონეტარული, ანუ ფულად საკრედიტო პოლიტიკაა, რომელიც, განმარტების თანახმად სახელმწიფოს მხრიდან ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სფეროში გატარებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია ეკონომიკის და ფულადი (მონეტარული) სისტემის ეფექტიანი, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. მის ძირითად შემადგენელ ნაწილად მოიაზრება ოპერაციები ღია ბაზარზე, სააღრიცხვო პოლიტიკა და აუცილებელი მინიმალური რეზერვების დაწესება. მონეტარიზმის შესაბამისად ეკონომიკურ პროცესებში გადამწყვეტ

როლს თამაშობს ემისიის რეგულირება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი, კრედიტის პროცენტი.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო შემოსავლების სფეროში, რომელიც მიმართულია დასაქმების მაღალი დონის, ეკონომიკის სტაბილურობისა და მეზობელი ქვეყნების უზრუნველსაყოფად.

ბიუჯეტი არის უმთავრესი ინსტრუმენტი, რომლითაც ხდება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედება. იგი არის სახელმწიფოს მიერ გადასანაწილებელი ეროვნული შემოსავალი, რომელიც ორი ნაწილისაგან – შემოსავლებისა და ხარჯებისაგან შედგება. ბიუჯეტის ორივე ნაწილი აქტიურად ზემოქმედებს ეკონომიკაზე.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეკონომისტები საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ინსტრუმენტებიდან პირველ რიგში სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებს, სახელმწიფო შესყიდვებს განიხილავენ, როგორც ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებას.

სწორედ სახელმწიფოს მიერ მოხმარებული თანხები ზრდიან ერთობლივ მოთხოვნას და მასტიმულირებულ როლს თამაშობენ ეკონომიკის განვითარებაში.

გასაგებია, რომ კერძო სექტორის ხარჯებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებს:

$$მეზ = C + I_g + G + X_n = (C + I_g + X_n) + G$$

სადაც,  $R$  – პირადი სამომხმარებლო ხარჯებია,  $I_g$  – მთლიანი საშინაო კერძო ინვესტიციები, –საქონელთა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები,  $X_n$  – წმინდა ექსპორტი.

ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების რაოდენობით იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც იწვევს წონასწორული მეზ-ის ზრდას. სახელმწიფო შესყიდვებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნების მიღწევისათვის.

გასათვალის-წინებელია ისიც, რომ სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებლად ისეთი ხარჯების გაწევაც უწევს, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან და სამედიცინო უზრუნველ-ყოფასთან, სახელმწიფოს თავდაცვასთან, ვალების მომსახურებასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, განათლებასთან, ბიუროკრატიის შენახვასთან და სხვა.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ შესყიდვების მეშვეობით გაზარდოს ერთობლივი მოთხოვნა და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდაზე მასტიმულირებელი როლი ითამაშოს, აუცილებელია მას საამისო სახსრები გააჩნდეს, რომლებსაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძირითადად გადასახადების სახით იღებს. სახსრები, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის სტიმულირებისათვის, იმავე ეკონომიკიდან ამოღებული სახსრებია და აღნიშნულით სახელმწიფო ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას.

იმისათვის, რომ საგადასახადო სისტემა – მეტ-ნაკლებად ოპტიმალურად ფუნქციონირებდეს, აუცილებელია იგი ნ ძირითად პრინციპს ემყარებოდეს:

1. სიმარტივე – ყველას, როგორც გადასახადის გადამხდელს, ასევე ადმინისტრირებაში დასაქმებულ პირს ექსპერტების დახმარების გარეშე უნდა შეეძლოს გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებში გარკვევა;
2. სიცხადე – გადასახადი უნდა იყოს ერთიანი განაკვეთით და საგადასახადო სისტემის დოკუმენტებში დებულებები არ უნდა იძლეოდეს ორმაგი გაგების საფუძველს;
3. განაკვეთი – გასადახადის განაკვეთი მისაღები უნდა იყოს ყველასათვის და გადამხდელისათვის მისი გადახდა უნდა სჯობდეს არ გადახდას;
4. უნივერსალურობა – გადასახადის განაკვეთი ერთნაირად უნდა გამოიყურებოდეს დაბეგერის ყველა სფეროში, ხოლო თუ სახელმწიფოს მიერ რაიმე შეღავათზე საუბარი, იგი სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური პროგრამული დაფინანსებით უნდა ხდებოდეს;

5. სრულყოფილება – საგადასახადო სისტემა უნდა იყოს სრულყოფილი, ანუ უნდა იბეგრებოდეს არა მარტო ხარჯები, არამედ შემოსავლებიც;

6. სამართლიანობა – გადამხდელებმა არ უნდა გამოიწვიონ ეკონომიკური პროცესების დამახინჯება, კერძოდ კი დაზოგვის სხვადასხვა ფორმასა და საუკეთესო შემთხვევაში მოხმარებასა და დაზოგვას შორის.

სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საგადასახადო ადმინისტრაციის ხარჯები.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ უნივერსალური, საერთო არაპირდაპირი გადასახადი საქონლის არჩევანზე ზემოქმედებას ვერ ახდენს, მაშინ როცა აქციზი ასეთ ზემოქმედებას ახდენს. საგადასახადო შემოსავლების ოპტიმიზაციის მიზნით გადასახადების განაკვეთის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გადასახადების განაკვეთს პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში, ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგისათვის შედარებით შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის პირობებში, სახელმწიფოს საშუალება ეძლევა საკმაოდ ქმედითი ბერკეტები აამოქმედოს ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში პროდუქციის გამოშვების გაზრდის ან შემცირების თვალსაზრისით.

სახელმწიფოსთვის გადასახადების დაწესებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერ სახელმწიფოში უამრავი გადასახადი არსებობს როგორც იმპორტზე, ისე საკუთარ წარმოებაზე. თუმცა მათი დაწესების მიზანი შესაძლოა განსხვავებული იყოს. გადასახადები შესაძლოა დაწესდეს როგორც სახელმწიფო შემოსავლების ზრდის, ისე გარკვეული სახის საქონლის და მომსახურების იმპორტის შეზღუდვის მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადასახადებს შემოსავლების ზრდისათვის აწესებს, მაშინ ეს გადასახადები თანაბარია როგორც იმპორტზე, ისე ადგილობრივ წარმოებაზე. ამ თვალსაზრისით უცხოელი და ადგილობრივი მეწარმე დაახლოებით თანაბარ

პირობებში იმყოფებიან. ამასთან ფისკალური გადასახადების ერთადერთ დანიშნულებას სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საბაჟო გადასახადის ზრდა იმპორტირებული პროდუქციის კონტრაბანდას შეუწყობს ხელს, რაც შემდგომში ბაზრის დანგრევით იმუქრება, რადგან, როგორც წესი, კონტრაბანდული საქონლის შეტანა ქვეყანაში უფრო იაფი ჯდება, ვიდრე იგივე საქონლის მაღალი საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის შემთხვევაში, მით უფრო, რომ არც ერთ სახელმწიფოში არ არის აღმოფხვრილი კონტრაბანდა და საბაჟოს გვერდის ავლით პროდუქციის იმპორტი.

პროტექციონისტული პოლიტიკის მომხრეთა არგუმენტები საკმაოდ სერიოზულია, მით უფრო პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში. უპირველეს ყოვლისა, ისინი ანალიზს უკეთებენ რა ეკონომიკის მდგომარეობას, აღნიშნავენ, რომ ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში მემკვიდრეობით დარჩა დანგრეული საწარმოო ბაზა, ხოლო მძიმე კრიმინოგენულმა ვითარებამ მთლიანად წელში გატეხა ეროვნული ეკონომიკა. გაწყვეტილმა ეკონომიკურმა კავშირებმა შეუძლებელი გახადა ეკონომიკის აღმავლობა და ამდენად დღეს სახელმწიფოს უმთავრესი დანიშნულება სწორედ მეწარმეობისადმი ხელის შეწყობაა.

ცხადია, ყოველივე ზემოთ თქმულს აბსოლუტურად ვეთანხმებით, და უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული უნდა იქნას ქმედითი ღონისძიებანი ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობისათვის. წარმოების აღორძინების მნიშვნელოვან ფაქტორად წარმოებული პროდუქციის გასაღების არსებობა და კონკურენცია უნდა მივიჩნიოთ. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეებმა ვერ უზრუნველყვეს საკუთარი წარმოებული პროდუქციის რეალიზება, საუბარი წარმოების შემდგომ გაფართოებაზე საკმაოდ არარეალურ ფორმას მიიღებს. ამდენად გასაღების ბაზარი წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

აქვე შევნიშნავთ, რომ ვეთანხმებით მთავრობის ეკონომიკურ კურსს, რომელიც ორიენტირებულია საქსპორტო საქონლის წარმოების განვითარებაზე და ხელშეწყობაზე. დღეის მონაცემებით ქვეყანაში იმპორტი 7-ჯერ აჭარბებს ექსპორტს. აქედან გამომდინარე მთავრობის დღევანდელი კურსი სრულიად გამართლებული და მისაღებია.

მაშასადამე, უკვე გამოიკვეთა იმ კონკრეტულ ინსტრუმენტთა არასრული, მაგრამ ძირითადი ჩამონათვალი, რომლებზე ზემოქმედებითაც სახელმწიფოს შეუძლია ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედება და მის წინაშე არსებული ეკონომიკური მიზნების შესრულება. სახელმწიფოს მხრიდან სწორედ აღნიშნულ ეკონომიკურ მიზნებსა და ეკონომიკურ ფუნქციებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრაში და მათ ჯეროვნად შესრულების პროცესში, თანმიმდევრული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და ზემოთ აღნიშნული ინსტრუმენტების მეშვეობით აქტიურად ზემოქმედების პროცესში გამოიხატება პოლიტიკის, და უპირველეს ყოვლისა მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი.



## თავი III

### სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სრულყოფის სრულყოფის გზები თანამედროვე ეტაპზე

#### 3.1 სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სრულყოფის გზები პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პირობებში

ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის პირობებში, სადაც თითქმის ყველა სამეურნეო ერთეული ექვემდებარება ერთიან ხელმძღვანელ და ზემდგომ მმართველ ცენტრს, ქვეყანაში შექმნილი პრობლემების გადაჭრას კისრულობენ სახელმწიფო ორგანოები, ცენტრალური ხელისუფლება ახდენს ძირითადი სახეობის საწარმოო რესურსების (სამეურნეო ბრუნვაში მოქცეული ბუნებრივი რესურსები, ძირითადი კაპიტალი, ფინანსური რესურსები და სხვ.) ცენტრალიზაციას, ანაწილებს მას რაღაც პრინციპით და ავალ-დებულებს საწარმოებს შეასრულონ მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებების მიერ შედგენილი დირექტიული გეგმები (დავალებები), გეგმების შეუსრულებლობის შემთხვევაში იყენებს იძულებით (მათ შორის) დამსჯელ ღონისძიებებს. ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრისადმი, ასეთი მიდგომა დამახასიათებელია ყველა ტოტალური ტიპის სახელმწიფოსათვის, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ე.წ. სოციალისტური ქვეყნებისათვის.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, მოცემულ პრობლემათა გადაწყვეტა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ბაზრებისა და საბაზრო მექანიზმების მეშვეობით ხორციელდება, აქ ობიექტურად მოქმედებენ შემდეგი პროცესები:

საწარმოები აწარმოებენ იმ პროდუქციას, რომელზეც არის მოთხოვნა და რომელიც იძლევა მაქსიმალურ მოგებას, ამასთან თუ რა უნდა აწარმოონ მათ, კონკრეტულად წყდება ბაზრის კარნახით.

თუ როგორ, რომელი ტექნოლოგიით უნდა იქნეს წარმოებული პროდუქცია განისაზღვრება საქონლის მწარმოებლებს შორის მიმდინარე კონკურენტულ ბრძოლაში. კონკურენციაში გამარჯვებისა და მოგების მაქსიმიზაციის ერთადერთ გზას წარმოების ხარჯების მინიმალური დონის მიღწევა. ამიტომ ისინი ცდილობენ გამოიყენონ ის საწარმოო რესურსები და ტექნოლოგიები, რომლებიც მოითხოვენ შედარებით ნაკლებ დანახარჯებს.

რობლემა, თუ ვისთვის უნდა იქნეს წარმოებული საქონელი, გადაიჭრება წარმოების ფაქტორების, კერძოდ, შრომის, მიწის და კაპიტალის ბაზრებზე, აღნიშნულ ბაზრებზე განისაზღვრება ხელფასის, რენტის, სარგებლისა და მოგების დონეები, ე.ი. საზოგადოების წევრთა შემოსავლები, გამოშვებული საქონელი კი მისი გამოყენების მიზნით გადადის სწორედ შემოსავლების მფლობელ კონკრეტულ ინდივიდებთან და სამეურნეო ერთეულებთან.

ნებისმიერი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკას ძირითადად ობიექტური საბაზრო მექანიზმები და კანონები არეგულირებენ. ამჟამად არც ერთი ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოს მეურნეობა არ იმართება მხოლოდ ბაზრებისა და თავისუფალი ფასების სისტემათა მეშვეობით. თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში აქტიურ როლს ასრულებენ სახელმწიფო ორგანოები. სამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობა სამეურნეო პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროება მოითხოვს სპეციალურად შემუშავდეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მეთოდები და საშუალებები. ამ ამოცანის შესრულებაში კი დიდია მაკრო-ეკონომიკური თეორიის როლი და მნიშვნელობა. იგი იძლევა სახალხო მეურნეობრივი მოვლენებისა და პროცესების სასურველი გზით წარმართვის მეცნიერულ რეკომენდაციებს.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა ემსახურება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას. მის მიერ გაკეთებულმა

დასკვნებმა და წინადადებებმა სათანადო ასახვა უნდა ჰპოვონ მთავრობის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობაში. ეკონომიკური პოლიტიკა მეტად დინამიურია, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე პროცესებთან, მათ ცვლილებებთან. მიუხედავად ამისა შეიძლება გამოიყოს მისთვის დამახასიათებელი საერთო მიზნები და ორიენტირები. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს საყოველთაოდ აღიარებული შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევაზე:

ეკონომიკური ზრდის მაღალი და მყარი ტემპების მიღწევა, რაც ნიშნავს წარმოებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უფრო მაღალ დონეზე აყვანას.

სრული დასაქმების უზრუნველყოფა, შესაბამისი სამუშაო უნდა მიიღოს ყველამ, ვისაც სურვილი აქვს და უნარი შესწევს იმუშაოს.

საზოგადოებაში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი დონის მიღწევა, გულისხმობს მინიმალური დანახარჯებით წარმოების უფრო მაღალი შედეგების მიღწევას. ამის გარეშე კი შეუძლებელია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

ფასების სტაბილური დონის მიღწევა. სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ქვეყანას აარიდოს ფასების საერთო დონის მკვეთრი ზრდა, ან შემცირება.

ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფა. იგი ნიშნავს როგორც სამეურნეო ერთეულებისა და აქ დასაქმებულ მუშაკთა, ისე კონკრეტულ მომხმარებელთა საქმიანობის თავისუფლებას.

შემოსავლების სამართლიანი განაწილება. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას საზოგადოების ერთი ჯგუფის უკიდურესი სიღატაკე, მაშინ როდესაც მეორე ჯგუფი ფუფუნებაში ცხოვრობს, მისი მიზანი უნდა იყოს ამ სფეროში არსებული მკვეთრი განსხვავების ერთგვარი შერბილება. მან თავის თავზე უნდა აიღოს უღარიბესი, არაქმედითუნარიანი მოსახლეობის შენახვა.

საგარეო-ეკონომიკური (სავაჭრო და საფინანსო) ურთიერ-თობათა გონივრული ბალანსის მიღწევა.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესი მეტად რთულ და ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს წარმოადგენს. ეს პროცესი ფაქტიურად ემთხვევა მაკროეკონომიკის პრაქტიკული ფუნქციის განხორციელების ზემოთ ჩამოყალიბებული ამოცანების შესრულების თანმიმდევრობას.

სახელმწიფოს განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სახელმწიფო ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად განიხილებოდა და დღესაც განიხილება. მიუხედავად სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შესახებ ეკონომიკურ თეორიაში არსებულ აზრთა რადიკალური სხვადასხვაობისა, თანამედროვე სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებაში აქტიურად მონაწილეობს, რაც აუცილებლად განაპირობებს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას.

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირებაში მონაწილეობის ხარისხი განსხვავებულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ეკონომიკაში ყველგან გამოდის როგორც რეგულატორი (ანუ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებელი და განმახორციელებელი), ასევე უშუალოდ ეკონომიკური სუბიექტი.

პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერების საჭიროება წარმოშვა მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დამახასიათებელ გარემოში არსებულმა წინააღმდეგობებმა და პრობლემებმა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მიწოდებული საზოგადოებრივი საქონლის რაოდენობა და ხარისხია. უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობები ნებისმიერ მაკროეკონომიკურ გარემოში არსებობს და მათი ხასიათის ცვლილება დამოკიდებულია რეგულირების იმ ბერკეტების ხასიათსა და ეფექტიანობაზე, რომელთა გამოყენებაც ამ გარემოში ხდება. რეგულირების შედეგად მიღებული ცვლილებების შესაბამისად,

ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოხმარების საქონლის მიწოდების თანაფარდობაც ცვლილებებს განიცდის. სახელმწიფოს მხრიდან ახალ მოთხოვნაზე რეაქცია გამოიხატება იმაში, რომ ის ცვლის საზოგადოებრივი საქონლის მიწოდების მასშტაბს, ფასს, ხარისხს.

პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის დილემად, კორუფციასთან ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შესუსტების, მეორე მხრივ კი, მისი როგორც ეკონომიკური სუბიექტის ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობა წარმოადგენს. ჩვენი აზრით, „ოქროს შუალედი“, რომელიც ამ წინააღმდეგობას შეარბილებს, სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური სუბიექტებისათვის ეკონომიკური სტიმულების შექმნაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებაში უნდა ვეძებოთ. თუმცა ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი სურათიდან, რომელიც პოსტსაბჭოური საქართველოს საზოგადოების თავისებურებებს ასახავს, ნათელი ხდება, რომ ამ „ოქროს შუალედის“ მონახვა საკმაოდ წინააღმდეგობრივი პროცესი იქნება.

პრობლემის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური როლი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად ცვალებადობით ხასიათდება, ანუ პერიოდულად იგი იზრდება, ან მცირდება. ცხადი გახდა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს საბაზრო მეურნეობაში აქვს თავისი საზღვრები, ადგილი, როცა ის იძლევა მაქსიმალურ ეფექტს.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველო ობიექტურად გარდამავალ პერიოდშია, როდესაც ხორციელდება გადასვლა ცენტრალიზებული დირექტიული მბრძანებლური ეკონომიკიდან კონკურენტულ საბაზრო მეურნეობაზე. ასეთი ღრმა გარდაქმნების პერიოდში კი, როგორც წესი, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მაღლდება.

ის, რომ საქართველოში გახანგრძლივდა სრული მაკრო-ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა, გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო მოთხოვნებისადმი ეკონომიკის სტრუქტურული ადაპტაციის ჩამორჩენით. ეკონომიკის

სტაბილურად განვითარებისათვის საჭიროა საწარმოთა და მაკროეკონომიკური რესტრუქტურისა ციები, ანუ მთელი სახალხო მეურნეობის მწარმოებლური ძალების, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკური ზედნაშენის სტრუქტურული სრულყოფა. რესტრუქტურისა ციის ყველაზე უფრო არსებითი ხასიათის ნიშანია სტრუქტურული სრულყოფა, განხორციელების მექანიზმი – ინოვაციების მუდმივად უზრუნველყოფა, ხოლო მიზანი – კონკურენტუნარიანობის, ეფექტიანობის ამაღლება და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების დასაწყისში, არჩევანი შეჩერდა მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე, რამაც გარკვეულ ეტაპზე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიტანა. 1998 წლიდან კი საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება დაიწყო, რაც რეფორმის სქემაში (სტაბილიზაცია, ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია, ინსტიტუციონალიზაცია) მიკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე ორიენტირებული ელემენტების ნაკლებობის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს. თვით პრივატიზაციაც კი, რეფორმებისათვის მიკროეკონომიკური საფუძვლის შექმნის სანაცვლოდ, უპირატესად ინსტიტუციონალური რეფორმის შემადგენელ ნაწილად და ამავდროულად, ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშის შევსების წყაროდ გადაიქცა. ეს ბუნებრივიც იყო, პრივატიზაციის თანადროულად შემზღვეველი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარება კაპიტალური რესურსების არარსებობის და მოსახლეობის მასობრივი გადატაკების ფონზე, სრულიად გამორიცხავდა განსხვავებული შედეგის მიღებას.

გამომდინარე ნაშრომის მიზნებიდან შევეცდებით განვიხილოთ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საფუძვლები, ამდენად აქცენტები გადატანილი იქნება მაკროეკონომიკურ რეგულირებაზე. რამეთუ მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია ის ინსტრუმენტები, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთობების სხვა სუბიექტებს არ გააჩნიათ და როგორც ჩანს, მიუხედავად ეკონომიკურ თეორიაში არსებული

ჯერ კიდევ იშვიათი, მაგრამ თამამი გამონათქვამებისა, რომელიც შეეხება ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის დენაციონალიზაციას, ისინი (ინსტრუმენტები) კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ისევ სახელმწიფოს ექსკლუზიურ მფლობელობაში დარჩებიან.

თანამედროვე ლიბერატურაში ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრულია, როგორც ხელისუფლების მიერ ეკონომიკის სფეროში გატარებულ ღონისძიებათა, ქმედებათა სისტემა და სახელმწიფოს მიზნებიდან, ამოცანებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პროცესებისათვის განსაზღვრული მიმართულებების მიცემა.<sup>1</sup> დასავლურ ლიბერატურაში ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრულია, როგორც ეკონომიკური ქცევების ან მათი შედეგების გაკონტროლება და მათზე ზემოქმედება.<sup>2</sup>

ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს სტრუქტურულ, საინვესტიციო, ფულად – საკრედიტო, სოციალურ, საგარეო – ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ, არც ეს ჩამონათვალია სრულყოფილი და ეკონომიკური პოლიტიკის უამრავი სხვა „შემადგენელი პოლიტიკის“ მოძიება შეიძლება, კერძოდ, ხელისუფლება ახორციელებს სამრეწველო, აგრარულ და ა.შ. ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგრამ ჩვენი კვლევის სფერო გაცილებით უფრო ვიწროა და ეკონომიკური პოლიტიკის მხოლოდ მაკროეკონომიკურ ასპექტებს შეეხება.

სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მაკროეკონომიკური მიზნების სწორად განსაზღვრას და ფორმირებას.

---

<sup>1</sup> Борисов Е., Макроекономика. Москва, ТЕИС, 1999, стр. 856-857 .

<sup>2</sup> Макконнелл К. Р., Брю. С.А., Экономикс: Принципы, проблемы и политика. Т.1, Москва, “Республика” 1999. стр. 5.

ღია ეკონომიკაში უმთავრეს მაკროეკონომიკურ მიზნებად შეგვიძლია დავასახელოთ შიდა და საგარეო წონასწორობათა მიღწევა. შიდა წონასწორობა გულისხმობს რესურსების სრულად გამოყენებასა და შიდა ფასების სტაბილურ დონეს, ხოლო საგარეო წონასწორობა კი მიიღწევა, როცა სახელმწიფოს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი არ არის იმდენად დეფიციტური, რომ იგი აღმოჩნდეს უძლური გადაიხადოს საგარეო ვალები ან ბალანსში არ არის ისეთი გარდამეტი, რომელიც ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააგდებს სხვა სახელმწიფოებს. აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ამოცანა საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ შიდა ბაზარზე არსებული მდგომარეობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდა წონასწორობა მიიღწევა, როცა რესურსები (მათ შორის შრომითი) გამოიყენება სრულად, ხოლო ფასები შიდა ბაზარზე სტაბილურია.

სამუელსონისა და ნორდჰაუსის მიხედვით სამი უმთავრესი მაკროეკონომიკური მიზანი არსებობს. <sup>3</sup> ესაა:

1. პროდუქციის გამოშვების მაღალი დონე და სწრაფი ზრდა;
2. დასაქმების მაღალი დონე, მცირე იძულებით უმუშევრობასთან ერთად;
3. თავისუფალ ბაზრებზე ფასების სტაბილურობა. შესაძლებელია ეს მიზნებიც „გაიშალოს“, რაც პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომის უკეთეს საშუალებას მოგვცემს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მაკროეკონომიკური პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევის სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობა და ამ მიმართულებით ფუნდამენტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო, თავისუფალი ბაზრის პირობებში, სამოქმედო

---

<sup>3</sup> Поль. А. Самуэльсон, Вильям Д. Нордхаус. Экономика М.: БИНОМ, 1999, стр. 424.



ინსტრუმენტების არჩევაში შეზღუდულია და მხოლოდ რამდენიმე ქმედით ინსტრუმენტს ფლობს, რომელთა ოპტიმალურად გამოყენების პირობებშია მხოლოდ შესაძლებელი მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევა.

წინააღმდეგობათა დაძლევის მაკროეკონომიკური საშუალებებიდან ერთ-ერთი მთავარია საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა.

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის და რეგულირების ღონე დიდად არის დამოკიდებული ხელისუფლების უნარზე, თუ როგორ სწორად გაარკვევს, პროგნოზირებას გაუკეთებს და ოპტიმალურად გამოითვლის ქვეყნის აუცილებელ ხარჯებსა და მათ დასაფინანსებლად საჭირო მოცულობის შემოსავლებს.

ნებისმიერ ქვეყანაში ფინანსური სისტემის უმნოშვნელოვანეს სფეროს სახელმწიფო ფინანსები წარმოადგენს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფუნქციების განსახორციელებელი ფულადი რესურსებით.

სახელმწიფო ფინანსების ეკონომიკური არსი – ეს არის ფულადი ურთიერთობანი მთლიანი ეროვნული პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადაანაწილების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს განკარგულებაში ფინანსური რესურსების ფორმირებისა და ამ სახსრების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფუნქციების შესრულებისას გაწეული ხარჯების გამოყენებასთან.

სახელმწიფო ფინანსების ფუნქციონირებისას წარმოიქმნება ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესი: სახელმწიფოს განკარგულებაში ფინანსური რესურსების მობილიზაცია და მისი გამოყენება სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამ პროცესის პირველი აქტი თავის გამონატულებას პოულობს სახელმწიფო შემოსავლებში, ხოლო მეორე აქტი სახელმწიფო ხარჯებში.

ბიუჯეტის შემოსავლები – არის სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ნაწილი, რომელიც აუცილებელია მისი ფუნქციების შესასრულებლად.

ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი მატერიალური წყაროა ეროვნული შემოსავალი. სახელმწიფოს საჭიროებისათვის, როდესაც საკმარისი არ არის ეროვნული შემოსავალი, ქვეყნის ხელისუფლება მიმართავს ეროვნულ სიმდიდრეს. ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას ხელისუფლება სხვადასხვა მეთოდებით ანხორ-ციელებს. ეროვნული შემოსავლის გადანაწილებისა და ბიუჯეტის შემოსავლების შექმნის ძირითად მეთოდებად სახელმწიფო ხელისუფლება იყენებს გადასახადებს, სესხებს და ფულის ემისიას. მათ შორის თანაფარდობა ქვეყნებისა და დროის მიხედვით სხვადასხვაა. ეს თანაფარდობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე, ფინანსების მდგომარეობასა და სახელმწიფოს ფინანსურ პოლიტიკაზე.

იმ ეკონომიკურ ბერკეტებს შორის, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ურთიერთობებზე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გადასახადებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნები ფართოდ იყენებენ საგადასახადო პოლიტიკას, როგორც ბაზრის ნეგატიურ მოვლენებზე ზემოქმედების განმსაზღვრელ ფაქტორს.

საგადასახადო სისტემის ფისკალური ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფო მმართველობის აპარატის ქმედით-უნარიანობაზე, რამდენადაც გადასახადების ამოღება მნიშვნელოვან წილად იძულებაზეა აგებული. გადასახადები ქვეყნის მთელი ხელისუფლების სიცოცხლისა და არსებობის წყაროა. ძლიერი ხელისუფლება და მაღალი გადასახადი იდენტური ცნებებია. სახელმწიფოს გადასახადის აკრეფის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. სახელმწიფოს შემოსავლებში გადასახადების ხვედრითი წონის ზრდა მის ძლიერებაზე მეტყველებს.

შიდა ეროვნული პროდუქტის ნაწილის გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულაცია და მისი გამოყენება

წარმოებს უპირატესად ქვეყნის ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად და რა თქმა უნდა, სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურების შესანახად. თუმცა ქვეყნის მთელი მოსახლეობა სარგებლობს იმ სიკეთით, რომლებიც გადასახადების მეშვეობით მიიღწევა (სოციალური უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფინანსური დახმარება, საქალაქო მეურნეობების, გზების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და მრავალი სხვა).

თანამედროვე სახელმწიფოთა განვითარებაში გადასახადები ორი ფუნქციის სახით გამოდის: ფისკალური და მარეგულირებელი. თითოეულ მათგანში ვლინდება გადასახადების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის შინაგანი იმანენტური ბუნება, თავისებურებანი და ნიშნები.

გადასახადების ფისკალური ფუნქცია ძირითადია და დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსათვის. გადასახადების ამ ფუნქციის მეშვეობით წარმოიშობა სახელმწიფოს ფულადი ფონდები და იქმნება მისი ფუნქციონირებისათვის მატერიალური პირობები. სწორედ გადასახადების ფისკალური ფუნქცია ქმნის ეროვნული შემოსავლის ღირებულების ნაწილის გადანაწილების რეალურ შესაძლებლობებს საზოგადოების ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენის სასარგებლოდ.

მართვის ადმინისტრაციულ-ღირექტიული მეთოდებიდან უპირატესად საბაზრო ურთიერთობებზე და საერთოდ, ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის პირობებში შესამჩნევად იზრდება გადასახადების, როგორც საბაზრო ეკონომიკის რეგულატორის როლი და მნიშვნელობა. გადასახადები წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების მეწარმეთა და საკუთრების სხვადასხვა ფორმაში მყოფი სამეურნეო ერთეულების კომერციულ ინტერესებთან მჭიდრო კავშირს. გადასახადების მეშვეობით განისაზღვრება მეწარმეთა და საკუთრების ყველა ფორმის საწარმოთა შორის ურთიერთობა, იქნება იგი სახელმწიფო

თუ ადგილობრივ ბიუჯეტებთან მიმართებაში. გადასახადების გზით წარმოებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება.

გადასახადები მოწოდებულია ხელი შეუწყოს ახალი ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებას და უზრუნველყოს ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ისეთი ძირითადი პრობლემების გადაწყვეტას მოითხოვს, როგორცაა: სახელმწიფოსა და რეგიონების (ტერიტორიული ერთეულების) ფინანსური სისტემების სტაბილიზაცია. ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების დაჩქარება, სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაცია, მეწარმეობის განვითარების, წარმოების ზრდისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირება.

სწორედ ამიტომ არის მიჩნეული ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შექმნა თანამედროვე საქართველოს საერთო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკასთან ერთად სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედებისათვის ფულად-საკრედიტო სისტემა ეფექტურად გამოიყენება.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფულად-საკრედიტო სისტემის ფორმირების მიღწევა რთული პრობლემაა და მათი სწორად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებას, არამედ რეალურად წარმოაჩენს მათ როლს ეროვნული მეურნეობის მიღწევაში, მოამზადებს ობიექტურ პირობებს. არ შეიძლება გვერდის ავლა იმაზედაც, რომ სწორი ორგანიზაციული ღონისძიებების გარეშე წარმატებები ძნელი მისაღწევი გახდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზანია ეროვნული ეკონომიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა წარმოების საერთო ღონის ამაღლებაში, რომლის საბოლოო მიზანია წარმოების ზრდის ტემპების მიღწევა, სრული დასაქმებისა და ინფლაციის მინიმალური ღონის

შენარჩუნება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იწვევს ფულის მიწოდების გადიდებას დაქვეითების შემთხვევაში დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის დროს პირიქით, ზღუდავს ფულის მიწოდებას დანახარჯების შესაკვეცად.

საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების სახელმწიფო რეგულირება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის საკრედიტო სისტემის ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

ფულად-საკრედიტო სისტემის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებებია: ცენტრალური (ეროვნული) ბანკის პოლიტიკა. საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების მიმართ; საგადასახადო პოლიტიკა, მთავრობის მონაწილეობა შერეული და სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობაში; საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მისი განხორციელება.

თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში ცენტრალური ბანკის პოლიტიკა საბანკო ინსტიტუტების მიმართ ხორციელდება: სააღრიცხვო-საგანაკვეთო პოლიტიკით, სავალდებულო რეზერვების ნორმის რეგულირებით, ოპერაციებით ღია ბაზარზე, კრედიტზე პირდაპირი ზემოქმედებით.

საკრედიტო სისტემის რეგულირებაში აღმასრულებელ ორგანოებთან (ცენტრალური ბანკი, ფინანსთა სამინისტრო და სხვ.) ერთად აქტიურად მონაწილეობს საკანონმდებლო ორგანოები (პარლამენტი, კონგრესები). მათ გააჩნიათ სტრუქტურები (კომიტეტები და ქვეკომიტეტები), რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საკრედიტო სისტემის საქმიანობაზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის პოლიტიკის ორგანული ნაწილია და წარმოადგენს საკრედიტო რესურსების მობილიზაცია-გამოყენების, ნაღდი ფულის მიმოქცევაში გაშვებისა და მისი შეუფერხებელი მიმოქცევის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების მიერ დასახულ და განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემას.

ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება მაშინ არის ოპტიმალური, როცა

ბანკის კონტროლს არის დაქვემდებარებული ეკონომიკური სისტემის მთელი რიგი პარამეტრები – ფულის მასის მახასიათებელი მაჩვენებლების ერთობლიობა; გასაცემი სესხების მთლიანი მოცულობა; წარმოების ნომინალური და რეალური მოცულობების დონეთა ცვლილებების ტენდენცია; დოლარის გასაცვლელი ვალუტის კურსი და სხვ.

ქვეყნის მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტული და შესრულებადი მიზნების მისაღწევად. კონკრეტული მიზნები მიღწეული უნდა იქნეს ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით ღია ბაზარზე, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნებით და საპროცენტო განაკვეთებით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გლობალური ამოცანები მიმართული უნდა იქნეს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და საგადასახდლო ბალანსის მოწესრიგების პროგრამების განსახორციელებლად.

როგორც წესი, ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკასთან შედარებით ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო ცვალებადია. ფისკალური პოლიტიკის გამოყენება ხელისუფლებამ შეიძლება გარკვეული დროით გადადოს, მაშინ, როდესაც ეროვნული ბანკი ყოველდღიურად იღებს გადაწყვეტილებებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის თაობაზე და ამით ზემოქმედებს ფულის მოთხოვნა-მიწოდებასა და საპროცენტო განაკვეთებზე.

„მსოფლიო პრაქტიკისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის შესაბამისად ქვეყნის მთავრობა ყოველთვის იმას ცდილობს, რომ ეროვნული ბანკი პოლიტიკირ დაწოლას განარიდოს, რითაც მას უადვილდება პოლიტიკურად არაპოპულარული ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის ხანგრძლივ პერსპექტივაში“.<sup>4</sup>

---

<sup>4</sup> კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000, გვ. 313.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა თავისი ბუნებით და პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო მოქნილია, ვიდრე ფისკალური პოლიტიკა. როგორც წესი, სახელმწიფო ხარჯების შემცირება ან გადიდება უშუალო ზეგავლენას ახდენს ფინანსური რესურსების განაწილებაზე, ხოლო საგადასახადო ცვლილებები აუცილებლად შეცვლის ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ შედეგებს. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კი პირიქით, მოქმედებს უფრო ეფექტურად, როგორც რეგულირებადი ეკონომიკური თეორიის, ისე მონეტარისტულის შესაბამისად. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეკონომიკის სტაბილიზაციის უფრო ქმედითი პოლიტიკაა, ვიდრე ფისკალური.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიზანმიმართულად გამოიყენება ეროვნული ეკონომიკის წინაშე დასმული ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიც არის: ეკონომიკური ზრდა, ვალუტის სტაბილურობა, სრული დასაქმება, საგადასახდლო ბალანსის შეწონასწორება, ინფლაციის დონის შემცირება და ფასების სტაბილურობა.

ამრიგად, ფულად-საკრედიტო სისტემის სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს რთულ, ამასთან ეფექტიან და საკმაოდ წინააღმდეგობრივ მექანიზმს, რომელზედაც აქტიურად მოქმედებს ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (ეკონომიკური ზრდა, ინფლაციისა და დასაქმების დონეები) ფაქტობრივი მდგომარეობა.

დასახელებული ღონისძიებები, მოქმედებენ რა ერთი და იმავე მიმართულებით, ხელს უწყობენ მიმოქცევაში ფულის მიწოდების საერთო რაოდენობის შეზღუდვას, აღიდეგენ კომერციული ბანკების კრედიტებსა და დეპოზიტებზე სარგებლის ნორმათა სიდიდეს და ამით ამცირებენ საინვესტიციო და ერთობლივ ხარჯებს და, საბოლოო ანგარიშით, იწვევენ ინფლაციური პროცესების შენელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური რეგულირების ფისკალური და ფულად-საკრედიტო ღონისძიებათა იზოლირებულად, ავტონომიურად განხორციელება ყოველთვის როდი იძლევა სათანადო შედეგებს, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის

წინაშე მდგარი ამოცანების ეფექტიანი მიღწევის მიზნით აუცილებელია მათი კომპლექსური, ერთმანეთთან ურთიერთკავშირში გატარება.

სახელმწიფო ზემოთ აღნიშნული ინსტრუმენტების მეშვეობით აქტიურად ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე და ერთობლივ მიწოდებაზე და შესაბამისად რადიკალურად ზემოქმედებს საკუთარი მიზნების მიღწევასა და ფუნქციების განხორციელებაზე.

ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და რეფორმირების ახალი სტრატეგია, მისი ძირითადი მიმართულებანი და განვითარების პერსპექტივები. ასეთი სტრატეგია მოწოდებულია, უზრუნველყოს არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სწრაფად დაძლევა. აუცილებელი გარდაქმნებისა და რეფორმების დროული და სისტემური განხორციელებით მისი ძირითადი მიმართულებებია: სახელმწიფოს როლის ამაღლება განვითარების აქტიურ პოლიტიკაზე გადასას-ვლელად, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პრიორიტეტული ამოცანის გადასაწყვეტად: მდგრად პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლა; სოციალური პასუხისმგებლობისა და ფინანსური დისციპლინის თავსებადობის მიღწევა; ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება.

ჩვენი აზრით, საქართველოს აქვს ყველა უმნიშვნელოვანესი რესურსი იმისთვის, რომ დროულად მოახდინოს აუცილებელი გარდაქმნები, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული რეფორმები, დაძლიოს არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამისთვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ამაღლდეს სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა ბიზნესის სტიმულირებისათვის.

უსაფუძვლო იქნებოდა მტკიცება, თითქოსდა არა გვაქვს რესურსები წარმოების განვითარებისათვის. განვითარების მთავარი რესურსია ხალხი, ინტელექტი, ხოლო თუ დღეს საქართველო განვითარებული ქვეყნების რიგში არ დგას, ეს ეკონომიკური პოლიტიკის შიდა და გარე დესტრუქციული ძალების მოქმედების, სათანადო ეკონომიკური პირობების უქონლობის შედეგია და



არა იმის, რომ მეწარმეებსა და ხალხს არ სურთ, ან არ შეუძლიათ მუშაობა. „ეკონომიკური კლიმატი“, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი პოლიტიკით.

განვითარების ახალი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების განხორციელება, უახლოეს 10-15 წელიწადში საქართველოს გადასვლა განვითარებული ქვეყნების ჯგუფში რეალურად შესაძლებელია. მისი მიღწევა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ენერჯის, მოსახლეობის ფართო მასების პატრიოტიზმისა და ინტელექტის სრული გამოყენებით მოხდება.

### 3.2. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების გზები სოციალური პრობლემის გადაწყვეტაში

სოციალური პოლიტიკა ადამიანთა ცხოვრების პირობების შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის მიმართულ ღონისძიებათა სისტემაა. იგი შეიძლება განხორციელდეს ფირმის, რეგიონის, საერთო სახელმწიფოებრივ და სახელმწიფოთაშორის დონეზე. თითოეული მოიცავს თავის შესაბამის მასშტაბებს. მაგალითად, სახელმწიფო-თაშორისი სოციალური პოლიტიკის მიზანია გლობალური ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტა, ქვეყნების ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და ა. შ.

როგორც აღნიშნული იყო, სოციალური პოლიტიკის გატარება სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. მან სისტემატურად უნდა იზრუნოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილის სოციალურ დაცვაზე, რომელიც სხვადასხვა მიზეზით ჩართული არაა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში და სახელმწიფოს დახმარების გარეშე არსებობა არ შეუძლია. ესენი არიან: პენსიონერები, ომის ინვალიდები, დაბადებიდან ხეიბრები,

მრავალშვილიანი ოჯახები, სულით ავაღმყოფები, მარტოხელა მოხუცები, უპატრონი ბავშვები და სხვა.

სხვა თანაბარ პირობებში, იმ ქვეყანაშია მოსახლეობის ცხოვრების დონე უფრო მაღალი, რომელშიც საზოგადოების ეს სოციალურად დაუცველი ნაწილი სახელმწიფოს ზრუნვის ერთ-ერთ მთავარ საგანს შეადგენს და საკმარისი ოდენობით გამოიყოფა სახსრები მათი თუნდაც საარსებო მინიმუმის დონეზე უზრუნ-ველსაყოფად. მხედველობაში გვყავს, ობიექტური მიზეზების შედეგად, ხელმოკლეები და არა უქნარები და ზარმაცები.

საბაზრო ეკონომიკა, კანონიერების სრული დაცვით ფუნქციონირების პირობებშიც წარმოშობს ქონებრივ უთანასწორობას და ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში, როცა ძველი სტრუქტურები ელვისებურად იმსხვრევა, ახლები კი ვერ ასწრებს ჩამოყალიბებას. ამან სოციალური კონტრასტები ძლიერ გააღრმავა.

საქართველოში მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, სოციალური დაცვის არსებული სისტემა არა ეფექტიანია და ნაკლებად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. მართალია, საბაზრო ეკონომიკა ძირითადად სოციალურ თვითუზრუნველყოფაზე ყოფნას გულისხმობს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს საზოგადოების უმწეო ნაწილის ბედის ანაბარად მიტოვებას.

რაც უფრო სწრაფად ამოქმედდება შემოსავლის გადანაწილების გონივრულად შემუშავებული მექანიზმი და მოქნილი, მიზანსწრაფული გახდება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა, მით უფრო სწრაფად გათანაბრდება საზოგადოების წევრთა შემოსავალი და დაჩქარდება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პროცესი. ცხოვრების პირობების გაუმჯობესება საგრძნობლად გაზრდის შრომისუნარიანი ნაწილის აქტიურობას ქვეყნის მეურნეობრივ საქმიანობაში და ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღმავლობას, რომელიც, თავის მხრივ, შექმნის ძლიერ

ეკონომიკურ ბაზას და ახალ იმპულსს მისცემს კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მიმდინარე გარდაქმნების სოციალური შინაარსის განსაზღვრას და მის შეფასებას. თავისთავად, ეკონომიკა, მისი განვითარება თვითმიზანი არ არის. იგი არ შეიძლება ბაზარზე გადასვლით, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებით შემოიფარგლოს. ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ იქნება შედეგიანი თუ ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს მივალწევთ. ეკონომიკური რეფორმების შეფასებისათვის მთავარი კრიტერიუმია მოსახლეობის კეთილდღეობის, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მისი სოციალური ორიენტაციის შინაარსი.

ამიტომ, სოციალური ფაქტორების თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკის (ასევე სახელმწიფოს) წინაშე, ობიექტურად, შემდეგი ძირითადი პრობლემები იკვეთება:

- როგორ შეიძლება მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

- როგორ მივაღწიოთ დოვლათის სოციალურად სამართლიან განაწილებას;

- რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ კეთილდღეობის ამაღლება ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების კვალობაზე ხორციელდებოდეს.

ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის თითოეული ამ ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოსაგან სპეციალურ ძალისხმევას და საშუალებებს მოითხოვს. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მთავარია, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის გადიდება და მისი სტრუქტურის სრულყოფა მოთხოვნილების ცვლილების შესაბამისად. დოვლათის სამართლიანი განაწილება გულისხმობს: საკუთრების განაწილებას; საარსებო მინიმუმით განპირობებული შეზღუდვების რეალიზაციას; საზოგადოების უმუშევარი წევრებისათვის მოხმარების უზრუნველყოფის აუცილებლობას; დასაქმების უფლებას და ა. შ. კიდევ უფრო რთულია მესამე პრობლემის გადაწყვეტა,

რადგან წარმოების შესაძლებლობები ყოველ მოცემულ მომენტში შეზღუდულია. სწორედ ამ შესაძლებლობების გამოყენების ხარისხით განისაზღვრება საზოგადოების სოციალური ორიენტაციის რეალური შესაძლებლობები.

სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი ნიშნებია სოციალური მდგრადობა და მოქალაქეების კეთილდღეობის სტაბილური ზრდა. სოციალური მდგრადობა გულისხმობს მოქალაქეების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის სტაბილურობას, საკუთარი კვლავწარმოების მუდმივად უზრუნველყოფის უნარს. სოციალური მდგრადობის გამოვლენის ფორმები სხვადასხვანაირია და შემდეგი მიმართულებების საშუალებით მიიღწევა: ძირითად პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაციის თავიდან აცილება; ახალი თაობებისათვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნა; საზოგადოების წევრებისათვის სოციალური დაცვისა და დახმარების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება; მოქალაქეთა სოციალურ მდგომარეობაში უკიდურესად ექსტრემალური დარღვევების თავიდან აცილება.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, რომელიც თავისთავად, არასტაბილურია, იზრდება სოციალური არამდგრადობის საფრთხე და ძლიერდება ეკონომიკური სისტემის ისეთი მოდელის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ და სტაბილურ მდგომარეობას, მათი კეთილდღეობის ამაღლებას ეკონომიკის განვითარების კვალობაზე.

ასეთ პირობებში მალღდება სახელმწიფოსა და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შედეგებისათვის. იგი, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი მოთხოვნების შესრულებას მოითხოვს: პირველი, მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. მეორე, შემოსავლებისა და მოხმარების ეფექტიან დიფერენციაციას მოქალაქეთა საქმიანობისა და მეწარმეობითი აქტიურობის შედეგების შესაბამისად,

სპეკულაციური და არაკანონიერი შემოსავლების დაუშვებლობას. მესამე, სოციალურ მიზნებზე სახელმწიფოს, მოქალაქეებისა და მეწარმეების მიერ გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას. აქედან ჩანს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება საქართველოში ხანგრძლივი პროცესია, რადგანაც იგი დაკავშირებულია არა მარტო ეკონომიკური მდგომარეობის მასშტაბების განუხრელ ზრდასთან, არამედ სახელმწიფოს, მოქალაქეების, მეწარმეების საბაზრო ქცევის დამკვიდრებასთანაც.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირება ქმნის სოციალური მდგრადობის ეკონომიკის იმანენტურ ელემენტად ჩამოყალიბებისა და შემდეგ პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლის წინამძღვრებს. ასეთი წინამძღვრები მოიცავს: ცალკეული მოქალაქეებისა და მათი ოჯახების შემოსავლების გადიდების შესაძლებლობას, მათი სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; მოთხოვნილების დაკმაყოფილების ახალი წყაროების წარმოშობას კერძო მეწარმეობის განვითარების გზით; ეკონომიკის სტრუქტურულ სრულყოფას იმ პროდუქციისა და მომსახურების ხვედრითი წონის გადიდების მიმართულებით, რომლებიც აუცილებელია სოციალური მოთხოვნი-ლებების დასაკმაყოფილებლად; პირადი დაინტერესების გადიდებას საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის; სოციალური მომსახურების ალტერნატიული ფორმების გაფართოებას ფასიანი და უფასო სახით.

ცხადია, ეს პროცესი ძალიან რთული და წინააღმდეგობრივია. მისი წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია მოქალაქეების, მეწარმეებისა და სახელმწიფოს ერთობლივ ძალისხმევაზე, მაგრამ მაინც პრიორიტეტული პასუხისმგებლობა ეკუთვნის სახელმწიფოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თანაბარი სასტარტო შესაძლებლობები ქვეყნის ახალი თაობებისათვის და კონკრეტული პირობები ეფექტიანი მეურნეობრიობისათვის.

სოციალური სფეროს გარდაქმნა ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცესია. სოციალური სფეროს გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი მოიცავს: სოციალური სფეროს

რეფორმირებით, სოციალური დაცვის კონკრეტული ფორმებისა და მეთოდების რეალიზაციას, სოციალური სფეროს განვითარების ფინანსურ უზრუნველყოფას. აღნიშნულ პროცესს სხვა და სხვა ობიექტური მიზეზი აფერხებს. საქმე ისაა, რომ სოციალური ორიენტაციის ახალი ტიპის ჩამოყალიბება ხორციელდება ადრინდელი სოცია-ლისტური სისტემისათვის დამახასიათებელი სახელმწიფოებრივი გარანტიების მოცულობის მკვეთრი შემცირების პირობებში და ბუნებრივია, რომ ქვეყანა და მოქალაქეთა დიდი ნაწილი, ფაქტობრივად მოუმზადებელი შეხვდა ტოტალიტარული სახელმწიფოს მსხვერველს.

სხვა მიზეზია ის, რომ საბაზრო მექანიზმები ჯერ კიდევ ვერ მოქმედებენ სრულად ვერც სოციალურ და ვერც წარმოებრივ სფეროში. ამასთანავე, ეკონომიკის ხანგრძლივი კრიზისითაა გამოწვეული შიდა პროდუქტების უმნიშვნელო ზრდა, მწირი ფინანსური რესურსების გამო მცირდება სოციალური სფეროს გარდაქმნის ყველაზე უფრო ეფექტიანი ვარიანტების შერჩევა.

სოციალური სფეროს გარდაქმნა, მიუხედავად ამისა, განვითარების ადეკვატური სოციალური სფეროს ჩამოყალიბება სოციალური მდგრადობისა და პასუხისმგებლობის ამოსავალ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს. საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემა განსხვავდება ადრინდელი სოციალური უზრუნველყოფის სისტემისაგან. მისი კონკრეტული მიმართულებებიდან მთავარია შემდეგი: სოციალური მხარდაჭერი თანამედროვე სისტემის შექმნა, სოციალური დახმარების გაწევა, ქვეყნის მოქალაქეებისათვის მინიმალური საზოგადოებრივი გარანტიების უზრუნველყოფა, საბაზრო საფუძველზე სოციალური სექტორის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის ახალი ფინანსური მექანიზმის ფორმირება, სოციალური უზრუნველყოფის ახალი პრინციპებისა და მეთოდების, უწინარეს ყოვლისა, დაზღვევის გამოყენება.

სოციალური მხარდაჭერა გულისხმობს მოქალაქეებისათვის დახმარების პროგრამებს, იმ შემთხვევაში, თუკი მათი შემოსავალი სიღარიბის ზღვარზე უფრო დაბალია და საარსებო მინიმუმს

არ აღემატება. სოციალური დახმარება – სოციალური დაცვის საქმიანობაა ცალკეული პირებისათვის. თუ მათ მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვთ, მატერიალურად ძალიან უჭირთ, მაგრამ არ გააჩნიათ სოციალური დაზღვევის მიღების უფლება, როგორც წესი, ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. მინიმალური სოციალური სტანდარტების უზრუნველყოფა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის ისეთი პრინციპებისა და მეთოდების შექმნას, რომლებიც ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის განსაზღვრული სოციალური მომსახურებისა და სოციალური დოვლათის მინიმალური მოცულობის მიღების საშუალებას იძლევა.

სოციალური სექტორის განვითარება მოიცავს სოციალური მოთხოვნილების უზრუნველყოფი დარგებისა და ინსტიტუტების გარდაქმნას. მათ შორისაა, უწინარეს ყოვლისა, განათლება, სამედიცინო, სოციალური მომსახურება. ახალი სოციალური მექანიზმის ფორმირება გულისხმობს (ფინანსური რესურსების ეფექტიანობის ამაღლებისა და გამოყენების წყაროების გაფართოების მიზნით) კონკრეტული ადამიანებისათვის სოციალური დახმარების გაძლიერებას, სოციალური დაზღვევის სისტემის სრულყოფას, საპენსიო რეფორმას. სოციალური დაზღვევა საშუალებას იძლევა დავაზღვიოთ ის მრავალრიცხოვანი რისკები, რომლებიც დამახა-სიათებელია საბაზრო მეურნეობისათვის.

„საქართველოში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა მათი შედეგიანობა არასაკმარისია, რადგანაც ქვეყანამ სხვადასხვა ინსტიტუციური თუ სხვა მიზეზის გამო, მთლიანი შიდა პროდუქტისა და წარმოების ეფექტიანობის მასშტაბური გადიდება ვერ მოახერხა. მაგრამ, როგორც წესი, სახელმწიფო ვალდებულია, ისეთნაირად გარდაქმნას სოციალური დაცვის სისტემა, რომ არ დაუშვას სიღარიბის გაძლიერება. ამისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური დაცვის პრინციპებისა და დაფინანსების ეფექტიან გამოყენებას. პრინციპებიდან მთავარია:

დაზღვევის, ინდივიდუალური სოციალური დაცვისა და თანასწორობის პრინციპები“<sup>5</sup>

ამჟამად, სოციალური სფეროს ფინანსური წყაროები საბიუჯეტო და არა საბიუჯეტო ნაკადებით ფორმირდება – საბიუჯეტო წყაროები მოიცავს ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, ხოლო არა საბიუჯეტო – სპეციალიზებულ ფონდებს, საწარმოებისა და მოსახლეობის სახსრების მოზიდვით უშუალოდ ან ადგილობრივი ობლიგაციების, ლატარიის გამოშვებით ან შემოწირულობის სახით.

მიუხედავად სოციალური სფეროს პრიორიტეტულობისა, ბოლო წლების განმავლობაში, პრაქტიკულად, საპირისპირო პროცესებს ჰქონდა ადგილი და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში სოციალური სფეროს ხვედრითი წილი არ იზრდება.

გარდამავალ პერიოდში სოციალური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა საქართველოში სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლითა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მინიმალური ამაღლებით გამოიხატება. ამ ამოცანის გადაწყვეტა გართულდა ღრმა და ხანგრძლივი ტრანსფორმაციული კრიზისით. განსაკუთრებით გამწვავდა მინიმალური შემოსავლების უზრუნველყოფის, შრომის ბაზრის ჩამოყალიბების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ურთიერთობის ფორმირებისას უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს არსებული შრომითი რესურსების რაციონალური და ეფექტური დასაქმების უზრუნველყოფა. უმუშევრობის მასშტაბის მინიმუმამდე შემცირება და მისი მავნე სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ლიკვიდაცია.

შრომითი რესურსების რიცხოვნობა, მისი დინამიკა დამოკიდებულია საერთოდ მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებაზე. აქედან გამომდინარე შრომითი რესურსების

---

<sup>5</sup> ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ. 292.



ფორმირების საკითხების კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი დემოგრაფიული ბაზის შესწავლას. კერძოდ, შობადობის, სიკვდილიანობის, ბუნებრივი მატების, მექანიკური მოძრაობის ტენდენციების განხილვას, რადგანაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმის სტაბილურობისას, შრომითი რესურსებისა და მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის ცვლილების კანონზომიერებები თითქმის ემთხვევიან ერთმანეთს.

შრომითი რესურსების დასაქმება ერთ-ერთ მრავალწახნაგოვან პრობლემას წარმოადგენს. რომელიც ჩვენი ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რაც იმაში გამოიხატება, რომ სულ უფრო მატულობს იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მოკლებულნი არიან დასაქმების შესაძლებლობებს, რომლის კვალობაზე იზრდება უმუშევრობის მასშტაბები.

შრომითი რესურსები, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები ბევრად განაპირობებენ ქვეყნის თუ მისი ცალკეული რეგიონის საწარმოო პოტენციალის, მთლიანად ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს. საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისას მეურნეობრიობის პროგრესული ფორმების გამოყენება, შრომისა და წარმოების პროცესების სრულყოფა, არარენტაბელური საწარმოებისა და ნაკლებად ეფექტიანი სამუშაო ადგილების ლიკვიდაცია, პრივატიზაციის პროცესი, რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის პროფილის შეცვლა. იწვევს სამუშაო ძალის გამონ-თავისუფლებას, რაც სულ უფრო გადიდებულ მასშტაბებს ღებულობს წარმოების მკვეთრი შემცირების პირობებში. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს დასაქმების დონეზე, ამწვავებს შრომითი რესურსების გამოყენების სოციალურ ასპექტებს. კერძოდ, იზრდება უმუშევართა რიცხვი, ეცემა მოსახლეობის მატერიალური უზრუნ-ველყოფისა და საერთოდ ცხოვრების დონე, რაც სხვა მრავალ ნეგატიურ მოვლენებთან ერთად იწვევს დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობაში არასასურველ ტენდენციებს, რომელიც მომავალში

აუცილებლად კპოვებს ასახვას შრომითი რესურსების ფორმირებაში.

შრომითი რესურსების დასაქმების რაციონალური მექანიზმის შემუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, არამედ ჩამოყალიბებული საბაზრო ურთიერთობების პირობებშიც.

გეგმიანი ეკონომიკის პირობებში პიროვნება ვალდებული იყო ემუშავა. საბაზრო ეკონომიკის დროს გამორიცხულია საკუთრების მრავალფორმიანობის პირობებში პიროვნების ადმინისტრაციული წესით დასაქმება. შრომის ბაზარი გამორიცხავს სრულ და საყოველთაო დასაქმებას, საყოველთაო დასაქმების შინაარსმა უნდა გამოხატოს სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის პროპორციულობა, რაც დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის შინაარსს უნდა შეადგენდეს.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ უმუშევრობა ყოველთვის არასასურველ მოვლენას წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნისათვის, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით. კერძოდ, მისი მაღალი დონით არსებობა დიდ ეკონომიკურ დანაკარგებს იწვევს, რაც დაბლა სცემს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ვერ უზრუნველყოფს სათანადოდ მათ სოციალურ დაცვას. გარდა ამისა, იმათ ვინც დიდი ხნის განმავლობაში სამუშაოს გარეშე იმყოფება უქვეითდებამთ პროფესიონალური ოსტატობის დონე, იზრდება ფსიქოლოგიური დაძაბულობა, მომავლის წინაშე გაურკვეველობა და შიში, რაც საერთოდ არასტაბილურ სიტუაციას ქმნის საზოგადოებაში. სულიერად ამახინჯებს ადამიანს და უბიძგებს მათ კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაკენ. აქედან გამომდინარე, უმუშევრობისა და შრომითი რესურსების დასაქმების პრობლემის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

უმუშევრობის პრობლემა სახელმწიფოსაგან ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს. სახელმწიფომ ეფექტიანად უნდა იღვაწოს ორი ძირითადი მიმართულებით: უმუშევრობის დონისა და

ხანგრძლივობის რეგული-რებისა და უმუშევრობისაგან დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის.

პირველი მიმართულებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ამოცანაა რეალური უმუშევრობა გადააქციოს ბუნებრივ უმუშევრობად, როგორც ღონის, ისე ხანგრძლივობის მიხედვით. ამისათვის დასაშვებია რეგულირების ყველა იმ ხერხის და საშუალებების გამოყენება, რომლებიც დადებითად მოქმედებენ რა უმუშევრობის შემცირებაზე, იმავდროულად ნეიტრალური არიან ინფლაციისადმი და იწვევენ მცირე ინფლაციურ შედეგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკა სტაგფლაციის მანკიერ წრეში აღმოჩნდება, სახელმწიფომ უნდა სრულყოს სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის სისტემა, რითაც შეამცირებს სამუშაოს ძიების დროს. სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს პროფესიული სწავლებისა და გადამზადების პასუხისმგებლობა, ხელს უნდა უწყობდეს შრომის ბირჟის გამართულ მუშაობას, დააფინანსოს დასაქმების პრობლემის კვლევა და ა.შ. ასევე შეიძლება შეფასდეს ისეთი ახალთ ტექნოლოგიების სახელმწიფოებრივი სტიმუ-ლირება, რომელიც ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს, ან მცირე ბიზნესის შეღავათიანი დაბეგვრა, რომელიც შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმების ანგარიშგასაწევ წყაროს წარმოადგენს. დადებითი შედეგების მომტანი იქნება, ჩვენი აზრით, სხვადასხვა სახის რეგიონული, ახალგა-ზრდობის შრომითი მოწყობის და ა.შ. მიზნობრივი პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია. ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება ინფლაციის თვალსაზრისით სრულიად უვნებელია, რასაც ვერ ვიტყვით სახელმწიფო ბიუჯეტიდან სისტემატური ასიგნებებით სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე და ა. შ.

სახელმწიფომ სოციალური დაცვის ფორმებისა და ოდენობის, აგრეთვე მისი გადანაწილების საშუალებათა განსაზღვრისას დიდი წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს. სოციალური პოლიტიკა რეალურ ეფექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა, როცა იგი დამყარებულია ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებზე,

გამორიცხავს ინფლაციის დაჩქარებას და ინსტიტუციური უმუშევრობის ამაღლებას. როგორც არ უნდა შეიცვალოს გარემოება, ხელფასმა უნდა შეინარჩუნოს შრომის წამყვანი სტიმულის როლი.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და სამუშაო ძალის რაოდენობრივ ზრდას თან სდევს მნიშვნელოვანი ცვლილებები სპეციალისტებისა და მუშა კადრების თვისობრივ მახასიათებლებში. ასეთ პირობებში ერთ-ერთ ძირითად საკითხად ჩვენ მივიჩნევთ კადრების პრობლემას. კვალიფიკაციური მუშახელისა და სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების სისტემა ყოველთვის ჩამორჩება ეკონომიკის მოთხოვნილებების ზრდას. ამიტომ ამ სფეროში საჭირო თანაფარდობის დამყარება სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების საჭირო პროპორციების მიღწევა გაძნელებულია იმიტაც, რომ მასზე არსებით გავლენას ახდენს აგრეთვე რეგიონული განვითარების თავისებურებები. სწორედ მოცემული საკითხების სირთულე, მათი კომპლექსური ხასიათი იწვევენ შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც არ ზღუდავს პიროვნების ეკონომიკურ თავისუფლებას და არ ეწინააღმდეგება პროგრესულ სტრუქტურულ ცვლილებებს. ამას უნდა ემსახურებოდეს კადრების მომზადებისა და გადამზადების ისეთი მოქნილი სისტემები, რომელთაც უნარი ექნებათ სწრაფად შეეგუონ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტრუქტურულ ცვლილებებს.

სახელმწიფომ და ადგილობრივმა ხელისუფლებების ორგანოებმა აქტიური პოლიტიკა უნდა გაატარონ სრული დასაქმებისა და უმუშევრობის ბუნებრივ ღონემდე დაყვანის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით მიგვაჩნია, რომ სამუშაო ძალის დასაქირავებლად მეწარმეებისათვის სახელმწიფო დოტაციების გაცემა გაიზარდოს, უნდა გაიზარდოს პრემიები და სხვა დახმარებები, ახალი

სამუშაო ადგილების შექმნის შემთხვევაში ხელი უნდა შეეწყოს შეზღუდული შრომისუნარიანი პირებისათვის სპეციალური სამუშაო ადგილის შექმნას.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების და ფუნქციონირების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მიზნებისათვის პრიორიტეტის მინიჭება. ამ მიზნით საჭიროა შექმნილებულ იქნას ისეთი მიდგომა აღნიშნული პრობლემებისადმი, რომელიც ოპტიმალურად შეუთანხმდება ერთმანეთს ცალკეული ადამიანისა და წარმოების ინტერესებს. იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ შრომითი რესურსები მართალია საწარმოო რესურსების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს, მაგრამ ისინი გარდა საწარმოო ფუნქციისა, საზოგადოებაში სხვა ფუნქციის მატარებლებადაც გვევლინებიან, რომელთა სრულყოფილად შესრულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელსაყრელი სოციალური პირობების არსებობაზე.

სოციალური დახმარება უნდა განხორციელდეს უბრალო ქველმოქმედებიდან კერძო სოციალურ დაზღვევამდე და დახმარებამდე. რასაც საწარმოები გადაუხდიან იმ ყოფილ მუშაკებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ, ან სამუშაოზე ავად გახდნენ, დაშავდნენ.

მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის, გარდა სახელმწიფოს პირდაპირი ხარჯებისა, აუცილებელია გამოინახოს სხვა სოციალური კომპენსაციები, რომლებიც შეამსუბუქებდა ნაკლებად უზრუნველყოფილ მოქალაქეთა ცხოვრების პირობებს.

ქმედითი სოციალური პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის არსებობა. სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებელი. სიცოცხლის ხარისხის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მაჩვენებლად მიჩნეულია ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი, რომელიც იანგარიშება სამი მაჩვენებლის საფუძველზე: ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლების დონე და ცხოვრების

დონე, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას გამოხატავს. გამოიყენება სხვა მაჩვენებლებიც: <sup>6</sup>

- ცხოვრების დონის მაჩვენებლები: შემოსავლების დიფერენციაციის კოეფიციენტი, მოსახლეობის სიღარიბის და სიმდიდრის ზღვარი, მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხი, შემოსავლებისა და გასავლების სტრუქტურა და ა. შ.;

- სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები: სიცოცხლის ხანგრძლივობა, შობადობის, სიკვდილიანობის, ავადმყოფობის დინამიკა;

- მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები: დასაქმებისა და უმუშევრობის დონე, დასაქმების სტრუქტურა, თვითდასაქმება, დამნაშავეობის დინამიკა, კორუფცია და ა.შ.;

- სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლები: სოციალური ხარჯების დინამიკა და წილი ბიუჯეტში, ბიუჯეტური უზრუნველყოფის დონე რეგიონში, არასაბიუჯეტო სოციალური ფონდები, ფასიანი, შეღავადიანი და უფასო მომსახურების თანაფარდობა და ა.შ.;

- ეკოლოგიაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

ამ მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დღემდე გატარებულ რეფორმებს არ ახლდა მკაფიოდ გამოხატული სოციალური პოლიტიკა და სახელმწიფომ სათანადოდ ვერ შეძლო უმნიშვნელოვანესი სოციალური პროცესების კონტროლი. შედეგად, ჩამოყალიბდა უმძიმესი კრიზისი, რეფორმების სოციალური ფასი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის და ქვეყნისათვისაც უკიდურესად მაღალი აღმოჩნდა.

---

<sup>6</sup> ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, საქართველოს ეკონომიკა, XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001, გვ.375.

და ბოლოს, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა დამოკიდებულია არა მარტო სწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს პოლიტიკაზე სოციალურ სფეროში ე.ი. სოციალურ პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ხარისხი არსებითად დაკავშირებულია მატერიალურ დოვლათთან, იგი მარტო ამ დოვლათით არ განისაზღვრება. მისი კრიტერიუმია ცხოვრებით კმაყოფილება, რომელიც მატერიალურთან ერთად და შეიძლება მასზე მეტადაც, გულისხმობს სულიერ, ინტელექტუალურ კმაყოფილებას, ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, ამისათვის სათანადო პირობების შექმნას და ამ შესაძლებლობების რეალიზაციას.

## დ ა ს კ ვ ნ ა

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების სრულყოფის გზების კვლევის საფუძველზე დისერტაციაში გაკეთებულია სათანადო დასკვნები, კერძოდ:

1. XX-ს 80-90-იან წლებში აღინიშნება თავისუფალ საბაზრო სისტემაზე გადასვლის პროცესი, რომელიც საბაზრო-კონკურენტული მექანიზმის გაძლიერებისაკენ არის მიმართული. მაგრამ ეს არ ნიშნავს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულ უგულებელყოფას. ხდება სახელმწიფოს შეგუება საბაზრო მექანიზმთან, ფორმების, მეთოდების შეცვლა, ეკონომიკაზე მათი მოქმედების არჩევანის ოპტიმიზაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ 80-იანი წლებისათვის დისერტაციაში განხილული კონცეფციებისადმი განვითარებული ქვეყნების დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად შეიცვალა და ჩამოყალიბდა მიდგომები, რომლებიც ძირითადად გულისხმობდა კეთილდღეობის სახელმწიფოდან კეთილდღეობის საზოგადოებაზე გადასვლას, რაშიც იგულისხმებოდა საზოგადოებრივი და კერძო სექტორის დახმარების ახალი ფორმების შერჩევა უმთავრესად სამოქალაქო საბაზრო ეკონომიკის სუბიექტთა აქტიური ჩარევით ეკონომიკური ურთიერთობების პროცესში;

2. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს თავისი სახელისუფლებო ფუნქციების შესრულებაზე, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ქცევის წესების შემუშავებითა და შესრულებით, ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფით. იმავდროულად, აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მრავალფეროვანი ინსტრუმენტარიუმის ეფექტიანი გამოყენება, მათ შორის ინდიკატური დაგეგმვის, მიზნობრივი პროგრამების, სახელმწიფო დაკვეთების, საგადასახადო, ფინანსური, ფულად-საკრედიტო, სოციალური, სტრუქტურული, ინვესტიციური პოლიტიკის მეშვეობით. რაც მთავარია, კორუფციასთან, კრიმინალურ



სტრუქტურებთან აქტიური ბრძოლითა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევათ, სახელმწიფომ უნდა შეძლოს ქვეყანაში კონკურენტული ატმოსფეროს ჩამოყალიბება. არსებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური ფუნქციების გაძლიერებას მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად;

3. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ეკონომიკის არაეფექტიანობამ და საბოლოო ანგარიშით მისმა კრახმა დღის წესრიგში ობიექტურად დააყენა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა. აღნიშნული სისტემის მსხვერველსა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების წანამძღვრების შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას;

4. გარდამავალი ეკონომიკის შინაარსში მთავარია არა ეკონომიკური პოლიტიკისა და მეურნეობრიობის მეთოდების რეფორმირება, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაცია. იცვლება ეკონომიკის ყველა ელემენტი: რესურსების განაწილების წესი, საკუთრებითი ურთიერთობები, კვლავწარმოების ტიპი, მოტივაცია, ეკონომიკური განვითარების მიზნები და საშუალებები, ინსტიტუტები და სამართალი. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად ამ დროს განვითარების არა ეკონომიკური, არამედ პირველ რიგში, პოლიტიკური ფაქტორები გვევლინება, ხოლო ეკონომიკური ფაქტორები ტრანსფორმაციის შესაძლო საზღვრებს, ჩარჩოებს განსაზღვრავს;

5. ეკონომიკური პოლიტიკა გარკვეული ზომის დამოუკიდებლობითა და ავტონომიურობით ხასიათდება ეკონომიკურ სისტემასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე იგი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე. ეს ზემოქმედება განსაკუთრებით ძლიერია გარდამავალ პერიოდში,

როდესაც მიმდინარეობს ერთი ტიპის ეკონომიკის მეორეთი შეცვლა.

ეს გარემოება კი დიდ აქტუალობას ანიჭებს ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ანალიზს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში.

6. პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პერიოდში წარმოშობილი საბაზრო ურშიერშობების ჩავარდნის კორექციისათვის საჭიროა ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა. საბაზრო ჩავარდნათა კორექცია კი, ეკონომიკური სისტემის რეკესიული, ან რეკესიისაკენ მიდრეკილი დონის გათვალისწინებით, ერთი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: ეკონომიკის, ანუ წარმოების სტიმულირება;

7. პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერების საჭიროება წარმოშვა მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გარემოში არსებულმა წინააღმდეგობებმა და პრობლემებმა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მიწოდებული საზოგადოებრივი საქონლის რაოდენობა და ხარისხია. უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობები ნებისმიერ მაკროეკონომიკურ გარემოში არსებობს და მათი ხასიათის ცვლილება დამოკიდებულია რეგულირების იმ ბერკეტების ხასიათსა და ეფექტიანობაზე, რომელთა გამოყენებაც ამ გარემოში ხდება;

8. თავისუფალი ბაზრის პირობებში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას სახელმწიფო, სამოქმედო ინსტრუმენტების არჩევაში შეზღუდულია და მხოლოდ რამდენიმე ქმედით ინსტრუმენტს ფლობს, რომელთა ოპტიმალურად გამოყენების პირობებშია მხოლოდ შესაძლებელი მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევა. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების რეგულირებისათვის უშუალოდ სახელმწიფოს გარდა მათზე პირდაპირი ზემოქმედების (ადმინისტრირების) ორი ძირითადი ინსტრუმენტი არსებობს:

ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, რომლებიც მაკროეკონომიკურ პოლიტიკის საფუძველს ქმნიან;

ამდენად სახელმწიფო ზემოთ აღნიშნული ინსტრუმენტების მეშვეობით აქტიურად ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე და ერთობლივ მიწოდებაზე და შესაბამისად რადიკალურად ზემოქმედებს საკუთარი მიზნების მიღწევასა და ფუნქციების განხორციელებაზე;

9. სახელმწიფოს მხრიდან წარმოების ხელშეწყობისათვის ქმედითი ღონისძიებანი უნდა იქნას გატარებული, რაც წარმოების სხვადასხვა დარგის განვითარების შიშქმის ერთადერთი პირობაა. გასათვალისწინებელია, რომ კონკურენციის გარეშე ადგილობრივი მეწარმეები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ფასების შემცირების სტიმულის გარეშე რჩებიან, რაც აშკარად ხელს უშლის წარმოების გაფართოებას და მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ მუშაობს;

10. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე გადაწყვეტილებებს ადამიანი-სუბიექტი ღებულობს. ცხადია ყველა გადაწყვეტილების მიღება არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზნების, ინსტრუმენტების და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სრულყოფილ ანალიზს და ხშირ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებები გარკვეულად სუბიექტურია, ანუ არ ჯდება იმ მოდელებში, რასაც მაკროეკონომიკური პოლიტიკის თეორია სთავაზობს სახელმწიფოს. არსებობს მთელი რიგი არაეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკურ განზრახულობათა ჩამოყალიბებაზე მოქმედებს;

11. უმთავრესი პრობლემა, რომელიც, ჩვენი აზრით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია, ისევ და ისევ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების სისუსტე და სახელმწიფოს მართვაში არსებული პრობლემებია;

12. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, რომელიც თავისთავად არასტაბილურია, იზრდება სოციალური არამდგრადობის საფრთხე და ძლიერდება ეკონომიკური სისტემის ისეთი მოდელის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ მდგრადობას და სტაბილურ მდგომარეობას, მათი კეთილდღეობის ამაღლებას ეკონომიკის განვითარების კვალობაზე;

13. ასეთ პირობებში მალღდება სახელმწიფოს და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შედეგებისათვის. იგი, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი მოთხოვნების შესრულებას მოითხოვს: პირველი, მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. მეორე, შემოსავლებისა და მოხმარების ეფექტიან დიფერენციაციას მოქალაქეთა საქმიანობისა და მეწარმეობითი აქტიურობის შედეგების შესაბამისად, სპეკულაციური და არაკანონიერი შემოსავლების დაუშვებლობას. მესამე, სოციალურ მიზნებზე სახელმწიფოს, მოქალაქეებისა და მეწარმეების მიერ გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას, ერთი მხრივ, ჭარბი პატერნალიზმისა და, მეორე მხრივ, გაუმართლებელი სოციალური დიფერენციაციის დაუშვებლობის მიზნით. აქედან ჩანს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება საქართველოში ხანგრძლივი პროცესია, რადგანაც იგი დაკავშირებულია არა მარტო ეკონომიკური მდგომარეობის მასშტაბების განუხრელ ზრდასთან, არამედ სახელმწიფოს, მოქალაქეების, მეწარმეების საბაზრო ქცევის დამკვიდრებასთანაც;

14. იმისათვის, რათა შედარებით მოკლე დროში შესაძლებელი გახდეს საქართველოში ეკონომიკური ზრდის შეუქცევადი პროცესების დაწყება, აუცილებელია, რათა სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენოს ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესასრულებლად, როგორებიცაა: სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა,

მოსახლეობის სოციალური დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების, მათ შორის უპირველეს ყოვლისა ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ცივილიზებული ლობიზმის ინსტიტუტის შექმნა, ისეთი საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც წაახალისებს გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდას, სახელმწიფო სამსახურის სისტემის ისეთნაირად მოწყობას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მოხელეთა ღირსეულად ცხოვრებასა და შრომას, ასევე კორუფციის მასშტაბების შემცირებას და მისი აღმოფხვრისაკენ სწრაფვას.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ენერგოეკოლოგიური ბაზრის ფორმირების და მისი მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული პრობლემები. თბილისი: „ცოდნის წყარო“, 1999;
2. აბესაძე ა., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშვილი მ. ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების პრობლემები. თბილისი: „უნივერსალი“, 2004;
3. აბრალავა ა., სამსონია ნ., ტულუში მ. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. თბილისი: ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი „გაენათი“, 1995;
4. ასათიანი რ. საქართველოს ფინანსური კრიზისი და ტრანზიტული პროცესების მიკროეკონომიკური რეგულირება კრებულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი I, თბილისი: „სიახლე“ 2000;
5. ასათიანი რ. ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. მონოგრაფია, თბილისი: 1994;
6. ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993;
7. არაბიძე ჯ. მაკროეკონომიკის თეორიის საკითხები. თბილისი: 1994;
8. აქუბარდია თ. საბაზრო სისტემა და სახელმწიფო. თბილისი: „მეცნიერება“. 1996;
9. ბალცეროვიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბილისი: 2001;
10. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი: 2001;

11. ბასარია რ., მესხია ი. გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები. ფხკი. თბილისი: 1995;
12. ბიბილაშვილი ნ. დასაქმებისა და შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი III, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი: „მეცნიერება“ 2003;
13. ბურდული ვ., წერეთელი გ. საქართველოში ეკონომიკური განვითარების დინამიკის პრობლემები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ეკონომიკის სერია, ტომი 7, № 3-4, 1999;
14. ბერულავა გ. მარკეტინგული ორიენტაციის როლი დინამიკურ ბაზრებზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი III, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი: „მეცნიერება“, 2003;
15. გოგოზია რ. საბაზრო ეკონომიკა. თბილისი: „საქპროგამი“, 1996;
16. გოგოზია რ. განსახელმწიფოების და პრივატიზების არსის გაგებისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა“. 1992, №5-6;
17. გაბიძაშვილი თ. გარდამავალი ქვეყნების რეფორმები. I ნაწ. სახელმწიფოს განვითარების დახმარების სტრატეგია და ლოგიკა, 2003;
18. გუნია ა. ბაზარი როგორც კატეგორია. მაცნე ეკონომიკის სერია. ტ. III. 1995, №1-2;
19. გუნია ა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. თბილისი: „მეცნიერება“. 1983;

20. გრიშკაშვილი ა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი: 1998;
21. დათუნაშვილი ლ. საინვესტიციო კლიმატი საქართველოში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში ტომი I. თბილისი: „მეცნიერება“; 2000;
22. დათუკიშვილი ვ. საბაზრო ეკონომიკის არსისა და მისი ჩამოყალიბების კანონზომიერებების გახსნისათვის. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი I. თბილისი: „მეცნიერება“, 2000;
23. დემეტრაშვილი თ. ეკონომიკური ურთიერთობებისა და მურნეობის ტიპები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1992;
24. დვალი თ., გოგოლაძე გ. საგადასახადო სისტემის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი. „სოციალური ეკონომიკა“, 2001, №5;
25. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. ნაწილი I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1992;
26. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. ნაწილი II, თბილისი: ბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1992;
27. თურნავა ნ. ეკონომიკური ზრდა საქართველოში - გამოცდილება და პერსპექტივები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი III „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“ თბილისი: „მეცნიერება“, 2003;
28. თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. თბილისი: მაცნე, 1992;



29. თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეგუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი I „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბილისი: „მეცნიერება“, 2000;

30. თოქმაზიშვილი მ. რეფორმები საქართველოში: მოკლე ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ანალიზი. თბილისი: კეპეკც. 1997;

31. თოდუა გ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ნაწილი I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი: 2004;

32. კაკულია რ. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური ტრანსფორმაციის აქტუალური საკითხები. კრებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი I. თბილისი: 1996;

33. კაკულია რ. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ადგილი თანამედროვე ეპოქაში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი V. თბილისი: სესპსკი, 2000;

34. კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა თბილისი: „სიახლე“, 1996;

35. კაკულია რ. სახელმწიფო სექტორის ეფექტიანობის ზოგიერთი პრობლემა, კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი IV, თბილისი: სესპსკი, 1999;

36. კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბილისი: 2000;

37. კოპლატაძე ირ. საპენსიო ფონდების როლი მაკროეკონომიკურ რეგულირებაში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში (საქართველოს მაგალითზე). თბილისი: კომპანია იმპერიალი, 1998;

38. კურატაშვილი ა. ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები და საგადასახადო სისტემა. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I, თბილისი: „მეცნიერება“, 2000;

39. კურატაშვილი ა. ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები და საგადასახადო სისტემა. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I, თბილისი: „მეცნიერება“, 2001;

40. კურატაშვილი ა. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ორიენტაციაში რადიკალური ცვლილებების აუცილებლობის ზღვარზე. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“ №1-2, თბილისი: 2001;

41. კუპრეიშვილი ე. ბულალტრული აღრიცხვის კურსი. თბილისი: 2002;

42. კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკსი. ნაწილი I, თბილისი: „საქპროფგამი; 1993;

43. კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკსი. ნაწილი III, „სამშობლო“, თბილისი: 1997;

44. კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკსი. ნაწილი IV, „სამშობლო“, თბილისი: 1997;

45. კეინსი ჯ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი, 1995;

46. ლეიაშვილი ჰ. ქართველი „სეპლასაიდერების“ საგადასახადო პოლიტიკა“ მაკრო-მიკრო ეკონომიკა”, 2001, №6;

47. ლორთქიფანიძე რ. სახელმწიფოს სტრუქტურული პოლიტიკის შესახებ ეკონომიკაში. თბილისი: „საქართველო“, 1997;

48. მალაშხია გ. ეკონომიკის თვითრეგულირებისა და ინსტიტუციურ-სოციალური რეგულირების ერთიანობა კრებულში:

- საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი IV, თბილისი: სესპსკი, 1999;
49. მალაშხია გ. მეგა ეკონომიკა. ეკონომიკის ფილოსოფია. თბილისი: 1995;
50. მენქიუ გრ. ეკონომიკის პრინციპები „დიოგენე“ თბილისი: 2000;
51. მესხია ი საქართველოს საფინანსო ეკონომიკური უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები. კრებულში: გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ტომი IV. თბილისი: ფსკი, 2000;
52. მესხია ი. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის საკითხები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი III „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი: „მეცნიერება“, 2003;
53. მესხია ი. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სამეურნეო რეფორმების სრულყოფის საკითხები საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. „მაცნე“, ეკონომიკის სერია, ტომი 4, №3-6, 1996;
54. მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო ეკონომიკა. თბილისი: თსუ. 1995;
55. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, თბილისი: „ენა“, 1991;
56. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღების და ნორმალიზაციისათვის საქართველოში. გამომცემლობა შ.პ.ს. „ფინანსები“, თბილისი: 2000;
57. პაპავა ვ. სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. ჟურნალი: „ეკონომიკა“, №7-9, 1995;

58. პაპავა ვ. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესატყვისი ბუნება და საქართველოში მისი შეზღუდვის მექანიზმის შესახებ. სახელმწიფო და კონტროლი №1, 2001;

59. პაპავა ვ. საქართველოში კორუფციის შეზღუდვის ეკონომიკური მიდგომა. საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები №3-4, 2001;

60. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი: 2002;

61. რინკიაშვილი ნ. საბაზრო ეკონომიკა და ეკონომიკური ზრდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, №4 (420), 1998;

62. რინკიაშვილი ნ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკური ზრდა. ჟურნალი „ეკონომიკა“, №5, 2001;

63. სვირავა გ. მიკროეკონომიკა. თბილისი: „ცოდნა“ 2002;

64. სამადაშვილი უ. ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლო პერსპექტივების შესახებ საქართველოში. ეკონომიკა, №10-12, 1996;

65. სამადაშვილი უ. საკუთრების პრივატიზაცია და მეურნეობის ახალი ფორმები. თბილისი: „მეცნიერება“, 1991;

66. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი I. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი: 2000;

67. ტერაშვილი ნ. ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ გარდამავალ პერიოდში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი V. თბილისი: სესპსკი, 2000;

68. ქვაჩაზია ი. ეკონომიკა და სახელმწიფო (თეორიული ასპექტები) საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და

ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი I. თბილისი: სესპსკი, 1997;

69. შენგელია რ., ზედგენიძე მ., წიკლაური ფ. – საგარეო ურთიერთობების სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი, ჟურნ. “ეკონომიკა”, 2005, №11, გვ. 132-137;

70. შენგელია რ., კაკაბაძე ვ., წიკლაური ფ. – საგარეო ვაჭრობის მონეტარული რეგულირების თავისებურებანი, ჟურნ. “ეკონომიკა”, 2003, №7-8, გვ. 113-123;

71. შენგელია თ. მაკროეკონომიკური რეგულირების აუცილებლობა და ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი III, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი: „მეცნიერება“, 2003;

72. ჩიკვაიძე თ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი XXI საუკუნის მიჯნაზე. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი V, თბილისი: სესპსკი, 1997;

73. ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. საგამომცემლო ფირმა: „სიახლე“, თბილისი: 1997;

74. ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი: „მერიდიანი“, 1995;

75. ჩხეიძე თ. საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“. თბილისი: №11-12, 2000;

76. ჩხეიძე თ. საბაზრო ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა. თბილისი: „მეცნიერება“, 2003;

77. ყუფუნია გ. სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობის საკითხისათვის. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა

და ფუნქციონირებისათვის პრობლემები საქართველოში. ტომი V. თბილისი: სესპსკი, 2000;

78. წერეთელი გ. პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შეფასების საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი III, „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი: „მეცნიერება“, 2003;

79. წერეთელი გ. საქართველო საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების გზაზე. ეკონომიკა №8-9, 1992;

80. წერეთელი გ. საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის მიმართულებები. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I. თბილისი: „მეცნიერება“, 2000;

81. ჭითანავა ვ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – ინტეგრაციული პროცესების გაძლიერების ეკონომიკური სივრცე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გიგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი III „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი: „მეცნიერება“, 2003;

82. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები. თბილისი: სესპკი, 1993;

83. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი I, თბილისი: სესპკი, 1997;

84. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი I, თბილისი: სესპკი, 1999;

85. ჭითანავა ნ. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერების აუცილებლობა და სახელმწიფოს ეკონომიკური

პოლიტიკის ჩამოყალიბების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი IV, თბილისი: სესპსკი, 1999;

86. ჭითანავა ნ. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ (მეთოდოლოგიური მიდგომა) კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი I, თბილისი: „სიახლე“, 2000;

87. ხიზანიშვილი ნ. მეწარმეობის პრობლემა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, 1999, №1(4);

88. ხიზანიშვილი ნ. წარმოების ფაქტორები და მათი გამოყენების სრულყოფის გზები. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, 1999, №3(6);

89. ხიზანიშვილი ნ. საბაზრო ეკონომიკის მოდელები და მათი ეფექტიანი გამოყენების პრობლემები საქართველოში. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ №3 (6), თბილისი: 1999;

90. ხიზანიშვილი ნ. მბრძანებლურ ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე. სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველოს ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპი. პრობლემები და პერსპექტივები“. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: 1999;

91. ხიზანიშვილი ნ. განვითარებულ საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს როლის განსხვავებულ შეფასებათა შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა”, 2003, №7-8;

92. ხიზანიშვილი ნ. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების გამოყენების გზები მაკროეკონომიკის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა”, 2003, №9-10;

93. ხიზანიშვილი ნ. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანობის პრობლემა პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა”, 2005, №5-6;

94. ხიზანიშვილი ნ. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანი გამოყენების გზები სოციალური პრობლემის გადაწყვეტაში. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. 2007, №2(22);

95. ხიზანიშვილი ნ. საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის თავისებურებანი საქართველოში. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომები. ტ. IV-V [XIII-XIV]. თელავი, 2002-2003;

96. ჯიბუტი მ. სამეურნეო მექანიზმი, არსი, სტრუქტურა განვითარების პერსპექტივები. თბილისი: 1985;

97. Балацкий Е.В. Эффективность фискальной политики государства. Проблемы прогнозирования, 2000, №5 ;

98. Барр Н. Роль государства и рыночной экономике. В кн. Рынок труда и социальная политика в Центральной и Восточной Европе. Переходной период и дальнейшее развитие. Москва :И.К.Ц. «ДИС», 1994;

99. Барышева А. И. Перестройка: Социально-экономические проблемы. Москва: Издательство: «Знание», 1991;

100. Видяпин В. Н. Журавлёва Г.П. Экономическая теория (политэкономия), Москва: ИНФРА-М, 1997;

101. Волков Л. М. Швеция: Социально-экономическая модель. Москва: «Наука», 1991;



102. Гайгер Л.Т. Макроекономическая теория и переходная экономика. Москва: ИНФРА-М, 1996;
103. Грейсон Дж. Американский менеджмент на пороге XXI века. Москва: «Экономика», 1991;
104. Гэлбрейт Дж. Экономические теории и цели общества. Пер. с англ. Москва: «Прогресс», 1979;
105. Долгов С. Н. Глобализация экономики. Новое слово или новое явление. Москва: «Экономика», 1998;
106. Денисон Э. Исследование развития в темпах экономического роста. Пер. с англ. Москва: «Прогресс», 1971;
107. Долан Э. Д. Рынок. Микроэкономическая модель. Пер. с англ. Санкт-Петербург. «Автокаир», 1992;
108. Закариадзе И. Трансформация функций государства на этапе формирования рынка / n.v / World Congress for Central and East European Studies, 29 July – 3 August 2000 Tampere, Finland. Helsinki, ICCEES, 2000;
109. Иванов И. П. Научно-техническая революция и вопросы подготовки кадров в развитых странах капитализма. Москва: «Наука», 1971;
110. Игнатовский П. А. Экономика, человек и государство. Москва: «Русь». 1998;
111. Кац И., Роль и задачи государственного регулирования экономики. Экономист, 1996, №9 ;
112. Капырин В.С. Процесс общественного развития и теория снадий. Прогресс. Москва: 1987;
113. Красникова Е. В. (ред), Теория переходной экономики. Т.2 Макроэкономика. Москва: ТЕИС, 1998;
114. Кузнецов В., К теории переходной экономики. Мировая экономика и международные отношения, №12, 1994;

115. Кейнс Дж. М. Общая теория занятости процента и денг. Пер. с англ. Москва: «Прогресс», 1978;
116. Клинова М. Приватизация государственного сектора экономики в западной Европе. «Вопросы экономики», 1991, №4 ;
117. Кураташвили А. А. Теория социально-экономических законов. Тбилиси: «Сабчота Сакартвело», 1982;
118. Лидлейн К. Буржуазные теории экономического развития. Дело. Москва: 1979;
119. Лившиц А. Я. Миражи капиталистического регулирования. «Наука»: Москва: 1985;
120. Люсов Л.Ш. Формирование и развитие рыночной экономики. «деньги и кредит», №11, 1990;
121. Макконел Р. К. Брю Л.С., Экономикс. Москва: «Республика», 1992;
122. Макконел Р.К. Брю Л.С. Экономикс, Принципы, проблемы и политика. Т. 1, 2. Москва: «Республика», 1992;
123. Маршал А. Принципы политэкономии Т. 1,2. Прогресс, Москва: 1987;
124. Медисон А. Экономическое развитие в странах запада. Наука: Москва, 1961;
125. Миллер О. Теория предложения и налоговая политика в США. «Мировая экономика и международные отношения», 1989, №7 ;
126. Папава В. О теории посткоммунистической трансформации. Общество и экономика. 2000, №7 ;
127. Пигу А. С. Экономическая теория благосостояния. Прогресс. Москва: Прогресс, 1985;
128. Сакс Дж., Ворнер Э. Экономическая конвергенция и экономическая политика, «Вопросы экономики». 1995, №5 ;

129. Самоукин А. И. Потенциал нематериального производства. Москва: Изд-во: «Знание», 1991;

130. Самуэльсон П. Экономикс Т.1, Пер. с англ. Москва: МГП. «Алгон». ВНИИ СН, 1992;

131. Самуэльсон П. Экономикс. Т.2, Пер. с англ. Москва: МГП. «Алгон» ВНИИ СН, 1992;

132. Ховард К., Журавлёва Г., Эриашвили Н. Экономическая теория. Москва: Изд-во «Юнити», 1997;

133. Чажова Л. С. Стратегия занятости, Москва: «Экономика», 1990;

134. Шумпетер И. Теория экономического развития. Пер. с нем. Москва: «Прогресс», 1989;

135. Яковец Ю. В. Революция в экономике. Москва: «Экономика», 1990.